

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი

ISSN 1512-3537

ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა

№3 (49) 2020

სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-კვლევითი
ნაშრომების კრებული



გამომცემლობა „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“
თბილისი 2020

ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა
TRANSPORT И МАШИНОСТРОЕНИЕ
TRANSPORT AND MACHINEBUILDING

სარედაქციო კოლეგია

პროფ. იოსებ ბაციკაძე; პროფ. თეა ბარამაშვილი; პროფ. ზურაბ ბოგველიშვილი; პროფ. ნათია ბუთხუზი; პროფ. ალექსი ბურდულაძე; პროფ. ოთარ გელაშვილი (მთავარი რედაქტორი); პროფ. მერაბ გოცაძე; პროფ. დავით თავხელიძე; პროფ. ჯუმბერ იოსებიძე; პროფ. სერგო კარიბიძისი; პროფ. ვასილ კოპალეიშვილი; პროფ. თამაზ მეგრელიძე; პროფ. მანანა მოისწრაფიშვილი; პროფ. ენვერ მოისწრაფიშვილი; პროფ. თამაზ მორჩაძე; პროფ. თამაზ მჭედლიშვილი; პროფ. ნია ნათბილაძე; პროფ. გოდერძი ტკეშელაშვილი; პროფ. ჯუმბერ უფლისაშვილი (დამფუძნებელი და გამომცემელი); პროფ. არჩილ ფრანგიშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე); პროფ. ავთანდილ შარვაშიძე; პროფ. მერაბ შვანგირაძე; პროფ. ზაურ ჩიტაძე; პროფ. დავით ძოწენიძე.

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

проф. Иосеб Басикадзе; проф. Теа Барамашвили; проф. Зураб Богвелишвили; проф. Натиа Бутхузи; проф. Алексей Бурдуладзе; проф. ОТАР ГЕЛАШВИЛИ (главный редактор); проф. Мераб Гоцадзе; проф. Давит Тавхелидзе; проф. Джумбер Иосебидзе; проф. Серго Карибидиси; проф. Василий Копалеишвили; проф. Тамаз Мегрелидзе; проф. Манана Моисцрапишвили; проф. Енвер Моисцрапишвили; проф. Тамаз Морчадзе; проф. Тамаз Мchedlishvili; проф. Ниа Натбиладзе; проф. Годердзи Ткешелашвили; проф. ДЖУМБЕР УПЛИСАШВИЛИ (основатель и издатель); проф. АРЧИЛ ПРАНГИШВИЛИ (зам. главного редактора); проф. Автандил Шарвашидзе; проф. Мераб Швангирадзе; проф. Заур Читидзе; проф. Давид Дзотенидзе.

EDITORIAL BOARD

Prof. Ioseb Bacikadze; Prof. Tea Baramashvili; Prof. Zurab Bogvelishvili; Prof. Natia Butkhuzi; Prof. Alexy Burduladze; Prof. OTAR GELASHVILI (editor-in-chief); Prof. Merab Gotsadze; Prof. Davit Tavkhelidze; Prof. Jumber Iosebidze; Prof. Sergo Karibidisi; Prof. Vasil Kopaleishvili; Prof. Tamaz Megrelidze; Prof. Manana Moistsrapishvili; Prof. Enver Moistsrapishvili; Prof. Tamaz Morchadze; Prof. Tamaz Mchedlishvili; Prof. Nia Nathiladze; Prof. Goderdzy Tkeshelashvili; Prof. JUMBER UPLISASHVILI (Constituent and editor); Prof. ARCHIL PRANGISHVILI (deputy editor-in-chief); Prof. Avtandil Sharvashidze; Prof. Merab Shvangiradze; Prof. Zaur Chitidze; Prof. David Dzotsenidze.

რედაქტორი: პროფ. თეა ბარამაშვილი
редактор: проф. ТЕА БАРАМАШВИЛИ
editor: Prof. TEA BARAMASHVILI

რედაქციის მისამართი: თბილისი, მ. კოსტავას ქ. №71, I კორპუსი, ოთახი №710
Адрес редакции: Тбилиси, М. Костава ул. №71, I корпус, комната №710
Address of the editorial office: Tbilisi, M. Kostava Str. №71, I corpus, room №710
Tel: +995 551 611 611

ჟურნალი ატვირთულია შემდეგ მისამართებზე:

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - ცენტრალური ბიბლიოთეკა
http://gtu.ge/Library/transp_jur/
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი
http://gtu.ge/Stmm/Faculties/jurnali_transporti_manganatmshenebloba.php
- ციფრული ბიბლიოთეკა "ივერიელი" (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა)
<http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/248720>

შინაარსი

1.	სხვადასხვა რადიუსიანი დოლების მქონე სახსრული მექანიზმი ჯუმბერ უფლისაშვილი, ნია ნათბილაძე, მურმან ხაჩიძე	5
2.	პოტენციური კონფლიქტური სიტუაციების გამოთვლის მეთოდიკა საჰაერო მოდრობის დაგეგმარების ავტომატიზებულ სისტემაში მამუკა ზოიძე, გივი სანაძე	11
3.	ინტელექტუალური სისტემების დანერგვა და განვითარება რკინიგზის სადგურებში ირაკლი ბიწაძე, ავთანდილ შარვაშიძე, კახაბერ შარვაშიძე	32
4.	გამოყოფილ ზოლებში მომუშავე საქალაქო ავტობუსების წევით-დინამიკური თვისებების გაუმჯობესება დავით ფრიდონაშვილი, ზურაბ ბოგველიშვილი, ნათია ბუთხუზი	40
5.	ინტელექტუალური სატრანსპორტო სისტემა როგორც მართვის ინსტრუმენტი ვახტანგ ბოგველიშვილი	45
6.	К ВОПРОСУ ПАРАМЕТРИЧЕСКОГО СИНТЕЗА ЭЛЕКТРОПНЕВМО- МЕХАНИЧЕСКОГО СЛЕДЯЩЕГО ПРИВОДА ЛЕТАТЕЛЬНОГО АППАРАТА Читаишвили Валериан	51
7.	К ВОПРОСУ ДИНАМИКИ ЭЛЕКТРОПНЕВМОМЕХАНИЧЕСКОГО СЛЕДЯЩЕГО ПРИВОДА С УПРУГИМИ СВЯЗЯМИ В МЕХАНИЧЕСКОЙ ЧАСТИ Мchedlishvili Tamaz, Chitaishvili Valerian, Amkoladze Xatuni, Bestavashvili David	58
8.	К ВОПРОСУ ДИНАМИЧЕСКОГО СИНТЕЗА ЭЛЕКТРОПНЕВМОМЕХАНИ- ЧЕСКОГО СЛЕДЯЩЕГО ПРИВОДА С УПРУГИМИ СВЯЗЯМИ В МЕХАНИЧЕСКОЙ ЧАСТИ Мchedlishvili Tamaz, Chitaishvili Valerian, Kobakhidze Leri, Ninua Sergo	66
9.	CorelDRAW-ს ფერები და ფერთა მოდელების ურთიერთდამოკიდებულება თეა ბარამაშვილი, ნათელა ჯავახიშვილი	73
10.	ხე-ტყის დამზადების ეფექტიანობის და ეკონომიკურად ხელმისაწვდომი რესურსების განსაზღვრა ზაურ ჩიტძე, თეიმურაზ კანდელაკი, ზაურ ბალამწარაშვილი, იგორ გელაშვილი, ირაკლი გრძელიშვილი	82
11.	ტყის რესურსების ღირებულებითი შეფასების და ტყის კადასტრის განსაზღვრის მექანიზმი თეიმურაზ კანდელაკი, ზაურ ჩიტძე, ლერი გიგინეიშვილი, იგორ გელაშვილი, ნინო ბჟალავა	94
12.	მცენარეული პროდუქციის აირადი აზოტით სწრაფი გაცივების ინოვაციური ტექნოლოგია გივი გოლეთიანი, თამაზ ისაკაძე, გივი გუგულაშვილი, მიხეილ ცაგარეიშვილი	100

13. მაცივარი მანქანა მაცივარაგენტად წყლის გამოყენებით გივი გოლეთიანი, თამაზ ისაკაძე, გივი გუგულაშვილი, მიხეილ ცაგარეიშვილი	106
14. შესავალი RevitArchitecture -ში და სამომხმარებლო ინტერფეისი გიორგი შენგელია, ლიანა ასათიანი	112
15. ადამიანური რესურსების მართვის სისტემის თანამედროვე უპირატესობები ანა წულაია, ლევან მიქავა, ალექსანდრე კანკაძე	120
16. კავკასიური როდოდენდრონის საშრობი ახალი მოწყობილობა სოფიო ბუჩუკური-სოლოღაშვილი	134
17. მსოფლიოში შრომითი რესურსების განვითარების ძირითადი პროგნოზი თამარ კილაძე, ია ხართიშვილი	144
18. საქართველოს მრეწველობის განვითარების შესაძლებლობები მეგი იაკობაშვილი	153
19. მრეწველობის განვითარება საქართველოში XIX ს-ის 30-60-იანი წლებიდან დღემდე და მისი განვითარების პერსპექტივები ია გოდერძიშვილი	161
20. მომსახურების მარკეტინგის თავისებურებები საქართველოში მარინე ლომიძე, იულია თედევეი	168
21. ცხოვრების დონე და სოციალური პრობლემები საქართველოში ნუნუ აჩუაშვილი	177
22. ინტელექტუალური სატრანსპორტო სისტემის შექმნა ინოვაციური საინჟინრო მეთოდების გამოყენებით კონსტანტინე მჭედლიშვილი, ბესიკ ჩიტაძე	184
23. ავტომობილიზაცია და ჭკვიანი ქალაქის კონცეფციის გამოყენება საქართველოში კონსტანტინე მჭედლიშვილი, ირაკლი ფანოზიშვილი	195
24. ავტორთა საყურადღებოდ	203

სხვადასხვა რადიუსიანი დოლების მქონე სახსრული მექანიზმი

ჯუმბერ უფლისაშვილი, ნია ნათბილაძე, მურმან ხაჩიძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ. №77, 0160,
თბილისი, საქართველო)

რეზიუმე: *სტატიიდან ნათლად ჩანს, თანამედროვე მანქანათმშენებლობაში სახსრულ-ბერკეტული მექანიზმების ფართო გამოყენება, მათი უპირატესი თვისებების გათვალისწინებით. განხილულია სამრეწველო ინჟინერიაში გამოყენებული სხვადასხვა ტექნოლოგიური მანქანების წამყვანი მექანიზმების ნაკლოვანებები. ნაშრომში წარმოდგენილია კონსტრუირებული სახსროვანი მექანიზმი, რომლის უნივერსალობა საშუალებას იძლევა ავლნიშნოთ, რომ წარმოდგენილი სახსროვანი მექანიზმით, რომლის კონსტრუქციაც გაუმჯობესებულია არსებულთან შედარებით, გამარტივებულია მექანიზმის მუშა რეჟიმი, კონსტრუქცია და დარეგულირებულია სიჩქარე.*

საკვანძო სიტყვები: მანქანათმშენებლობა, ტექნოლოგია, მექანიზმი, კონსტრუქცია.

შესავალი

მანქანათმშენებლობის დარგში ყოველი მანქანა ასრულებს მისთვის განკუთვნილ სამუშაო პროცესს, მასზე კონსტრუირებული სხვადასხვა მექანიზმების მეშვეობით. სწორედ მექანიზმი, ეს მყარი სხეულთა სისტემა არის ის ძირითადი რგოლი, რომელიც მექანიკური მოძრაობის მეშვეობით უზრუნველყოფს მანქანის სრულყოფილ ტექნოლოგიურ პროცესს. ამგვარად, მექანიზმის ძირითადი ფუნქცია მყარ სხეულთა მექანიკური მოძრაობათა გარდაქმნაა.

მარტივი მექანიზმები მრავალი საუკუნის წინ შეიქმნა და მათი კვლევის პროცესიც იმ დროიდან აითვლება. თანამედროვე მანქანათმშენებლობის სწრაფი განვითარების რთულ ეტაპზე წარმოიშვა მოთხოვნა მასზედ, რომ დამუშავდეს კვლევის ინოვაციური მეთოდები მექანიზმების ანალიზისა, პროექტირების და დანერგვის შესახებ. ყველაფერი ეს განაპირობებს საზოგადოებრივი შრომის

მრავალმხრივ განვითარებას და შესაბამისად ადამიანის კეთილდღეობას, რადგანაც შეიქმნება ახალი მანქანებისა და მექანიზმების კონსტრუქციები, შესაბამისად ახალი ტექნოლოგიები. რთული კონსტრუქციული მანქანა-დანადგარების სქემის შერჩევა და კონსტრუქცია განსაზღვრავს მათი დაპროექტების პირველ და ძირითად ეტაპს, ხოლო კონსტრუქციის დაპროექტების შემდგომი ეტაპია დეტალების ზომებისა და მასალების შერჩევა. დაპროექტება სრულდება ამა თუ იმ კონსტრუქციისათვის დამზადების საშუალებათა და მეთოდების შერჩევით. მარტივად გასაგებია, რომ ბოლო საფეხურების შესრულების ბაზაა პირველი განმსაზღვრელი ეტაპი. დიდია მექანიზმებისა და მანქანების როლი, როგორც მანქანების დაგეგმარების თეორიული საწყისისა. როგორც ცნობილია მექანიზმი მყარი სხეულების ერთიან სისტემას წარმოადგენს, ამიტომ მას შეიძლება მარტივი ან ძალიან რთული სტრუქტურა ჰქონდეს, ამ სტრუქტურას კი მექანიზმის მახასიათებლები განსაზღვრავენ. ესენია: მოძრაობის გარდაქმნის შესაძლებლობები და სხვა მექანიზმის ცალკეულ რგოლთა შეერთება, რაც თავის მხრივ მთლიანად ერთიან სისტემაში განაპირობებს მარტივი და რთული მექანიზმის სწორ ფორმირებას. ეს უკანასკნელი კი მუშაობის საიმედოობას უზრუნველყოფს.

ძირითადი ნაწილი

ბრტყელი სახსრული მექანიზმები ფართოდაა გავრცელებული თანამედროვე მანქანათმშენებლობაში, მათი თანდაყოლილი უპირატესობების გამო. ესენია: დამზადების მაღალი ტექნოლოგიურობა, საკისრებზე სახსრული შეერთებების შესაძლებლობა, კონტაქტური ზედაპირების მცირე ცვეთა, ხანგამძლეობა და სარემონტო სამუშაოების შესაძლებლობა. სახსრულ მექანიზმებს აქვთ მეტი საიმედოობა, რაც განპირობებულია მბრუნვითი რგოლების მცირე ცვეთით და სტაბილურობა გრძელვადიანი მუშაობის დროს.

მრეწველობის სხვადასხვა დარგის მანქანა - ავტომატებში, ფართოდ გამოიყენება ციკლური შემსრულებელი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ მუშა ორგანოების გაჩერებას ერთ-ერთ საბოლოო მდგომარეობაში. მოქნილი წარმოების ბოლოდროინდელი განვითარება მანქანა - ავტომატების შემქმნელებს

უყენებს ახალ ამოცანებს, კერძოდ, იმუშაონ ისეთი ტექნოლოგიური აღჭურვილობის შექმნაზე, რომელთაც ექნებათ მარტივი კონსტრუქცია, საიმედოობა, ხანგამძლეობა და ა.შ.

ბოლო დროს შემოთავაზებულია ბერკეტული მექანიზმების სინთეზის საკმაოდ მარტივი მეთოდები და ბერკეტული მექანიზმების გამოყენება ტექნიკაში გამართლებულია, რადგან ისინი საშუალებას იძლევიან გადავჭრათ პრობლემები ახალი თაობის დანადგარების შესაქმნელად, აგრეთვე მოვახდინოთ არსებული ტექნოლოგიური აღჭურვილობის ძირეული მოდერნიზაცია ყველაზე დაბალი ღირებულებით.

ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში შეიქმნა ენერჯის გარდამქმნელი უამრავი მექანიზმი. საკმაოდ ფართოდ გავრცელდა ჰპოვა ბერკეტულმა მექანიზმმა. იგი ხასიათდება სხვადასხვა მახასიათებლების უზარმაზარი რაოდენობით, რომლებიც უნდა იქნას გათვალისწინებული. ზუსტი გაანგარიშება შეიძლება შესრულდეს, მხოლოდ ყველა ძალისა და მომენტის გათვალისწინებით.

ბერკეტული მექანიზმის კვლევისას ყურადღება უნდა მიექცეს ორ ძირითად მიმართულებას, რომელთაგან ერთი ასოცირდება პირდაპირ ანალიზთან, მეორე სინთეზთან. ორივე ცნება მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან, რაც გასათვალისწინებელია. სტრუქტურული ანალიზი არის სტრუქტურული მახასიათებლების განსაზღვრის პროცესი, რომელიც შეიძლება იყოს შემდეგი:

- კინემატიკური წყვილის განსაზღვრა.
- ჯგუფური სტრუქტურების შესწავლა.
- კინემატიკური ჯაჭვის კავშირის მახასიათებლების განსაზღვრა.

დღესდღეობით ანალიზს ატარებენ სტრუქტურული დეფექტების დასადგენად, რომელთა აღმოფხვრაც შესაძლებელი იქნება საჭიროების შემთხვევაში. სახსრულ-ბერკეტული მექანიზმები ძალიან გავრცელებულია ტექნოლოგიური მანქანების აგებულებაში. ამავე დროს, მისი ხანგრძლივი ექსპლუატაციისას იყო გამოგონებული მისი გამოყენების რამოდენიმე ვარიანტი, რომლებიც ხასიათდებიან განსაზღვრული თვისებებით. თანამედროვე სამრეწველო პროცესების სირთულე და პროდუქციის მაღალი ხარისხი, მუდმივად მოითხოვს

ბრტყელი თუ სივრცითი რთული მექანიზმების შექმნას. ამავე დროს დანადგარების მოძრავი მექანიკური სისტემების კვლევისა და კონსტრუირების გამარტივებულ მეთოდებს საჭიროებს.


აქედან გამომდინარე, როდესაც მანქანის რომელიმე მოწყობილობისათვის საჭიროა შეირჩეს მექანიზმის ისეთი სტრუქტურული სქემა შესაბამისი სტრუქტურული მახასიათებლებითა და აგებულების კანონზომიერებით, რომელსაც მიზნად ისახავს კონსტრუქტორი, ამოცანის სრულყოფილად დასრულებისა და გამარტივებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის შექმნილია მრავალი მექანიზმი, რომელსაც უაღრესად დადებითი თვისებები აქვთ, მათ რიგ შემთხვევაში გააჩნიათ ისეთი ნაკლოვანებები, როგორცაა: შედარებითი მაღალი მოთხოვნები დამზადების და დამონტაჟების სიზუსტეებზე; დიდ სიჩქარეებზე ხმაური, დიდი დატვირთვები ლილვებზე და საკისრებზე; ცვალებადი გადაცემის რიცხვი; დაბალი მქკ; მუშა ზედაპირების არათანაბარი ცვეთა და სხვა.

აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია ჩანაცვლდეს არსებული მოძრავი სისტემები, სახროვანი მექანიზმების ისეთი კონსტრუქციით, რომელიც მინიმუმამდე შეამცირებს არსებულ ნაკლოვანებებს.

ნახაზზე 1 მოცემულია სამი სხვადასხვა რადიუსიანი დოლის მრავალთავისუფლებიანი ხარისხის მქონე სახსრული მექანიზმის რგოლების შეთანხმებული მოძრაობის ოპტიმიზირების სქემა. ამისათვის, O ცენტზე შემოვხაზოთ, O_1 და O' რადიუსის ტოლი წრეხაზი, ასეთმა მიდგომამ, საშუალება მოგვცა წინა ოპტიმიზირებული რგოლების შესაბამისი მექანიზმი აგვეგო. შესაბამისად მივიღეთ, $O_1 L O M O_1$ შეწყვილებული მექანიზმი, რომელიც საშუალებას იძლევა, დოლებმა იმოძრაონ ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით. როგორც, ნახაზ -1-დან ჩანს, ჩვენს მიერ აგებული შეწყვილებული მექანიზმი შედგება: პარალელოგრამისა და ანტიპარალელოგრამის მქონე მექანიზმებისაგან. ამ ნახაზზე დოლი 2 მიბჯენილია დოლ 1-სა და 3-ზე, ურთიერთკავშირს უზრუნველყოფს ამძრავ 4 თან მიერთებული O_1 ; O' , და O

რგოლები. ყველა ეს რგოლები მოძრავია და დამატებით O_4 რგოლი, სივრცის ცვალებადობით ახერხებს დოლი 2-ის შეთანხმებულ მოძრაობას დოლებთან 1 და 3.



ნახ.1. სხვადასხვა რადიუსიანი დოლების მქონე სახსრული მექანიზმი.

ეს მექანიზმი შეიძლება გამოყენებული იქნეს, მრეწველობის დარგის მანქანა დანადგარებში, სადაც საჭიროა სხვადასხვა რადიუსიანი მექანიზმების შეთანხმებული მოძრაობის შესრულება ხარისხიანი პროდუქციის მისაღებად. მისი უნივერსალობა საშუალებას იძლევა ავლნიშნოთ, რომ წარმოდგენილი სახროვანი მექანიზმით, რომლის კონსტრუქციაც გაუმჯობესებულია არსებულთან შედარებით, გამარტივებულია მექანიზმის მუშა რეჟიმი, კონსტრუქცია და დარეგულირებულია სიჩქარე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. უფლისაშვილი ჯ., ნათბილაძე ნ. - „პოლიგრაფიული მანქანების მოძრავი სივრცითი სისტემების გეომეტრიული საფუძვლები“, თბილისი, 2009წ.;

2. დავითაშვილი ნ, ილურიძე ვ. და სხვ. - „მექანიზმებისა და მანქანების თეორია“, თბილისი, 2014წ.;
3. Диментберг Ф. М - «Теория пространственных шарнирных механизмов», Москва, «Наука».
4. Отаров А.С. - Механизм для преоб-разования вращатель-ного движения А.С., №1298456.

ШАРНИРНЫЙ МЕХАНИЗМ С БАРАБАНАМИ РАЗНОГО РАДИУСА

Джумбер Уплисашвили, Ниа Натбиладзе, Мурман Хачидзе

Резюме

В статье наглядно показано широкое использование шарнирно-рычажных механизмов в современном машиностроении с учетом их преимущественных свойств. Обсуждаются недостатки механизмов привода различных технологических машин, используемых в промышленном строительстве. В статье представлен сконструированный шарнирный механизм, универсальность которого позволяет отметить, что представленный шарнирный механизм, конструкция которого усовершенствована по сравнению с существующим, упрощает режим работы механизма, конструкцию и регулирует его скорость.

HINGED MECHANISM WITH DRUMS OF DIFFERENT RADIUS

Jumber Uplisashvili, Nia Natbiladze, Murman Khachidze

Abstract

The article clearly shows the wide application of hinged-lever mechanisms in modern machine building, taking into account their superior properties. Disadvantages of the drive mechanisms of various technological machines used in industrial engineering are considered. In the paper is presented a developed hinged mechanism, the universality of that gives the possibility to us to point out that the presented hinged mechanism, the structure of that is improved compared to the existing one, simplifies the working mode of the mechanism, its structure and adjust speed.

პოტენციური კონფლიქტური სიტუაციების გამოთვლის მეთოდოლოგია საჰაერო მოძრაობის დაგეგმარების ავტომატიზებულ სისტემაში

მამუკა ზოიძე, გივი სანაძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ. №77, 0160,

საქართველო, თბილისი)

კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. [№ PHDF_19_356, ერთიან საჰაერო სივრცეში უპილოტო საფრენი აპარატების მართვის მეთოდები ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით].“

რეზიუმე: საჰაერო მოძრაობის დაგეგმარებისა და ორგანიზების სისტემის ძირითად ამოცანას წარმოადგენს საჰაერო სივრცის გამომყენებლების მოთხოვნების დაკმაყოფილება ფრენების უსაფრთხოების უზრუნველყოფისას. სტატიაში განხილულია საჰაერო ხომალდებს შორის პოტენციური კონფლიქტური სიტუაციების გამოთვლის მეთოდოლოგია მარშრუტის საერთო უბანზე. საჰაერო ხომალდების მოძრაობის სივრცითი-დროითი ტრაექტორიების ანალიზის გამარტივების მიზნით საერთო მონაკვეთზე ურთიერთ მოძრაობის ყველა შესაძლო ვარიანტი დაყვანილია ხომალდების ქვემონაკვეთებზე ურთიერთ მოძრაობის სამ ვარიანტზე. განხილულია პოტენციური კონფლიქტური სიტუაციის არსებობის ფაქტის განსაზღვრის ალგორითმები. მეთოდოლოგას მაღალი სწრაფმედება აქვს და მუშაობისათვის მოითხოვს ოპერატიული მეხსიერების უმნიშვნელო რესურსს.

საკვანძო სიტყვები: პოტენციური კონფლიქტური სიტუაციები, ფრენის უსაფრთხოება, დაგეგმარება, საჰაერო მოძრაობა, საჰაერო სივრცის გამოყენება, ფრენის გეგმების ანალიზი, სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფა, ემულონირების ნორმები, შესვლის სიები.

ორ საჰაერო ხომალდს შორის პოტენციური კონფლიქტური სიტუაცია ეწოდება ისეთ სიტუაციას, რომლის დროს ფრენის რეჟიმის შეუცვლელად ხდება საჰაერო ხომალდების საშიში მიახლოება. საშიში მიახლოების ქვეშ კი იგულისხმება ფრენის

დავალებით გაუთვალისწინებელი საჰაერო ხომალდების ურთიერთ მიახლოება იმ ინტერვალზე, რომელიც დადგენილის ნახევარზე ნაკლებია და რომლის შედეგადაც ჩნდება შეჯახების რისკი.

პოტენციური კონფლიქტური სიტუაციის არარსებობის ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრისათვის საჭიროა საჰაერო ხომალდის ფრენის მარშრუტი შევადაროთ სხვა საჰაერო ხომალდის მარშრუტს, რაც მოითხოვს საჰაერო მოძრაობაში მონაწილე ყველა საჰაერო ხომალდის მარშრუტების წყვილ-წყვილად შემოწმებას. უნდა აღინიშნოს, რომ ფრენის თითოეულ გეგმას გარდა ძირითადისა, კიდევ რამდენიმე ალტერნატიული მარშრუტი შეიძლება ჰქონდეს. ამრიგად თითოეული საჰაერო ხომალდის თითოეული მარშრუტის წყვილ-წყვილად შემოწმების შესრულება შეუძლებელია ამოცანის შრომატევადობის გამო. ამასთან დაკავშირებით, პოტენციური კონფლიქტური სიტუაციის გამოთვლის ნებისმიერი მეთოდისათვის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას საჰაერო ხომალდების წყვილთა რიცხვის შემცირება.

ყველაზე უფრო ცნობილი მიდგომაა საკონტროლო საჰაერო სივრცის როგორც „ფენოვანი ღვეზელი“-ს წარმოდგენა. თითოეული მისი ფენა გამოხატავს სივრცის ნაწილს სიმაღლეთა კონკრეტულ დიაპაზონში. მას თან ახლავს კოორდინატული ბადე, რომლის დისკრეტები სიდიდით საშიში მიახლოების მოცემული ზღვრული მანძილის ტოლია. ფილტრაციის ეტაპზე ყველა საჰაერო ხომალდი, რომელიც აღმოჩნდა რომელიღაც მაღლივი ფრენის ერთ დისკრეტში, ითვლება რომ არის კონფლიქტში მონაწილეობის პრეტენდენტი. პრეტენდენტთა რიცხვში შეიყვანება ის საჰაერო ხომალდები, რომლებიც მეზობელ დისკრეტებში აღმოჩნდნენ, ანუ კვადრატებისა და ფენების სხვადასხვა მხარეს. ბადის კვადრატების მიხედვით შერჩეული საჰაერო ხომალდების წყვილების ანალიზი ტარდება იმ მიზნით, რომ დადგინდეს კონფლიქტური სიტუაციის განვითარების ტენდენცია.


მოცემული მიდგომა შემუშავებულ იქნა საჰაერო მოძრაობის მართვის სისტემაში გამოსაყენებლად. იმისათვის, რომ ის გამოყენებული იქნეს საჰაერო მოძრაობის დაგეგმარების სისტემაში, საჭიროა საჰაერო ვითარების განვითარების იმიტაციური მოდელირების შესრულება. საჰაერო მოძრაობის დაგეგმარებისას,

პოტენციური კონფლიქტური სიტუაციის აღმოჩენის მაღალი სწრაფქმედება აქვს „კონფლიქტების ფილტრს“, რომელსაც საფუძვლად უდევს საჰაერო სივრცის წერტილებში ჰისტოგრამების განაწილების ანალიზის ალგორითმები.

პოტენციური კონფლიქტური სიტუაციების ტიპები.

ფრენების უმრავლესობის ნაწილს ასრულებენ სამოქალაქო ავიაციის საჰაერო ხომალდები. ისინი ასრულებენ სატრასო ფრენებს. ტრასებს გარე და სამარშრუტო-სატრასო ფრენებს ასრულებენ ძირითადად სამხედრო თვითმფრინავები და მცირე ავიაციის საჰაერო ხომალდები. საჰაერო ხომალდების ტრასებზე მოძრაობისას ყველა პოტენციური კონფლიქტური სიტუაცია შეიძლება დაიყოს სამ ტიპად:

- პოტენციური კონფლიქტური სიტუაცია საჰაერო ხომალდის მოძრაობისას ტრასის საერთო მონაკვეთზე (ნახ.1.ა.);
- პოტენციური კონფლიქტური სიტუაცია საჰაერო ხომალდების მიერ საჰაერო სივრცის საერთო წერტილზე გასვლისას (ნახ.1.ბ.);
- პოტენციური კონფლიქტური სიტუაცია საჰაერო ხომალდის მოძრაობისას ტრასების გადამკვეთ მონაკვეთებზე (ნახ.1.გ.).



*ნახ.1. პოტენციური კონფლიქტური სიტუაციების ტიპები:
 პოტენციური კონფლიქტური საერთო მონაკვეთზე (ა),
 პოტენციური კონფლიქტური სიტუაციები საერთო წერტილში (ბ),
 პოტენციური კონფლიქტური სიტუაციები გადამკვეთ მონაკვეთზე (გ).*

მოცემული სტატიის ჩარჩოში განიხილება მეთოდის გამოყენება პოტენციური კონფლიქტური სიტუაციის გამოთვლისათვის მარშრუტის საერთო მონაკვეთზე.

საწყისი მონაცემები პოტენციური კონფლიქტური სიტუაციის გამოთვლისათვის.

პოტენციური კონფლიქტური სიტუაციის გამოთვლის მეთოდისათვის ძირითად საწყის მონაცემებს წარმოადგენს საჰაერო ხომალდების ფრენის 4D-მარშრუტები, აგრეთვე ვერტიკალური და გრძივი ემელონირების ნორმები. 4D-მარშრუტების ქვეშ იგულისხმება საჰაერო ხომალდის მოძრაობის სივრცით-დროითი ტრაექტორია. ამრიგად, 4D-მარშრუტი ყოველი წერტილისა ან მონაკვეთისათვის განსაზღვრავს გეოგრაფიულ კოორდინატებს, სიმაღლეს და გადაფრენის დროს.

პოტენციური კონფლიქტური სიტუაციები წარმოიქმნებიან ვერტიკალური, გრძივი და გვერდითი ემელონირების იმ ნორმების დარღვევისას, რომლებიც დადგენილია საჰაერო სივრცის გამოყენების წესებით.

ჩატარებულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ვერტიკალური ემელონირების ნორმები დამოკიდებულია:

- საჰაერო ხომალდების ფრენის სიმაღლეზე;
- საჰაერო ხომალდების ფრენის სიჩქარეზე;
- საჰაერო ხომალდების მიერ გამოყენებულ ფრენის წესებზე (ხელსაწყობების მიხედვით ან ვიზუალური ფრენის წესები);
- ნებართვისა და მოწყობილობის არსებობაზე, რომელიც საშუალებას იძლევა ფრენა შესრულდეს ვერტიკალური ემელონირების შემოკლებული ინტერვალით;
- საპასუხისმგებლო ზონებზე, რომლშიც საჰაერო ხომალდები იმყოფებიან;
- საჰაერო მოძრაობის მართვის ავტომატიზებული სისტემების ან ავტომატიზაციის საშუალებების კომპლექსის, ან რადიოსამაუწყებლო ავტომატური დამოკიდებული დაკვირვების გამოყენებაზე.

გვერდითი ემელონირების ნორმები გამოიყენება კონფლიქტური საჰაერო ხომალდების განშორების მანევრების განხორციელებისათვის. ეს ნორმები პოტენციური კონფლიქტური სიტუაციის გამოთვლისას დაგეგმარების ეტაპებზე არ გამოიყენება.

საჰაერო ხომალდების მოძრაობის სივრცით დროითი ტრაექტორიის დაზუსტებისათვის მარშრუტის თითოეული ძირითადი მონაკვეთი შეიძლება დაყოფილ იქნეს რამდენიმე ქვემონაკვეთებად, რომლებზეც საჰაერო ხომალდი იცავს მოძრაობის განსაზღვრულ ხასიათს:

- ფრენის სიჩქარის მიხედვით: თანაბარი თანაბარაჩქარებული ან თანაბარშენელებული მოძრაობა;
- ფრენის სიმაღლის მიხედვით: ჰორიზონტალურად მოძრაობისას (მუდგმივ სიმაღლეზე), დაბლა დაშვება ან სიმაღლის აკრეფა.

ამგვარად, პოტენციური კონფლიქტური სიტუაციის ძებნა საერთო მონაკვეთზე რთულდება საჰაერო ხომალდების ერთმანეთის მიმართ მოძრაობის შესაძლო ვარიანტების დიდი ნაირსახეობით. საჰაერო ხომალდის საერთო მონაკვეთზე მოძრაობისას ეშელონირების ნორმების დარღვევა ხდება ერთ-ერთ ქვემონაკვეთზე. ამგვარად საჰაერო ხომალდების ურთიერთ მოძრაობის ვარიანტები მარშრუტის ძირითად მონაკვეთებზე დაიყვანება ურთიერთ მოძრაობის სამ ვარიანტამდე ქვემონაკვეთებზე (ნახ. 2):

- საჰაერო ხომალდები, მოძრაობენ ფრენის ერთ სიმაღლეზე (ეშელონზე) და მათი ტრაექტორიები გადაიკვეთებიან ერთმანეთის შემხვედრად მოძრაობისას ან ერთი ხომალდის მიერ მეორის გასწრებისას;
- საჰაერო ხომალდების ტრაექტორიები გადაიკვეთებიან ერთ-ერთი ხომალდის მიერ ფრენის სიმაღლის შეცვლისას;
- ერთი ან ორივე საჰაერო ხომალდი იცვლის ფრენის სიმაღლეს, მაგრამ მათი ტრაექტორიები არ გადაიკვეთებიან.

მოცემული სამი ვარიანტი მიღებულია იქიდან გამომდინარე, რომ თითოეულ ქვეუბანზე საჰაერო ხომალდი ინარჩუნებს ვერტიკალური მოძრაობის განსაზღვრულ რეჟიმს: მოძრაობს ჰორიზონტალურად, იღებს სიმაღლეს ან დაბლა ეშვება.

	ა.) მოძრაობა ერთი მიმართულებით	ბ.) მოძრაობა ერთმანეთის შეხმვედრად
1. ორივე ხომალდი მოძრაობს ერთ სიმაღლეზე	სიმაღლე 	სიმაღლე
2. ხომალდი 1 კრეისერულ ფრენაშია, ხომალდი 2 სიმაღლეს იღებს	სიმაღლე 	სიმაღლე
3. ხომალდი 1 კრეისერულ ფრენაშია, ხომალდი 2 დაბლა ეშვება	სიმაღლე 	სიმაღლე
4. ხომალდი 1 სიმაღლეს კრეფს, ხომალდი 2 დაბლა ეშვება	სიმაღლე 	სიმაღლე
5. ორივე ხომალდი კრეფს სიმაღლეს	სიმაღლე 	სიმაღლე
6. ორივე ხომალდი დაბლა ეშვება	სიმაღლე 	სიმაღლე

ნახ. 2. საჰაერო ხომალდების f_1 და f_2 მოძრაობის ვარიანტები $P_1 - P_2$ მონაკვეთზე.

სამი ვარიანტიდან თითოეულისათვის საჭიროა რეალიზებული იქნეს პოტენციური კონფლიქტური სიტუაციის შემოწმებისა და მისი პარამეტრების

გამოთვლის თავისი ლოგიკა (პროგნოზული დრო, საჰაერო ხომალდების მდებარეობა და ფრენის სიმაღლე).

ამრიგად, პოტენციური კონფლიქტური სიტუაციის გამოთვლის შემოთავაზებული მეთოდიკა მდგომარეობს ორი ამოცანის გადაწყვეტაში:

- საჰაერო ხომალდების იმ წყვილების გადანამეტის შეზღუდვა, რომლებიც მოწმდება პოტენციური კონფლიქტური სიტუაციის არსებობაზე საჰაერო სივრცის ელემენტებში შესვლის ანალიზის საფუძველზე;
- საჰაერო ხომალდების ქვემონაკვეთებზე მოძრაობის ტრაექტორიების ანალიზი პოტენციური კონფლიქტური სიტუაციის არსებობის ფაქტისა და პარამეტრების განსაზღვრისათვის.

ამოცანის 1-ის გადაწყვეტა.

საჰაერო ხომალდების წყვილების შეზღუდვა რომლებიც მოწმდება პოტენციური კონფლიქტური სიტუაციის არსებობაზე საჰაერო სივრცის ელემენტებში შესვლის სიების წარმოებისა და ანალიზის საფუძველზე.

პოტენციური კონფლიქტური სიტუაციის მოძებნისათვის მარშრუტის საერთო მონაკვეთზე გამოიყენება შესვლის სია მონაკვეთისათვის, რომელიც წარმოადგენს შესვლის დროის მიხედვით მოწესრიგებულ ელემენტთა სიას. ისინი შეიცავენ შემდეგ მონაცემებს:

- ობიექტის დამოწმება, რომელიც წარმოადგენს ფრენის მარშრუტს;
- ობიექტის დამოწმება, რომელიც წარმოადგენს ფრენის გეგმას;
- მონაკვეთში შესვლის დრო;
- მონაკვეთიდან გამოსვლის დრო;
- ობიექტის დამოწმება, რომელიც წარმოადგენს ფრენის შესრულების განრიგს;
- მონაკვეთის გავლის მიმართულება;
- მინიმალური სიმაღლე მონაკვეთზე;
- მაქსიმალური სიმაღლე მონაკვეთზე;
- მარშრუტის თარიღი/დრო (უკანასკნელი განახლების. შემდგომში ვუწოდებთ Last Update ველს).

იმ მონაკვეთების ქვეშ, რომლებისთვისაც იწარმოება შესვლის სიები, იგულისხმება არა საჰაერო ტრასების მონაკვეთები, არამედ ობიექტები, რომელთაც აქვთ დამოწმება საჰაერო სივრცის ორი ცნობილი წერტილის. ამრიგად, თუ ორ მოცემულ წერტილზე გადის საჰაერო ტრასის რამდენიმე მონაკვეთი, მაშინ ყველა საჰაერო ხომალდი, რომლებიც გადიან საჰაერო ტრასის მოცემულ უბნებზე, მოხვდებიან ერთ შესვლის სიაში. შესვლის სიებში ჩანაწერების დამატება ხორციელდება საჰაერო ხომალდის მოძრაობის სივრცით-დროითი ტრაექტორიის (4D-ტრაექტორიის) გამოთვლის დამთავრების შემდეგ. ჩანაწერი ემატება შესვლის შესაბამის სიებში შესვლის დროს მატების მიხედვით, მარშრუტის თითოეული ძირითადი მონაკვეთებისათვის. Last Update ველის მნიშვნელობა დგინდება 4D-ტრაექტორიის გამოთვლის დასრულების დროის ტოლი. ეს დროითი ნიშნული გამოიყენება შესვლის სიებიდან მოძველებული მონაცემების მოცილების ამოცანის გადაწყვეტისათვის, ანუ იმ ჩანაწერებისა, რომლებიც მიეკუთვნება ამოღებულ ან შეცვლილ მარშრუტებს. ჩანაწერი ექვემდებარება მოცილებას თუ Last Update ველის მნიშვნელობა განსხვავდება მარშრუტის უკანასკნელი ცვლილების დროის მნიშვნელობისაგან (დამოწმება იმ ობიექტისა, რომელიც წარმოადგენს ფრენის მარშრუტს და ინახება თვით ჩანაწერში). მოძველებული ჩანაწერების მოცილება შეიძლება ან პოტენციური კონფლიქტური სიტუაციის მომდევნო ანალიზის დროს, ან დადგენილი მოვლენის მიხედვით (მაგალითად, ტაიმერის მიხედვით დადგენილი პერიოდულობით). ასეთი მიდგომა საშუალებას იძლევა დავზოგოთ დრო შესვლის სიების შენარჩუნებაზე აქტუალურ მდგომარეობაში.

განვიხილოთ შესვლის სიების ანალიზის ალგორითმი საჰაერო ხომალდების იმ წყვილების არჩევისათვის, რომლებისთვისაც საჭიროა შემოწმდეს პოტენციური კონფლიქტური სიტუაციის არსებობა.

შესვლის სიის ანალიზის ალგორითმი.

პოტენციური კონფლიქტური სიტუაციის გამოთვლის მეთოდის პრაქტიკული გამოყენების ვარიანტები დაგეგმარების სისტემების სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის ჩარჩოებში დაიყვანება ორ შემთხვევაში:

- ფრენის ყველა გეგმის ანალიზი პოტენციური კონფლიქტური სიტუაციის არსებობაზე;
- ფრენის ცალკეული გეგმის ანალიზი პოტენციური კონფლიქტური სიტუაციის არსებობაზე;

პირველი შემთხვევა გულისხმობს შესვლის სიების სრულ დამუშავებას პრაქტიკულად საჰაერო სივრცის ყველა ელემენტებისათვის (მუშავდება ყველა ელემენტი, რომელიც გვხდება თუნდაც ფრენის ერთ მარშრუტზე). ასეთი დამუშავების საჭიროება წარმოიქმნება სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის საწყისი ჩატვირთვისას, ან ფრენების გეგმაში არსებითი ცვლილებების შეტანისას, რომელიც ეხება ფრენის მარშრუტის უმრავლესობას. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ფრენების ყველა გეგმის ხელახლა გამოთვლა.

მეორე შემთხვევა გულისხმობს იმას, რომ ფრენების ყველა გეგმის პირვანდელი ანალიზი შესრულებული იყო და შემდგომში საჭიროა პოტენციური კონფლიქტური სიტუაციის შესახებ მონაცემების შენარჩუნება ფრენის ცალკეული მარშრუტის ცვლილებისას, ან სისტემაში ფრენის ახალი გეგმის შეყვანისას. ასეთ შემთხვევაში საჭიროა დამუშავდეს შესვლის სიებში მხოლოდ იმ ელემენტებისათვის, რომლებითაც ვეხებით ფრენის ახალ ან შეცვლილ მარშრუტს. გარდა აღნიშნულისა, დამუშავების დაჩქარებისათვის მიზანშეწონილია შეიზღუდოს დასამუშავებელი შესვლის სიების ის ჩანაწერები, რომლებმაც შეიძლება შეყვანონ კონფლიქტში ახალ მარშრუტთან.

მონაკვეთის შესვლის სიის შემოვლითი ალგორითმების განმარტებისათვის შემოვიღოთ შემდეგი აღნიშვნები:

e_i - შესვლის სიის ჩანაწერი i ნომრით;

$t_{ეს.ი}$ - შესვლის დრო, რომელიც e_i -შია ჩაწერილი;

$t_{გამ.ი}$ - გამოსვლის დრო, რომელიც ჩაწერილი e_i -ჩაწერილი;

N - შესვლის სიაში ჩანაწერების რაოდენობა.

შესვლის სიის სრული შემოსვლის შემთხვევისათვის (ფრენების ყველა გეგმის ანალიზისას პოტენციური კონფლიქტური სიტუაციის გამოვლენის მიზნით) გამოიყენება ორი ციკლი: ძირითადი (ციკლი ინდექსით i) და ჩადებული (ციკლი

ინდექსით j). ძირითადი ციკლი ახორციელებს შესვლის სიის ყველა ჩანაწერის შემოვლას ($i = 1, N$). შინაგანი ციკლი ახდენს ყველა იმ ჩანაწერის შემოვლას, რომელიც e_i -ის შემდგომ მოდიან ($j = i + 1, N$). შინაგანი ციკლის ვადაზე ადრე დასრულება ხორციელდება პირობის $t_{შეს.i} > t_{გამ.i}$ შესრულების შემთხვევაში (ინტერვალების შესვლის დრო - გამოსვლის დრო e_i და e_j ჩანაწერებისათვის).

ფრენის ცალკეული გეგმის ანალიზისას შესვლის სიის ყველა ჩანაწერის შემოწმების საჭიროება არ არის. მოცემულ შემთხვევაში ჯერ განისაზღვრება ინდექსი i , რომელიც ამ კონკრეტულ ფრენის გეგმას შეესაბამება. შემდგომ, სრულდება იმ ჩანაწერების შემოვლა, რომლებიც განთავსებულია e_i ჩანაწერამდე და შემდეგ.

ამორჩეული შესვლის სიის ჩანაწერების (e_i და e_j) დამუშავებისას ჯერ მოწმდება რამდენიმე პირობა, რომელიც საშუალებას იძლევა არ განვიხილოთ აშკარად არა კონფლიქტური საჰაერო ხომალდების წყვილები:


- ჩანაწერები მიეკუთვნებიან ერთ საჰაერო ხომალდს;
- ერთერთი ჩანაწერი „მოძველებულია“, ანუ შენახული მარშრუტის ბოლო განახლების დრო ჩანაწერის ფორმირების მომენტისთვის (Last Update) განსხვავდება მარშრუტის უკანასკნელი განახლების დროისაგან, რომელიც შესვლის სიის ჩანაწერს შეესაბამება;
- არ არსებობს ინტერვალების „მინიმალური სიმაღლე მონაკვეთზე-მაქსიმალური სიმაღლე მონაკვეთზე“ გადაკვეთა;
- არ არსებობს ფრენების შესრულების საერთო დღეები. მითითებული პირობებიდან თუნდაც ერთის შესრულებისას, არაა საჭირო შემოწმდეს ჩანაწერები კონფლიქტური სიტუაციის არსებობაზე.

ამოცანა 2-ის გადაწყვეტა.

საჰაერო ხომალდების მოძრაობის ტრაექტორიების ანალიზის ქვემონაკვეთებზე პოტენციური კონფლიქტური სიტუაციის არსებობის ფაქტისა და პარამეტრების განსაზღვრისათვის.

ალგორითმის დემონსტრაციისათვის მონაცემების სახით გამოვიყენოთ ნახ.3-ზე წარმოდგენილი f_1 და f_2 საჰაერო ხომალდების მარშრუტების მონაკვეთები,

რომლებიც საერთო $P_1 - P_2$ მონაკვეთზე გადიან. ამ ნახაზიდან ჩანს, რომ საჰაერო ხომალდები მოძრაობენ ერთმანეთის შემხვედრად.



ნახ.3. საჰაერო ხომალდების f_1 და f_2 მარშრუტები, რომლებიც საერთო $P_1 - P_2$ მონაკვეთზე გადის.

4D-ტრაექტორიის გამოთვლის შედეგად ძირითადი $P_1 - P_2$ მონაკვეთი f_1 საჰაერო ხომალდის მარშრუტისათვის დაყოფილია 5 ქვემონაკვეთებად ($S_{11} - S_{15}$) ოთხი შუალედური წერტილებით ($P_{11} - P_{14}$).

f_2 საჰაერო ხომალდის მარშრუტი $P_1 - P_2$ მონაკვეთებზე დაყოფილია ქვემონაკვეთად ($S_{21} - P_{23}$) ორი შუალედური წერტილით ($P_{21} - P_{22}$).

საჰაერო ხომალდების მოძრაობის ტრაექტორიის ანალიზის ალგორითმი ქვემონაკვეთებზე შედგება 3 ბიჯისაგან.

პირველი ბიჯი - ქვემონაკვეთის ცხრილის პირველადი შევსება.

თავიდან შევავსოთ ქვემონაკვეთების ცხრილი f_1 და f_2 ხომალდების მარშრუტების შუალედურ წერტილებში შესვლის დროის გაზრდის მიხედვით. თუ მონაკვეთი შუალედურ წერტილებს არ შეიცავს, მაშინ ცხრილში დაემატება მხოლოდ ჩანაწერები მონაკვეთის საწყისისა და დაბოლოების წერტილებისათვის. განსახილველი მარშრუტებისათვის ცხრილის შევსების მაგალითი მოყვანილია ცხრილში 1, განსახილველი მაგალითისათვის დროის შუალედებში:

- ($t_1; t_3$) მონაკვეთზე იმყოფება მხოლოდ ხომალდი f_1 ;
- ($t_3; t_9$) მონაკვეთზე იმყოფება ორივე ხომალდი;
- ($t_9; t_{10}$) მონაკვეთზე იმყოფება მხოლოდ ხომალდი f_2 .


დრო	შუალედური წერტილები	
T_i	P_{1i}	P_{2i}
t_1	P_1	–
t_2	P_{11}	–
t_3		P_2
t_4	P_{12}	
t_5		P_{21}
t_6	P_{13}	
t_7	P_{14}	
t_8		P_{22}
t_9	P_2	
t_{10}	–	P_1

მეორე ბიჯი - დამატებითი შუალედური წერტილების გამოთვლა.

მეორე ბიჯზე გამოითვლება დამატებითი შუალედური წერტილები დროის მომენტებისათვის, როდესაც მონაკვეთზე იმყოფება ორივე საჰაერო ხომალდი

$$\max(t_{შესf_1}, t_{შესf_2,}) \leq t_i \leq \min(t_{გასf_1}, t_{გასf_2,}).$$

განსახილველი მაგალითისათვის გამოითვლება წერტილები P_{1*3}, P_{1*5} და P_{1*8} საჰაერო ხომალდისათვის f_1 , აგრეთვე წერტილები $P_{2*4}, P_{2*6}, P_{2*7}$ და P_{2*9} f_2 საჰაერო ხომალდისათვის (ნახ.4).



ნახ.4. საჰაერო ხომალდების და მარშრუტები დამატებითი შუალედური წერტილებით.

მეორე ბიჯის შესრულების შედეგად ქვემონაკვეთების ცხრილი ივსება იმ მონაცემებით, რომელიც აკლია (ნაცრისფერი უჯრედები ცხრილში 2).

ცხრილი 2.

დრო	შუალედური წერტილები	
T_i	P_{1i}	P_{2i}
t_1	P_1	–
t_2	P_{11}	–
t_3	P_{1*3}	P_2
t_4	P_{12}	P_{2*4}
t_5	P_{1*5}	P_{21}
t_6	P_{13}	P_{2*6}
t_7	P_{14}	P_{2*7}
t_8	P_{1*8}	P_{22}
t_9	P_2	P_{2*9}
t_{10}	–	P_1

მესამე ბიჯი - საჭაერო ხომალდების მოძრაობის ანალიზი ქვემონაკვეთებზე. მესამე ბიჯზე ხდება ცხრილის თანამიმდევრული შემოვლა დროის მომენტებისათვის

$$\max(t_{შესf_1}, t_{შესf_2}) \leq t_i \leq \min(t_{გასf_1}, t_{გასf_2}).$$

ანალიზისათვის შეირჩევა მარშრუტის ის ქვემონაკვეთები, რომლებიც შექმნილია შუალედური წერტილებით ($P_{1i} - P_{1(i+1)}$) და ($P_{2i} - P_{2(i+1)}$).

არჩეული ქვემონაკვეთებისათვის ტარდება საჭაერო ხომალდების ვერტიკალური მოძრაობის ანალიზი და მიესადაგება ხომალდების ურთიერთ მოძრაობის ადრე განხილული 3 ვარიანტიდან ერთერთს.

ანალიზის რეალიზაციის მიხედვით შეირჩევა პოტენციური კონფლიქტური სიტუაციის არსებობის შემოწმების და მისი პარამეტრების გამოთვლის შესაბამისი ალგორითმები.

საჭაერო ხომალდის ქვემონაკვეთებზე მდებარეობის გამოთვლა.

მანძილი მონაკვეთის დასაწყისიდან საჭაერო ხომალდის მიმდინარე მდებარეობამდე განისაზღვრება ფორმულით

$$x(t) = x_i \pm \left[V_i(t - t_1) + \frac{\alpha_i(t-t_1)^2}{2} \right], \text{ სადაც}$$

t_i – საჰაერო ხომალდის მიმდინარე, ქვემონაკვეთში შესვლის დროა (ქვემონაკვეთი, რომელზეც ის იმყოფება t დროის მომენტში);

x_i – მანძილი მონაკვეთის საწყისიდან საჰაერო ხომალდის მდებარეობამდე;

V_i – საჰაერო ხომალდის სიჩქარე მიმდინარე ქვემონაკვეთის დასაწყისში;

α_i – საჰაერო ხომალდის აჩქარება მიმდინარე ქვეუბანზე.

ფორმულაში ნიშნის არჩევა დამოკიდებულია საჰაერო ხომალდის მოძრაობის მიმართულებაზე მონაკვეთის გასწვრივ. ძირითად მიმართულებად მიღებულია იმ საჰაერო ხომალდის მოძრაობის მიმართულება, რომელიც პირველი შედის მონაკვეთზე. თუ საჰაერო ხომალდის მონაკვეთის გასწვრივ მოძრაობის მიმართულება ემთხვევა ძირითადს, მაშინ x_i მნიშვნელობა პირველი ქვეუბნისათვის ნულის ტოლი იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში x_i მნიშვნელობა პირველი ქვეუბნისათვის უბნის მთელი სიგრძის ტოლი იქნება.

მანძილი f_1 და f_2 საჰაერო ხომალდებს შორის განისაზღვრება ფორმულით

$$s(t) = [x_{f_1}(t) - x_{f_2}(t)].$$

საჰაერო ხომალდის მიმდინარე სიმაღლე განისაზღვრება ფორმულით

$$h(t) = h_i + V_{h_i}(t - t_i),$$

სადაც: h_i – საჰაერო ხომალდი სიმაღლეა მიმდინარე ქვემონაკვეთის დასაწყისში (t_i დროის მომენტში);

V_{h_i} – საჰაერო ხომალდის ვერტიკალური სიჩქარე მიმდინარე ქვემონაკვეთზე.

f_1 და f_2 – საჰაერო ხომალდების ფრენის სიმაღლეთა სხვაობა განისაზღვრება ფორმულით $\Delta h(t) = [h_{f_1}(t) - h_{f_2}(t)].$

ვარიანტი 1. საჰაერო ხომალდები მოძრაობენ ფრენის ერთ სიმაღლეზე.

საჰაერო მოძრაობის მართვის სისტემაში დადგენილია გრძივი ეშელონირების ნორმები, როდესაც საჰაერო ხომალდები მოძრაობენ ერთ ეშელონზე და ერთი მიმართულებით. შემხვედრი მოძრაობის შემთხვევისათვის ეშელონირების ნორმები დადგენილი არ არის, ვინაიდან ასეთი სიტუაცია ნიშნავს, რომ ეშელონირების წესი ერთ-ერთი საჰაერო ხომალდის მიერ დარღვეულია. საჭიროა განისაზღვროს

- საშიში მიახლოების ფაქტის არსებობა მონაკვეთზე;
- საჭაერო ხომალდების მიახლოების დრო ახლოსაა გრძივი ეშელონირების ნორმებთან;
- პოტენციური კონფლიქტური სიტუაციის ფიქსაციის მომენტში საჭაერო ხომალდების მდებარეობა.

პოტენციური კონფლიქტური სიტუაციის არსებობის ფაქტის, აგრეთვე ფიქსაციის დროის განსაზღვრისათვის საჭიროა ავხსნათ უტოლობა


$$s(t) \leq X_{\text{კონფლ.}}$$

სადაც $t \in [t_i, t_i + 1]$, $X_{\text{კონფლ.}}$ – f_1 და f_2 ხომალდებისათვის გრძივი ეშელონირების ნორმა.

თუ ამოხსნის შედეგად მიღებულია დროის ნულოვანი დიაპაზონი, მაშინ კონფლიქტური სიტუაცია არ არსებობს. წინააღმდეგ შემთხვევაში პოტენციური კონფლიქტური სიტუაციის ფიქსაციის დროის სახით მიიღება გამოთვლილი დროის დიაპაზონის დასაწყისი. ბოლოს, კონფლიქტური სიტუაციის ფიქსაციის დროის მომენტისათვის გამოითვლება f_1 და f_2 საჭაერო ხომალდების მდებარეობა.

ვარიანტი 2. საჭაერო ხომალდების ტრაექტორიები გადაიკვეთებიან თუნდაც ერთი ხომალდის მიერ ფრენის სიმაღლის ცვლილებისას.


ამ შემთხვევისათვის საჭაერო ხომალდების ქვემონაკვეთებზე ურთიერთ მოძრაობის შესაძლო ვარიანტები წარმოდგენილია ნახ. 5-ზე.



ნახ.5. ტრაექტორიები გადაიკვეთებიან თუნდაც ერთი ხომალდის მიერ სიმაღლის ცვლილებისას.

მოცემული შემთხვევისათვის დადგენილია გრძივი და ვერტიკალური ეშელონირების ნორმები. ერთი მიმართულების მოძრაობისას საჭაერო ხომალდებს შორის დაცული უნდა იყოს მხოლოდ გრძივი მოძრაობის ნორმები დაკავებული

ემელონის გადაკვეთის მომენტში $S(t_h)$. იხილე ნახ.6.ა. შემხვედრი მოძრაობისას ასევე დაცული უნდა იყოს ვერტიკალური ემელონირების ნორმები საჰაერო ხომალდების დაცილების მომენტისათვის $\Delta h(t_x)$ ნახ.6. ბ.



ნახ.6. მნიშვნელობების განსაზღვრა შედარებისათვის ნორმებთან გრძივი (ა) და ვერტიკალური (ბ) ემელონირებისათვის.

საჰაერო ხომალდების ტრაექტორიების სიმაღლის მიხედვით გადაკვეთის დროის მომენტის განსაზღვრა ხდება შემდეგი განტოლების ამოხსნით

$$\Delta h(t_h) = 0, \text{ სადაც } t_h \in [t_i, t_i + 1].$$

საჰაერო ხომალდები ურთიერთ დაცილების დროის მომენტის განსაზღვრისათვის ქვემოწაკვეთების ცხრილში არის ქვემოწაკვეთი j, რომელიც შემდეგ პირობას შეესაბამება.

$$[x_{f_1}(t_j); x_{f_1}(t_j + 1)] \cap [x_{f_2}(t_j); x_{f_2}(t_j + 1)] \neq 0.$$

გამოითვლება დროის მომენტი შემდეგი განტოლების მიხედვით:

$$s(t_x) = 0, \text{ სადაც } t_x \in [t_i, t_i + 1].$$

გრძივი ემელონირების ნორმის დარღვევის პირობა ასეთია

$$s(t_h) \leq X_{\text{კონფლ.}}$$

ვერტიკალური ემელონირების ნორმის დარღვევის პირობა კი არის

$$\Delta h(t_x) \leq H_{\text{კონფლ.}}$$

სადაც $H_{\text{კონფლ.}}$ – არის ვერტიკალური ემელონირების ნორმა f_1 და f_2 საჰაერო ხომალდებისათვის.

პოტენციური კონფლიქტური სიტუაცია არ არსებობს, თუ დაცულია გრძივი და ვერტიკალური ემელონირების ნორმები. წინააღმდეგ შემთხვევაში კონფლიქტური სიტუაციის ფიქსაციის მომენტის სახით გამოიყენება t_h დრო (ხომალდების ერთი

მიმართულებით მოძრაობისას) შემხვედრად მოძრაობისას კონფლიქტის ფიქსაციის დროის სახით გამოყენება შემდეგი დრო:

t_h – მხოლოდ გრძივი ეშელონირების ნორმების დარღვევისას;

t_x – მხოლოდ ვერტიკალური ეშელონირების ნორმების დარღვევისას;


$\min(t_h, t_x)$ – გრძივი და ვერტიკალური ეშელონირების ნორმების დარღვევისას.

და ბოლოს პოტენციური კონფლიქტის ფიქსაციის დროის მომენტისათვის გამოითვლება f_1 და f_2 საჭაერო ხომალდების მდებარეობები.

ვარიანტი 3. ერთი ან ორივე საჭაერო ხომალდი იცვლის ფრენის სიმაღლეს, მაგრამ მათი ტრაექტორიები არ გადაიკვეთებიან.

საჭაერო ხომალდების ურთიერთ მოძრაობის შესაძლო ვარიანტები მოცემული შემთხვევისათვის წარმოდგენილია ნახ. 7-ზე.

ასეთი შემთხვევისათვის ეშელონირების ნორმები დადგენილი არ არის.



ნახ.7. ერთი ან ორივე ხომალდი იცვლის ფრენის სიმაღლეს, მაგრამ მათი ტრაექტორიები არ გადაიკვეთებიან.

დისპეჩერისათვის საჭაერო ვითარების ინდიკატორი არის ინფორმაციის ერთადერთი წყარო გადაწვეტილების მისაღებად საჭაერო ხომალდების ეშელონირებაზე, აგრეთვე მკაფიო წესი: არავითარ შემთხვევაში არ იქნეს დაშვებული დადგენილ მინიმუმზე ნაკლები ინტერვალი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხომალდებს შორის უზრუნველყოფილია ვერტიკალური ეშელონირების მინიმუმი.

ამგვარად, პოტენციური კონფლიქტური სიტუაცია ფიქსირდება ვერტიკალური და გრძივი ემელონირების ნორმების ერთდროულად დარღვევისას.

პოტენციური კონფლიქტური სიტუაციის არსებობის ფაქტის, აგრეთვე ფიქსაციის დროის განსაზღვრისათვის საჭიროა შემდეგი უტოლობათა სისტემის ამოხსნა:

$$s(t) \leq X_{\text{კონფლ.}}$$

$$h(t) \leq H_{\text{კონფლ.}}$$

თუ ამოხსნის შედეგად მიღებულია დროის ნულოვანი დიაპაზონი, მაშინ კონფლიქტური სიტუაცია არ არსებობს.


პოტენციური კონფლიქტური სიტუაციის გამოთვლის მეთოდის გამოკვლევა.

ექსპერიმენტის ჩატარებისათვის საწყისი მონაცემების სახით გამოყენებულია გარკვეული პერიოდის ფრენების გეგმები საჰაერო მოძრაობის ერთიანი სისტემის მონაცემთა ბაზიდან.

გეგმების ანალიზმა აჩვენა, რომ საჰაერო ხომალდების მარშრუტების 92% შიცავს 40-მდე ძირითად წერტილებს. წერტილების მაქსიმალურმა რაოდენობამ მარშრუტზე შეადგინა 105. საშუალოდ, ტაქტიკური დაგეგმარების სამუშაო ადგილზე მუშავდება 7000 გეგმა. ყველა მარშრუტის შემოწმების დრო წარმოდგენილია ცხრილში 3 (ყველა ფრენების გეგმების პოტენციური კონფლიქტური სიტუაციის არსებობაზე ანალიზის დრო) და ნახ. 8-ზე.

ცხრილი 3.

მარშრუტების საერთო რაოდენობა	დრო, მილიწამებში			
	1 ნაკადი	2 ნაკადი	4 ნაკადი	8 ნაკადი
3 000	1 168	770	616	591
5 000	1 967	1 204	990	839
7 000	3 100	1 863	1 356	1 205
10 000	6 117	3 673	2 359	1 989
15 000	12 258	6 831	4 721	3 859
20 000	21 512	11 770	8 050	6 533
25 000	34 443	18 941	12 720	10 370
30 000	50 876	27 990	19 443	15 520



ნახ.8. ყველა მარშრუტის შემოწმების დრო მათი საერთო რაოდენობის მიხედვით.

მთლიანი შემოწმების დრო იზრდება დასამუშავებელი გეგმების რაოდენობის ზრდისას, მაგრამ პარალელური დამუშავების გამოყენებისას მარშრუტების მაქსიმალური რაოდენობის შემოწმების დრო შეადგენს 15 წამს.

საკაერო ხომალდის ახალი მარშრუტის შემოწმების დროის დამოკიდებულება მარშრუტების საერთო რაოდენობაზე და გამოყენებული ნაკადების რაოდენობაზე პარალელური დამუშავებისას წარმოდგენილია ცხრილში 4.

ცხრილი 4.

მარშრუტების საერთო რაოდენობა	დრო, მილიწამებში			
	1 ნაკადი	2 ნაკადი	4 ნაკადი	8 ნაკადი
3 000	0	1	1	2
5 000	1	1	2	2
7 000	2	2	3	3
10 000	2	3	2	3
15 000	6	6	5	5
20 000	6	7	5	6
25 000	7	7	5	6
30 000	8	8	6	6

როგორც ცხრილიდან ჩანს, ერთი ახალი ფრენის გეგმის დამუშავების დრო 10 წამზე ნაკლებია მარშრუტების მაქსიმალური რაოდენობის შემთხვევაშიც კი. გარდა

ამისა, ნაკადების რაოდენობა, რომელიც გამოიყენება პარალელური დამუშავებისათვის, გავლენას არ ახდენს დამუშავების დროზე. ექსპერიმენტების ჩატარებისას პოტენციური კონფლიქტური სიტუაციის არსებობის შემოწმებისათვის ახალი მარშრუტების სახით გამოიყენებოდა მარშრუტები წერტილების მაქსიმალური რაოდენობით (100-ზე მეტი).

ოპერატიული მეხსიერების საჭირო რესურსის შეფასებამ აჩვენა, რომ მეთოდის მუშაობისათვის საჭიროა დაახლოებით ერთი მეგაბაიტი ოპერატიული მეხსიერებისა ათას ფრენის მარშრუტზე. მოცემული მაჩვენებელი გამოთვლილი იყო იმ ჩანაწერების საშუალო რაოდენობის საფუძველზე, რომელიც დაემატა შესვლის სიებს ერთი ფრენის მარშრუტისათვის.

მეთოდის აქვს მაღალი სწრაფქმედება და მოითხოვს ოპერატიული მეხსიერების რესურსის უმნიშვნელო რაოდენობას, რაც საშუალებას იძლევა, რომ ის გამოყენებული იქნეს საკაერო ხომალდებს შორის პოტენციური კონფლიქტური სიტუაციის გამოთვლისათვის საკაერო სივრცის გამოყენების დაგეგმარების ეტაპებზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის ბრძანება №52 2018 წლის 9 მარტი ქ. თბილისი საკაერო მოძრაობის მომსახურების წესის დამტკიცების შესახებ;
1. Tomlin C., Lygeros J., and S.R. Sastry. Synthesizing Controllers for Nonlinear Hybrid Systems. Report of the Research under NASA Grant NAG-2-1039. University of California, Department of Electrical Engineering and Computer Sciences, University of California, 1997;
2. Kumkov S.I. Conflict Detection and Resolution in Air Traffic Control // IFAC on-line Journal Automatic Control in Aerospace, 2009, paper AS-09-04;
3. Модель использования воздушного пространства. Обработка плановой информации – М.: МГТУ ГА, 2004.- с 96. 4. Глаговский К.А., Ленина И.Б., Плешаков К.В., Рудельсон Л.Е. Метод ускорения поиска потенциальных конфликтных ситуаций. // Научный вестник МГТУ ГА № 171. -М.: МГТУ ГА, 2011;
4. Дегтярев О.В., Кан А.В., Орлов В.С. Проблемы моделирования процессов выполнения управляемых потоков воздушного движения и пути их решения. Сб.трудов «Имитационное моделирование. Теория и практика» ИММОД-2005., т.П, 2005;

5. Тимофеев С.Ю. Методика расчета потенциальных конфликтных ситуаций между воздушными судами в точке воздушного пространства при планировании и организации воздушного движения // Технические науки - от теории к практике: сборник статей XXV Международной заочной научно-практической конференции. - Новосибирск 2013. – с. 91-103.

Calculation of potential conflicts in the automated air traffic management system

Mamuka Zoidze, Givi Sanadze

Abstract

The main task of the air traffic planning and organization system is to meet the requirements of airspace users while ensuring flight safety. The article the methodology for calculating potential conflict situations between aircraft at the common area of the route is given. In order to simplification the analysis of the spatio-temporal trajectories of the aircraft, all possible variants of mutual motion on the common section are reduced to three variants of mutual motion on the sub-sections of the aircraft. Algorithms for determining the existence of a potential conflict situation are revied. The methodology has high speedaction and requires a negligible amount of operative memory to work.

Методика расчета потенциальных конфликтных ситуаций в автоматизированной системе планирования воздушного движения

Мамука Зоидзе, Гиви Санадзе

Резюме

Основная задача системы планирования и организации воздушного движения - удовлетворение требований пользователей воздушного пространства при обеспечении безопасности полетов. В статье рассматривается методика расчета возможных конфликтных ситуаций между воздушными судами на общем участке маршрута. Для облегчения анализа пространственно-временных траекторий ЛА все возможные варианты взаимного движения на общем участке сведены к трем вариантам взаимного движения на подсекциях ЛА. Рассмотрены алгоритмы определения наличия потенциальной конфликтной ситуации. Методология отличается высокой скоростью и требует для работы незначительного количества оперативной памяти.

ინტელექტუალური სისტემების დანერგვა და განვითარება რკინიგზის სადგურებში

ირაკლი ბიწაძე, ავთანდილ შარვაშიძე, კახაბერ შარვაშიძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას №77, 0160,

თბილისი, საქართველო)

რეზიუმე: სტატიაში განხილულია რკინიგზის სადგურებში თანამედროვე ინტელექტუალური სისტემების დანერგვისა და პერსპექტიული განვითარების აქტუალური საკითხები. მათი მეშვეობით საუბნო, საკვანძო და მახარისხებელ სადგურებზე მატარებელთა მიღება, დამუშავება, დახარისხება, ფორმირება, გაგზავნა და სამანევრო მუშაობის ოპერატიულად და სწრაფად განხორციელება. მთლიანად რკინიგზაზე მატარებელთა მოძრაობის ცენტრალიზებული ავტომატიზირებული მართვა, სადაც უზრუნველყოფილ იქნება ფუნქციონალური, საინფორმაციო, ეკოლოგიური და სახანძრო უსაფრთხოება. აღნიშნული კი განაპირობებულია იმ გარემოებით, რომ რკინიგზაზე გადაზიდვითი პროცესის მართვაში მოძრაობის უსაფრთხოების თვალსაზრისით ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენება გახდა უპირველესი ამოცანა, რადგან გაზრდილია მატარებელთა მოძრაობის ინტენსივობა, რაც თავისთავად ზრდის რისკებს უსაფრთხოების კუთხით.

საკვანძო სიტყვები: სადგური, ტექნოლოგიები, ინოვაციური, ინტელექტუალური, ინფორმაციული, დახარისხება, სარკინიგზო, გადაზიდვითი, ლოკომოტივი.

შესავალი

მთელი მსოფლიოს მასშტაბით სარკინიგზო სფეროში საყოველთაოდ იქნა აღიარებული, რომ თანამედროვე ინტელექტუალური სისტემების დანერგვა და განხორციელება რკინიგზაზე ითვლება აუცილებელ და აქტუალურ ამოცანად.

ინტელექტუალური სისტემების შექმნას და დამუშავებას მხარს უჭერს საერთაშორისო სატრანსპორტო ორგანიზაციები. ინტელექტუალური სარკინიგზო სისტემების განვითარებამ მძლავრი იმპულსი მისცა თანამგზავრულ ტექნოლოგიებს, რომლებიც უფრო და უფრო ფართოდ

Эта схема без учета сил сопротивления F_m и F_m и в укрупненной форме представлена на рис. 3.

где:
$$W_{oc\Delta\varphi m} = \frac{W_{m\Delta\varphi}}{W_{p\partial} W_e K_y} = \frac{(B_s + K_{Gp})(T_e^2 s^2 + 2\epsilon e T_e s + 1)(ms^2 + bs + cs)}{A_n K_{G\alpha} K_e K_t} ; \quad (20)$$

$W_{BK}(s)$ – передаточная функция внутреннего контура.

Для приближенного определения синтезируемых параметров внутреннего контура и основной колебательной составляющей переходного процесса по аналогии с материалом, изложенным в работе [5] будем использовать аппроксимационные выражения передаточных функций внутреннего контура $W_{BK}(s)$ и контурной обратной связи

$$W_{\Sigma\Delta y m}(s) = -W_{oc\Sigma}(s) + (K_{ocp} + K_{ocs}) , \quad (21)$$

где
$$K_{ocp} = K_{oc} K_{ocm} + K_{p\partial} \frac{C_k}{A_n} ;$$

$$K_{ocs} = K_{os} K_{ocm} .$$




Рис. 3. Укрупненная структурная схема

В качестве аппроксимирующих передаточных функций используем выражения

$$W_{BKa}(s) = \frac{K_{BK}}{a_{BK2}s^2 + a_{BK1}s + a_{BK0}} ; \quad (22)$$

$$W_{oca}(s) = a_{02}^*s^2 + a_{01}^*s + a_{0c}^* . \quad (23)$$

С использованием аппроксимационных передаточных функции W_{BKa} и W_{oca} полная передаточная функция выразится зависимостью

$$W_{OB}(s) = \frac{\Delta y_m(s)}{U_n(s)} = \frac{W_{BKa}W_{m\Delta y}W_{\Delta ym}}{1 + W_{BKa}W_{m\Delta y}W_{\Delta ym}} = \frac{M_{OB}}{N_{OB}} \quad (24)$$

с характеристическим уравнением $N_{OB}(s)$ четвертой степени вида

$$s^4 + A_1s^3 + A_2s^2 + A_3s + A_4 = a \quad (25)$$

и в этой связи приближенные значения параметров – коэффициента затухания ε и частоты основной колебательной составляющей переходного процесса можем определять по аналитическим зависимостям, приведенным в работе [7].

ЗАКЛЮЧЕНИЕ

На основе проведенных исследований получены необходимые математические зависимости, предложены оригинальные модели и определенные методологические подходы для последующих динамических исследований рассматриваемой системы привода.

Литература:

1. Крымов Б.Г., Робинович Л.В., Стебельцов В.Г. Исполнительные устройства систем управления летательными аппаратами. М.: Машиностроение, 1987, 264 с.
2. Робототехника и гибкие автоматизированные производства. Кн. 2. Приводы робототехнических систем / Ж.П. Ахромеев, Н.Д. Дмитриева и др. М.: Высш. шк. 1986, 175 с.
3. Попов Д.Н. Динамика и регулирование гидро- и пневмосистем. М.: Машиностроение, 1987, 464 с.
4. Мchedlishvili T.Ф., Chitaisvili B.А., Tavadze A.Т., Zukaishvili P.И., Nikaishvili H.К. К вопросу динамики электропневматического привод // Транспорт и машиностроение, Тбилиси, № 1(44), 2019.
5. Мchedlishvili T.Ф., Chitaisvili B.А., Bestavashvili D.Э., Zukaishvili P.И., Tavadze A.Т. К вопросу динамики электропневмомеханического следящего привода // Транспорт и машиностроение, Тбилиси, № 3(46), 2019.
6. Мchedlishvili T.Ф., Кирия В.И., Романадзе И.Р., Голетиани Г.С. К вопросу динамики электромеханической системы привода с упругими звеньями в механической части / Труды международной научной конференции «Иновационные технологии и материалы», Тбилиси, 2011, с. 80-86.
7. Хлыпало Е.И. Нелинейные системы автоматического регулирования / Под ред. Е.П. Попова. Л.: «Энергия», 1967 450 с.

**მექანიკურ ნაწილში დრეკადი კავშირებიანი
ელექტროპნევმომექანიკური ამძრავის დინამიკის საკითხის შესახებ
თამაზ მჭედლიშვილი, ვალერიან ჩიტაიშვილი, ხათუნი ამყოლაძე,
დავით ბესტავაშვილი
რეზიუმე**

თანამედროვე სწავლოქმედი ელექტროპნევმომექანიკური ამძრავების დინამიკური კვლევები მრავალ წილად დაკავშირებულნი არიან მექანიკური გადამცემი ელემენტების დრეკადი თვისებების გათვალისწინებასთან, რაც თავის მხრივ მოითხოვს საკვლევი მეთოდების და მეთოდოლოგიების შემდგომ სრულყოფას. წარმოდგენილ ნაშრომში განიხილებიან ორიგინალური მოდელების აგებასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც თავის მხრივ წარმოადგენენ საჭირო დამოკიდებულებების გამოვლენის საფუძველს განხილვადი სისტემების მიზანდასახული სტრუქტურულ-პარამეტრული სინთეზისათვის.

**ON THE ISSUE OF ELECTRO-PNEUMATIC DRIVE DYNAMICS IN THE
MECHANICAL PART**

**Tamaz Mchedlishvili, Valerian Chitaishvili, Khatuni Amkoladze,
David Bestavashvili**

Abstract

Dynamic studies of modern electropneumomechanical drives are in many ways related to the consideration of the elastic properties of mechanical transmission elements that in turn requires further refinement of research methods and methodologies. In the presented paper are considered issues related to the development of original models, which in turn represents the basis for identifying the necessary relationships for the purposeful structural-parametric synthesis of the systems under consideration.

К ВОПРОСУ ДИНАМИЧЕСКОГО СИНТЕЗА ЭЛЕКТРОПНЕВМОМЕХАНИЧЕСКОГО СЛЕДЯЩЕГО ПРИВОДА С УПРУГИМИ СВЯЗЯМИ В МЕХАНИЧЕСКОЙ ЧАСТИ

Мchedlishvili Тамаз, Читаишвили Валериан, Кобахидзе Лери,

Нинуа Серго

(Грузинский технический университет, ул. Костава №77, 0160,

Тбилиси, Грузия)

Резюме: *Динамические исследования современных электропневмомеханических систем приводов сопряжены с учетом упругих свойств в механических передаточных элементах, что в свою очередь требует дальнейшего совершенствования методов и методик динамических исследований. В настоящей работе рассматриваются вопросы разработки необходимых математических зависимостей, необходимых для реализации целенаправленных вопросов, связанных со структурно-параметрическим синтезом рассматриваемой системы привода при неполной наблюдаемости координат.*

Ключевые слова: электропневмомеханическая система, структурно-параметрический синтез, структурная схема, характеристическое уравнение.

ВВЕДЕНИЕ

Задачам динамики электропневматических систем приводов, в том числе систем с упругими связями посвящено определенное число работ, в том числе работы [1-6].

В развитии названных работ в настоящей работе решаются вопросы связанные с разработкой методологии целенаправленного синтеза исследуемой системы с использованием теории синтеза по заданным переходным процессам.

ОСНОВНАЯ ЧАСТЬ

В работе [4, 5] рассмотрены вопросы построения математических моделей динамики электропневмомеханической системы привода летательного аппарата с учетом упругостей силовой проводки от штока пневмоцилиндра к основанию летательного аппарата, построена оригинальная двухконтурная структурная схема,

направленная на решение последующих задач целенаправленного синтеза с использованием методологии, разработанной в работах [7,8].

Согласно указанного дальнейшие исследования строим на основе использования преобразованной двухконтурной структурной схемы, приведенной в работе [5].

Согласно указанной структурной схемы структурная схема внутреннего контура может быть представлена в виде, приведенном на рис. 1.




Рис. 1. Структурная схема внутреннего контура

Здесь же отметим, что для краткости изложения все условные обозначения, приведенные на рис. 1 и в большинстве последующих математических зависимостях будем считать заимствованными из предыдущих работ [4] и [5].

Согласно рис. 1 можем записать:

$$W_{BK} = \frac{W_{BK1} W_e K_y}{1 + (K_{oc} + K_{os}s) W_{VK1} W_e K_y}; \quad (1)$$

где:

$$W_{BK1} = \frac{W_{p1} W_{uB} W_{mn}}{1 + W_{p1} W_{yB} W_{mn} \frac{B_1}{K_G} s}; \quad (2)$$

$$W_{p1} = \frac{W_{pg}}{1 + W_{pg} W_{yc} \frac{B_1}{K_G} s}; \quad (3)$$

$$W_{yb} = A_n + \frac{A_c}{C_{oc}} b_n s; \quad (4)$$

$$W_{mn} = \frac{1}{m_{\Sigma}s^2 + b_{\Sigma}s + c_s} \quad (5)$$

Если задачу рассмотреть в первом приближении, то можем записать:

$$W_{yc} \approx \frac{A_c}{C_{oc}};$$

$$W_{yb} \approx A_n;$$

$$W_{p1} = \frac{K_{Gp}}{B_{2k}s + K_{Gp}};$$

$$B_{2k} = B_2 + \frac{K_G A_c B_1}{C_{oc} K_e}.$$

В развернутой форме можем записать:

$$W_{VK1} = \frac{K_G A_n}{a_{B3}s^3 + a_{B2}s^2 + a_{B1}s + a_{B0}}, \quad (6)$$

где:

$$a_{B3} = m_{\Sigma} B_{2k};$$

$$a_{B2} = b_{\Sigma} B_{2k} + m_{\Sigma} K_{Gp};$$

$$a_{B1} = c_s B_{2k} + b_{\Sigma} K_{Gp} + A_n B_1;$$

$$a_{B0} = C_s K_{Gp}.$$

В свою очередь:

$$W_{BK} = \frac{b_{B0} K_e K_y}{(a_{B3}s^3 + a_{B2}s^2 + a_{B1}s + a_{B0}) + b_{B0} K_e K_y (K_{oc} + K_{oc}s)} = \frac{M_{BK}}{N_{BK}}; \quad (7)$$

$$M_{BK} = b_{B0} K_e K_y; \quad (8)$$

$$N_{BK} = a_{B3}s^3 + a_{B2}s^2 + a_{B1}s + a_{B0*}, \quad (9)$$

где:

$$a_{B1*} = a_{B1} + b_{B0} K_e K_y K_{os};$$

$$a_{B0*} = a_{B0} + b_{B0} K_e K_y K_{oc}.$$

Согласно теории синтеза по заданным переходным процессам, изложенной в работе [5-9], относительно систем с неполной наблюдаемостью координат, в

рассматриваем случае поиск синтезируемых параметров K_y , K_{os} и $K_{p\delta}$ ищем на основе 1) интегрального приближения переходных процессов к заданным для внутреннего контура и 2) достижения определенно коэффициента относительного затухания ζ в приложении основной колебательной составляющей переходного процесса системы в целом.

В этой связи используем исходные зависимости:

1) получаемую на основе интегрального приближения характеристик мнимых частот регулируемой и делаемой координаты

$$y_n(\delta) = \frac{M_{нжс}(\delta)}{N_{нжс}(\delta)} U_3(\delta)$$

где δ – мнимая частота, а z_m масштабный коэффициент времени [6] и,

2) получаемых из рассмотрения частотного уравнения всей системы.

По пункту 1) в развернутой форме записываем условные уравнения в аппроксимационных точках δ_v

$$K_y \Phi_y(\delta_v) + \Phi_0(\delta_v) = 0, \quad (10)$$

$$v = 1, 2, 3 \dots$$

где:

$$\Phi_y(\delta_v) = E_1(\delta) K_{os} + E_2(\delta) - E_3(\delta);$$

$$\Phi_0(\delta_v) = M_{нжс}(\delta) N_{BK}(\delta);$$

$$E_1(\delta) = l_{Bo} K_e M_{нжс}(\delta) \delta;$$

$$E_2(\delta) = l_{Bo} K_e K_{oc} M_{нжс}(\delta);$$

$$E_3(\delta) = l_{Bo} K_e N_{нжс}(\delta).$$

Обрабатывая систему условных уравнений по методу наименьших квадратов относительно искомого параметра K_y [10] получаем:

$$K_y \sum_v \gamma_v^2 \Phi_y^2(\delta_v) + \sum_v \gamma_v^2 \Phi_0(\delta_v) \Phi_y(\delta_v) = 0, \quad (11)$$

где:

$$\Phi_y^2(\delta_v) = [E_1(\delta_v) K_{os} + E_2(\delta_v)] = E_1^2(\delta_v) K_{os}^2 + 2E_1(\delta_v) E_2(\delta_v) K_{os} + E_2^2(\delta_v);$$

$$E_{23}^{(\delta_v)} = E_2(\delta_v) - E_3(\delta_v).$$

Или в преобразованной форме

$$K_y \gamma_v^2 \left[\sum_v E_1^2(\delta_v) K_{os}^2 + \sum_v 2E_1(\delta_v) E_{23}(\delta_v) K_{os} + \sum_v E_{23}^2(\delta_v) \right] + \sum \gamma_v^2 \Phi_0(\delta_v) [E_1(\delta_v) K_{os} + E_{23}(\delta_v)] = 0. \quad (12)$$

Далее переходим к передаточной функции системы в целом, которая согласно материала, изложенного в работе [5] может быть записана в виде

$$W_{ob\Delta\varphi}(s) = \frac{\Delta y_m}{u_3} = \frac{W_{Bkжс} W_{m\Delta y} W_{\Delta y m}}{1 + W_{kжс} W_{m\Delta y} W_{\Delta y m} W_{oc\Sigma}} = \frac{M_{ob\Delta\varphi}}{N_{ob\Delta\varphi}}, \quad (13)$$

где:

$$W_{Bkжс} = \frac{M_{нжс}(s)}{N_{нжс}(s)}; \quad (14)$$

$$W_{oc\Sigma} = K_{oc} K_{ocm} + K_{p\partial} \frac{C_k}{A_n} - W_{oc\Delta\varphi m}. \quad (15)$$

При этом в приведенных зависимостях условные обозначения заимствованы из работы [5].

Получаем характеристическое уравнение 5-ой степени

$$N_{ob\Delta\varphi}(s) = s^5 + A_1 s^4 + A_2 s^3 + A_3 s^2 + A_4 s + A_5, \quad (16)$$

с помощью которой на основе подстановки $s = \varepsilon + j\omega$ и выделения действительно и мнимой частей приходим к частотным уравнениям

$$U(\omega, K_y, K_s, K_{pg}) = 0, \quad (17)$$

$$V(\omega, k_y, k_s, k_{pg}) = 0. \quad (18)$$

На основе решения системы уравнений (12), (17) и (18) определяем искомые коэффициенты K_y , $K_{p\partial}$ и K_{os} .

Схема решения указанных уравнении следующая: из уравнении (17) и (18) определяем выражения

$$K_y = f_y(K_s),$$

и

$$K_{p\partial} = f_p(K_s)$$

и эти выражения подставляем в равенство (12), в результате чего приходим к нелинейном уравнению относительно искомой K_s значение которой можем определить графически.

ЗАКЛЮЧЕНИЕ

На основе проведенных исследований получены необходимые математические зависимости и сформулирована методология параметрического синтеза исследуемой системы.

Литература:

1. Крымов Б.Г., Рабинович Л.В., Стебельцов В.Г. Исполнительные устройства систем управления летательными аппаратами. М.: Машиностроение, 1987, 264 с.
2. Попов Д.Н. Динамика и регулирование гидро- и пневмосистем. М.: Машиностроение, 1987, 464 с.
3. Мchedlishvili T.F., Chitaishvili V.A., Tavadze A.T., Zukaishvili R.I., Nikvashvili N.K. К вопросу динамики электропневматического привода // Транспорт и машиностроение, Тбилиси, № 1(44), 2019.
4. Мchedlishvili T.F., Chitaishvili V.A., Bestavashvili D.E., Zukaishvili R.I., Tavadze A.T. К вопросу динамики электропневмомеханического следящего привода // Транспорт и машиностроение, Тбилиси, № 3(46), 2019.
5. Мchedlishvili T.F., Chitaishvili V.A., Bestavashvili D.E. К вопросу динамики электропневмомеханического следящего привода с упругими связями в механической части // Транспорт и машиностроение, в настоящем журнале.
6. Мchedlishvili T.F. Научные основы и прикладные задачи теории синтеза нелинейных систем приводов по заданным переходным процессам. Тбилиси, «Технический университет», 2008, 273 с.
7. Мchedlishvili T.F., Kiria V.I., Romanadze I.P., Goletiani G.S. К вопросу динамики электромеханической системы привода с упругими звеньями в механической части / Труды международной научной конференции «Иновационные технологии и материалы», Тбилиси, 2011, с. 80-86.
8. Z. Surmava. To the issue of synthesis Systems with elastic constraints and backlash joints. // Problems of Mechanics, Tbilisi, N 3(80), 2020, pp. 43-48.
9. T. Mchedlishvili. Z. Surmava, G. Goletiani, V. Chitaishvili, T. Kipiani, K. Kobakhidze. To the Study of dynamics of electromechanical Drive systems with elastic constraints and backlash joints in the mechanical Part // Problems of Mechanics, Tbilisi, N 3(76), 2019, pp. 39-44.

10. Анализ и оптимальный синтез на ЭВМ систем управления / Под ред. А.А. Воронова и И.А. Огурка. М.: Наука, 1984, 344 с.

**მექანიკურ ნაწილში დრეკადკავშირებიანი
ელექტროპნევმომექანიკური მოთვალთვალე ამძრავის დინამიკური
სინთეზის საკითხის შესახებ**

**თამაზ მჭედლიშვილი, ვალერიან ჩიტაიშვილი, ლერი კობახიძე,
სერგო ნინუა
რეზიუმე**

თანამედროვე მოთვალთვალე ელექტროპნევმომექანიკურ ამძრავთა სისტემების დინამიკური კვლევები მრავალწილად დაკავშირებულნი არიან მექანიკური გადამცემი ელემენტების დრეკადი თვისებების გათვალისწინებასთან, რაც თავის მხრივ მოითხოვს დინამიკური კვლევების მეთოდების და მეთოდიკების შემდგომ სრულყოფას. წარმოდგენილ ნაშრომში განიხილებიან ამძრავთა განხილვადი სისტემების კოორდინატთა არამთლიანი დამკვირვებლობის პირობებში სტრუქტურულ-პარამეტრულ სინთეზთან დაკავშირებული მიზანმიმართული საკითხების რეალიზაციასათვის საჭირო მათემატიკური დამოკიდებულებების შემუშავების საკითხები.

**ON THE ISSUE OF DYNAMIC SYNTHESIS OF ELECTRO-PNEUMATIC
FOLLOW-UP DRIVE IN THE MECHANICAL PART**

Tamaz Mchedlishvili, Valerian Chitaishvili, Leri Kobakhidze,

Sergo Ninua

Abstract

Dynamic studies of modern follow-up electropneumomechanical drive systems are largely related to the consideration of the elastic properties of mechanical transmission elements that in turn requires further refinement of dynamic research methods and techniques. In the presented paper are considered the issues of developing mathematical relationships necessary for the realization of purposeful problems related to structural-parametric synthesis under the conditions of incomplete observation of the coordinates of the driving systems under consideration.

CorelDRAW-ს ფერები და ფერთა მოდელების ურთიერთდამოკიდებულება თუა ბარამაშვილი, ნათელა ჯავახიშვილი

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას, ქ. №77, 0160,
თბილისი, საქართველო)

რეზიუმე: სტატიაში განხილულია კომპიუტერზე ფერის მიღების საშუალებები. მოცემულია ფერების დახასიათება, ფერთა მოდელები, რომლებიც ყველა ფერს ციფრული კოორდინატებით წარმოადგენენ. ეს მოდელები გამოიყენება კომპიუტერულ ტექნოლოგიებში გამოსახულების პიქსელების ფერის ციფრული მნიშვნელობის ჩასაწერად. ნაშრომში აღწერილია ფერის ციფრული მაჩვენებლის ჩაწერის ფერთა რეჟიმები, ფერის ჩაწერის მარტივი ვარიანტები დიდი ზომის ფაილების შემცირების მიზნით. მოცემულია გამოსახულების მოდელის შეცვლის შესაძლებლობები და საბოლოო რედაქტირება.

საკვანძო სიტყვები: ფერი, პიქსელი, ფერთა მოდელები, კომპიუტერული გრაფიკა, პოლიგრაფია, არეკვლა, საღებავი, გამოსახულება, ფერთა წრე.

RGB ფერთა სისტემა საფუძვლად უდევს მონიტორებს, სკანერების ერთ ნაწილს და კომპიუტერული პროგრამების უმრავლესობას. კომპიუტერის ეკრანზე ყველა ფერის მიღება, სწორედ ამ სამი ფერის სხვადასხვა პროპორციის შერევით არის შესაძლებელი.

ადამიანის ირგვლივ უამრავი ფერია და რადგან ფერი „შეგრძნებაა“, ძნელად თუ მოიძებნება ორი ადამიანი ერთი და იგივე ფერის ერთნაირად აღქმითა და გადმოცემის უნარით. მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმდება, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ფერის სახელების რაოდენობითაც ძალიან შეზღუდული ვართ. ხშირ შემთხვევაში, ფერებს ფართოდ გავრცელებული საგნების სახელებით გადმოვცემთ. მაგ., ვარდისფერი, ცისფერი, იისფერი და ა. შ. ყველა ადამიანს ამ ფერებზე საკუთარი წარმოდგენა აქვს (მაგ., იის ოცამდე

სახეობა და სამასამდე ქვესახეობა არსებობს და არც ცა არის ყოველთვის ერთი ფერის). ზეპირი სიტყვით გადმოცემული ფერის წარმოდგენა, რათქმუნდა შეიძლება, მაგრამ არსებობს ისეთი დარგები (მაგ., პოლიგრაფია, კომპიუტერული ტექნოლოგიები), სადაც ფერის დახასიათება მათემატიკური სიზუსტით არის საჭირო.

როგორც აღვნიშნეთ, ფერთა წრეზე ნებისმიერი ფერის მოძებნა შეიძლება, მაგრამ იქ მოძებნილი ფერის კომპიუტერის ეკრანზე გადატანა შეუძლებელია. გარდა ამისა, არსებობს ფერთა კატალოგები, მაგრამ მათში ფერთა შეზღუდული რაოდენობა არის წარმოდგენილი (კატალოგები პოლიგრაფიული პროდუქტია და ქაღალდზე შეუძლებელია ფერის მრავალფეროვნების სრულად გადმოცემა). ყველაზე კარგად ფერს ადამიანის თვალი არჩევს, მონიტორის ეკრანზე შესაძლებელია ადამიანის მიერ დანახული ფერების მხოლოდ გარკვეული ნაწილის ასახვა და კიდევ უფრო ნაკლები ფერების გადმოცემა შეიძლება პოლიგრაფიული მეთოდებით. ფერთა ობიექტური და საფუძვლიანი დახასიათებისთვის შეიქმნა ფერთა მოდელები, რომლებიც ყოველ ფერს წარმოადგენენ ციფრული კოორდინატებით. ეს მოდელები გამოიყენება კომპიუტერულ ტექნოლოგიებში გამოსახულების პიქსელების ფერის ციფრული მნიშვნელობების ჩასაწერად.

ფერები და ფერთა მოდელების ურთერთდამოკიდებულების უკეთესად გასაგებას საჭიროა სრულფეროვანი ფერის მოდელების დეტალური განხილვა. არსებობს შვიდი სახის ფერთა მოდელი: RGB; CMKY; HSB; Lab; CMY; YIQ და YCC. დამუშავებულია ფერის 3 ძირითადი მოდელი და მრავალი მათი მოდიფიკაცია. მათ შორის ძირითადი მოდელები გამოიყენება:

- ❖ RGB – კომპიუტერულ გრაფიკაში;
- ❖ CMYK – პოლიგრაფიაში;
- ❖ HSB – ფერის აღწერა-კატალოგიზაციაში;
- ❖ Lab – ტექნიკური მიზნებისთვის.

ფერთა მოდელების საშუალებით ხდება ფერის ციფრული მაჩვენებლების ჩაწერა, მაგრამ იმისათვის, რომ ამ ინფორმაციის გამოყენება იყოს შესაძლებელი, შექმნილია ფერთა რეჟიმები. Adobe Photoshop-ში ყოველ მოდელს შეესაბამება საკუთარი რეჟიმი.

ზემოთ ჩამოთვლილი ძირითადი მოდელები, სრულად აღწერენ ფერს და სრულფეროვანი მოდელები ეწოდებათ. მათი საშუალებით შეიძლება გადმოიცეს ფერთა უწყვეტი დიაპაზონი. ფერის დეტალური აღწერა იწვევს ინფორმაციის მოცულობის ზრდას, რაც საბოლოო ჯამში, ზრდის ფაილის ზომას. პრაქტიკული თვალსაზრისით, დიდი ზომის ფაილების გამოყენება, ზოგიერთ შემთხვევაში (მაგ., ინტერნეტში გამოსახულების განთავსების მიზნით) შეუძლებელია. ამიტომ, არსებობს ფერის ჩაწერის უფრო მარტივი ვარიანტები, ფერის ჩაწერის შეზღუდული შესაძლებლობებით. ასეთ რეჟიმებს არასრულფეროვანი რეჟიმები ეწოდება. მათ შორის, სამი ყველაზე ხშირად გამოიყენება: Indexed color – ფერთა პალიტრა შეიცავს 255 ფერს. გამოიყენება Web -დიზაინში. Greyscale – შავ-თეთრი ფოტოსურათების რეჟიმი. ყოველ პიქსელს აქვს ფერის გადმოცემის შესაძლებლობა 255 ტონალობაში, სადაც 0 - შავია, ხოლო 255 თეთრი. Monochrome – ორფეროვანი გამოსახულების რეჟიმი (ფოტოშოპში ამ რეჟიმს “Bitmap“-ი ჰქვია).

გამოსახულების ერთი მოდელიდან მეორეში გადაყვანა, ტექნიკური თვალსაზრისით, უპრობლემოდ შეიძლება. ამისათვის არსებობს სპეციალური ალგორითმები, მაგრამ პრობლემა ის არის რომ, კონვერტირებისას ინფორმაციის გარკვეული ნაწილი იკარგება. მაგ., RGB მოდელში სამი ფერია, ხოლო CMYK- ში – ოთხი და ეს ფერები ერთმანეთისგან კარდინალურად განსხვავდებიან. როდესაც ხდება მოდელის შეცვლა, პიქსელის ფერი მისი ფერის მიახლოებული ფერით იცვლება. ამიტომ, გამოსახულების მოდელის შეცვლა, მხოლოდ რედაქტირების მიზნით არ შეიძლება. სრულფეროვან მოდელიან გამოსახულებებში, ყველაზე ნაკლებად ინფორმაცია RGB მოდელიდან Lab მოდელში გადაყვანის დროს მახინჯდება, რის გამოც, Lab მოდელს იყენებენ რედაქტირების დროს. იმ

შემთხვევაში, თუ გამოსახულება მზადდება სტამბისათვის, მისი გადაყვანა CMYK მოდელში ხდება რედაქტირების ბოლო ეტაპზე.

ფერებისა და ფერთა მოდელების ურთიერთდამოკიდებულების უკეთესად გასაგებად, საჭიროა სრულფეროვანი ფერის მოდელების უფრო დეტალურად განხილვა.

RGB მოდელი.


RGB – მთავარი მოდელია კომპიუტერულ გრაფიკაში. წითელი, მწვანე და ლურჯი ფერების კომბინაციით ყველა ფერის მიღება შეიძლება მონიტორის ეკრანზე, მაგ., წითელი და მწვანე ფერების შერევით მიიღება ყვითელი, მწვანისა და ლურჯის შერევით – ცისფერი, ლურჯისა და წითელის შერევით მეწამური, სამივე ფერის შერევით თეთრი. ასეთი ფერები მიიღება მაშინ, როდესაც სრული სიმკვეთრის საღებავების შერევა ხდება.

CMYK მოდელი.

თეთრი ფერი იმიტომ არის თეთრი, რომ იგი აირეკლავს ყველა ფერს. თუ თეთრ ფურცელზე დავასხავთ წითელ საღებავს, ის შთანთქავს მასზე მოხვედრილი სინათლის მწვანე და ლურჯ სხივებს და აირეკლავს მხოლოდ წითელს. იგივე ხდება მწვანე და ლურჯი საღებავების შემთხვევაში: მწვანე შთანთქავს წითელს და ლურჯს და აირეკლავს მწვანეს, ლურჯი შთანთქავს წითელს და მწვანეს და აირეკლავს ლურჯს. კომპიუტერის ეკრანზე, ამ სამი ფერით ყველა ფერის მიღება შეიძლება, ხოლო, ფურცელზე ისინი ერთმანეთს ანადგურებენ.


თუ ამ ფერებს ფერთა წრეზე მოვძებნით, ვნახავთ რომ ურთიერთდაპირისპირებული ფერები ერთმანეთის პირისპირ მდებარეობენ, ხოლო ერთი ჯგუფის ორ ფერს შორის მოთავსებულია ფერი, რომელიც მეზობელი ფერების შერევით მიიღება. გამოსახულების ფერის კორექციის დროს, ფერთა ამ ურთიერთდამოკიდებულების ცოდნა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ფოტოშოპის ზოგიერთ ხელსაწყოს ამ ორი ჯგუფის დაპირისპირება უდევს

საფუძვლად: წითელი ფერის შემცირება, იწვევს ცისფერი ფერის ზრდას (და პირიქით), მწვანეს შემცირებით, იზრდება მეწამური (და პირიქით), ლურჯის შემცირებით, იზრდება ყვითელი (და პირიქით).



სურ. 1. დაპირისპირებულ ფერთა სამეული.

ისევე, როგორც წითელი, მწვანე და ლურჯი ფერებით მიიღება ყველა ფერი კომპიუტერის ეკრანზე, თეორიულად, ცისფერი, მეწამური და ყვითელი ფერები უნდა იძლეოდნენ ყველა ფერს ფურცელზე.



სურ. 2. CMYK მოდელი.

მაგრამ, პრაქტიკაში, ამ საღებავების გარდა, გამოიყენება შავი ფერის საღებავიც. ეს იმიტომ ხდება რომ, მხოლოდ სამი საღებავით ბეჭვდება, ძალიან ძვირადღირებულია (შავი საღებავის მისაღებად, დიდი რაოდენობის საბაზო ფერები არის საჭირო თანაბრად დაბალანსებული პროპორციებით, წინააღმდეგ შემთხვევაში, შავის ნაცვლად, ნაცრისფერის რომელიმე ტონალობა მიიღება).

ასე ჩამოყალიბდა პოლიგრაფიაში CMYK მოდელი, რომლის სახელი, საღებავების ინგლისური სახელწოდების პირველი ასოებისგან შედგება: Cyan –

ცისფერი (C); Magenta – მეწამური (M); Yellow – ყვითელი (Y); black – შავი (K), ამ ფერის ინგლისური სახელწოდებიდან აიღეს ბოლო ასო, რადგან პირველი (B) უკვე დაკავებული იყო RGB მოდელში.

ფერთა CMYK მოდელში, გამოსახულებას აქვს ოთხი არხი და თითო არხზე პიქსელების მაჩვენებლები 0-დან 100% – მდე დიაპაზონში იცვლება. ეს იმიტომ ხდება რომ, პოლიგრაფიაში საღებავების ბალანსს პროცენტებში იანგარიშება.



სურ. 3. ფერთა ინტენსივობა CMYK მოდელში.

ფერის CMYK მოდელი მხოლოდ პოლიგრაფიაში არ გამოიყენება, სამომხმარებლო პრინტერების უმრავლესობა, სწორედ ამ მოდელით მუშაობს. ამრიგად, RGB და CMYK მოდელები ციფრული ინფორმაციის აღწერის, ჩაწერის და გადმოცემის ყველაზე მნიშვნელოვანი და გავრცელებული მოდელებია. RGB გამოიყენება კომპიუტერულ ტექნოლოგიებში და ინახავს ინფორმაციას ადიტიური ფერების შესახებ, როდესაც ფერი მიიღება საბაზო ფერის შერევით, ხოლო CMYK მოდელი ინახავს ინფორმაციას სუბტრაქტული ფერების შესახებ, როდესაც ფერი მიიღება რომელიმე ფერის შთანთქმით.


HSB მოდელი.

RGB და CMYK მოდელებისგან განსხვავებით HSB მოდელი ტექნიკურ საშუალებებზე (კომპიუტერი, პრინტერი, საღებავი სტამბაში) არ არის დამოკიდებული.

ტონი (H) - ამ პარამეტრს საფუძვლად უდევს ფერთა წრე და რადგან ყველა ტონს წრეზე საკუთარი ადგილი უკავია, კორდინატის ჩაწერა გრადუსებში ხდება – 0-დან 359-მდე დიაპაზონში.

გაჯერებულობა (S) – განსაზღვრავს ფერის სისუფთავს. ამ მაჩვენებლის შემცირება იწვევს გამოსახულების გაფერმკრთალებას. პრაქტიკაში გაფერმკრთალება გამოიხატება საღებავში თეთრი ფერის დამატებით.

სიკაშკაშე (B) – ნიშნავს ფერის განათებულობას. ამ პარამეტრის შემცირება იწვევს ფერის გამუქებას. ეს ეფექტი საღებავში შავი ფერის დამატებით გამოიხატება. S და B პარამეტრების ციფრული მაჩვენებელი იწერება პროცენტებში – 0-დან 100%-მდე დიაპაზონში.




სურ. 4. HSB მოდელი.

მოდელი გამოიყენება ფერთა კატალოგიზაციისათვის და ეკრანზე კაშკაშა ფერების შესაქმნელად. მას არა აქვს ფერთა არხები და ამიტომ, გამოსახულების შენახვა ამ მოდელში არ შეიძლება. სჭირია მისი გადაყვანა RGB ან CMYK მოდელებში.

Lab მოდელი.

Lab მოდელი ყველაზე ახლოს დგას ადამიანის მიერ ფერთა აღქმის მოდელთან. ნებისმიერი ფერი ამ მოდელში განისაზღვრება: L სიმკვეთრით (Lightness) და a და b ქრომატული კომპონენტებით, სადაც a-ს ცვლილების დიაპაზონი მუქი მწვანიდან-მეწამურამდე, ხოლო b-ს დიაპაზონი – ღია ლურჯიდან-კაშკაშა ყვითლამდეა. მოდელი სამ არხიანია. L პარამეტრების ციფრული მაჩვენებელი იზომება 0-დან 100-მდე დიაპაზონში, ხოლო a და b პარამეტრების კორდინატები, -128-დან +127-მდე დიაპაზონებში.



სურ. 5. Lab მოდელი.

Lab მოდელი მოიცავს ფერთა სრულ დიაპაზონს, ამიტომ გამოიყენება ფერის ეტალონიზაციისთვის იმ სისტემებში, რომლებიც სხვადასხვა მოდელებში მუშაობენ. მაგ., თუ საჭიროა გამოსახულების გადაყვანა RGB მოდელიდან CMYK მოდელში, ჯერ უნდა გადავიყვანოთ RGB-დან Lab მოდელში, ხოლო შემდეგ, Lab-დან CMYK-ში. გარდა ამისა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ მოდელის გამოყენება შეიძლება გამოსახულების ფერის კორექციის დროს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თ. ბარამაშვილი და სხვ. - Corel DRAW (ლექციების კურსი); საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; თბილისი; 2019წ.;
2. <http://corel.demiart.ru/book/1.2.htm> (გადამოწმებულია 30.11.2020წ.);
3. <https://www.coreldraw.com/ru/> (გადამოწმებულია 30.11.2020წ.);
4. <http://www.corel.com/> (გადამოწმებულია 30.11.2020წ.);
5. <http://www.ehow.com/corel-tutorial/> (გადამოწმებულია 30.11.2020წ.);
6. <http://www.corel.com/servlet/Satellite?pagename=Corel2/Products/Content&pid=1047022690654&cid=1047023183190> (გადამოწმებულია 30.11.2020წ.);
7. http://www.corel.com/content/pdf/cgsx3/tutorials/dr_4.pdf (გადამოწმებულია 30.11.2020წ.);
8. <http://www.youtube.com/watch?v=Yjp8gsR-OM8> (გადამოწმებულია 30.11.2020წ.);
9. <https://www.youtube.com/watch?v=viYRiJnBatY> (გადამოწმებულია 30.11.2020წ.);
10. <https://www.youtube.com/watch?v=MUd8ocefwa4&list=PL2ENojAgBDJ1kCyGNvoklJmqjCuos4FxC> (გადამოწმებულია 30.11.2020წ.);

11. http://www.insidegraphics.com/corel_draw/default.asp

(გადამოწმებულია 30.11.2020წ.).

CorelDRAW ცвета и взаимосвязь с цветовой моделью

Tea Baramashvili, Natela Javakhishvili

Резюме

В статье рассматриваются способы получения цвета на экране компьютера. Дана характеристика цветов и модели цвета, которые каждый цвет представляют в цифровых координатах. Эти модели используются в компьютерных технологиях для записи цифровых значений цвета пикселей. В работе рассматриваются цветовые режимы записи числового значения цвета, простые варианты записи цвета с целью уменьшения файлов больших размеров. Показаны возможности изменения модели изображения и окончательного редактирования.

CorelDRAW COLORS AND COLOR MODELS INTERDEPENDENCE

Tea Baramashvili, Natela Javakhishvili

Abstract

In the presented paper are considered the means of getting color on a computer. Characterization of colors is given, color models that represent all colors with digital coordinates. These models are used in computer technology to record the digital meaning of the color of an image pixel. The paper describes the color modes for recording digital color indicators, simple color recording options to reduce large files. The possibilities of changing the image model and final editing are given.

ხე-ტყის დამზადების ეფექტიანობის და ეკონომიკურად ხელმისაწვდომი რესურსების განსაზღვრა

ზაურ ჩიტბე, თეიმურაზ კანდელაკი, ზაურ ბალამწარაშვილი,

იგორ გელაშვილი, ირაკლი გრძელიშვილი

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას №77, 0160, თბილისი, საქართველო)

რეზიუმე: სტატია ეხება ნედლეულის ეკონომიკურად ხელმისაწვდომი რესურსების განსაზღვრას. ცხრილების სახით მოყვანილია სხვადასხვა დიამეტრის მერქნის ეფექტიანი დამზადების განსაზღვრა, მერქნის ეფექტიანი დამზადების განსაზღვრა მუდმივი ხარჯების გავლენის გათვალისწინებით და სორტიმენტების ეფექტიანი დამზადების პირობების განსაზღვრა მუდმივი ხარჯების გათვალისწინებით. აგრეთვე გრაფიკის სახით მოყვანილია მერქნის ეკონომიკურად ხელმისაწვდომი რესურსების განსაზღვრა.

საკვანძო სიტყვები: ხე-ტყის რესურსები; რესურსების განსაზღვრა, მერქნის დამზადება.

შესავალი

მეწარმემ, როდესაც იჯარით ან სარგებლობის სხვა ფორმით იღებს ტყის რესურსებს, უნდა დაადგინოს, თუ ეფექტიანობის რა ხარისხით შეიძლება დაამზადოს სხვადასხვა სახეობის, ზომებისა და ხარისხობრივი მახასიათებლების მერქანი. ცენტრალიზებულ-დაგეგმვით ეკონომიკაში ამგვარი საკითხები გადაიჭრებოდა დირექტიული გზით, როდესაც საწარმოებამდე დაიყვანებოდა ცალკეული სორტიმენტების წარმოების დავალებები დანახარჯებისა და შემოსავლების გათვალისწინებლად, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ტყის დამზადება იყო წამგებიანი, ზარალი იფარებოდა საბიუჯეტო დოტაციით. ამჟამად ის ფაქტი, რომ სხვადასხვა სახეობისა და ზომების მერქანზე არსებობს სხვადასხვა მოთხოვნა, და მაშასადამე, განსხვავებული საბაზრო ფასებიც. წიწვოვანი სახეობის (ფიჭვი, ნაძვი) ხეების დამზადება ყოველთვის უმჯობესია ფასების

თვალსაზრისით, ვიდრე ფოთლოვანი სახეობების (არყის ხე, ვერხვი) დამზადება. დიდზომიანი მაღალხარისხიანი სორტიმენტების (სახერხი მორი, საფანერე ბუკი) წარმოება უფრო რენტაბელურია მცირეზომიანი სორტიმენტების დამზადებასთან შედარებით. მცირეზომიანი დაბალხარისხიანი მერქნის სორტიმენტებზე დაბალ ფასებთან ერთად მათი წარმოება ხასიათდება მომატებული შრომატევადობით, და მაშასადამე, უფრო მაღალი ხარჯებით ტყის დამამზადებელი პროცესის თითქმის ყველა ოპერაციაზე (ხის და ტოტების მოჭრა, მორთრევა, დატვირთვა). მაგალითად, შეადარეთ მერქნის დამზადების ხარჯები შოლტის 0,25 მ³ და 1,0 მ³ მოცულობის მქონე ნარგავებში. იმისათვის, რომ დამზადდეს შოლტის 0,25 მ³ მოცულობის მქონე მერქნის 1 მ³, საჭიროა 4 ხის მოჭრა (1,0:0,25), მათი გამოთრევა და ტოტების აკაფვა. შრომის ხარჯები ყველა ამ ოპერაციაზე იქნება გაცილებით მეტი, ვიდრე შოლტის 1,0 მ³ მოცულობის მქონე ერთი ხის დამზადებისას.

ძირითადი ნაწილი

იმ გადაწყვეტილების მისაღებად, თუ რომელი ხეები და სორტიმენტები უნდა დამზადდეს, ხოლო რომელი დარჩეს ტყეკაფზე, საბაზრო ეკონომიკაში არსებობს შემდეგი ცნებები და კატეგორიები: მარჟინალური ხე და მარჟინალური მორი. მარჟინალური ხე არის ხე, რომლის დამზადებაც მეწარმისათვის უზრუნველყოფს ნულოვან მოგებას. ასეთი ხე ხასიათდება გარკვეული ხარისხობრივი პარამეტრებით, რომელთაგანაც ძირითადია დიამეტრიც მკერდის სიმაღლეზე და სახეობა. ასე მაგალითად, თუ 14 სმ დიამეტრის ნაძვი აღიარებულია მარჟინალურ ხედ, მაშინ დასახელებულზე ნაკლები დიამეტრის ხეების დამზადება აღიარებულია ეკონომიკურად არამომგებიანად. მარჟინალური მორი არის ის მორი, რომლის დამზადებაც დამამზადებლისათვის უზრუნველყოფს ნულოვან შემოსავალს (მოგებას).საჭიროა ამ წესით ხელმძღვანელობა შოლტების დამორვისას ცალკეულ სორტიმენტებად. ერთი და იმავე შოლტისაგან შეიძლება სხვადასხვაგვარი სორტიმენტების დამზადება, უკეთესი ხარისხისა – კინტისა და შუა ნაწილიდან, უარესი – კენწეროდან (ნაკლები ზომა, ნუჟრიანი ზონის არსებობა და ა.შ.). სწორედ

ამ მომენტებით აიხსნება ის ფაქტი, რომ საზღვარგარეთ ყველაზე მეტი გავრცელება ჰპოვა ტექნოლოგიამ განაკაფში სორტიმენტების წარმოებით. ამ შემთხვევაში განაკაფში რჩება ხეები და მორები (სორტიმენტები), რომლებსაც აქვს ზომით-ხარისხობრივი მახასიათებლები იმაზე დაბალი, რომლებიც შეესაბამება მარჟინალურ ხეებსა და სორტიმენტებს. შოლტების ან ხეების გაზიდვისას ქვედა საწყობში მიაქვთ ხეები, რომელთა შემდგომი გამოყენება ზოგჯერ ხდება ეკონომიკურად წამგებიანი, თუმცა უკვე გაწეულია შოლტების დამზადებისა და საწყობში მიტანის ხარჯები.

მარჟინალური ხის (შოლტის) და მარჟინალური სორტიმენტის განსაზღვრისას იყენებენ დანახარჯების კლასიფიკაციას, რომელიც ითვალისწინებს მათ დაყოფას მუდმივებად და ცვლადებადად. მუდმივ ხარჯებს ხე-ტყის დამზადებისას მიაკუთვნებენ: ხე-ტყის გადასაზიდი გზებისა და საწყობების მშენებლობის ხარჯებს; ტყეების მომზადების ხარჯებს; საურავობრივ ან საიჯარო გადასახადს. ეს ხარჯები გაიწევა დამოუკიდებლად იმისაგან, მერქნის თუ რომელი ნაწილი გამოიყენება. შოლტების დამორვისას სორტიმენტებად მუდმივ დანახარჯებს განეკუთვნება აგრეთვე ხის მოჭრისა და ტოტების აკაფვის დანახარჯები, ვინაიდან ეს ოპერაციები წინ უძღვის დამორვას. ცვლად დანახარჯებს განეკუთვნება ძირითადი მუშების შრომის ანაზღაურების ხარჯები, საწვავის, ენერჯისა და სხვა დამხმარე მასალების ხარჯები. ზღვრული პირობების განსაზღვრა მარაგის გამოყენებისას (სახეობა, ხის დიამეტრი) მიიღწევა სარეალიზაციო პროდუქციის ღირებულების შედარებით დამზადებისა და დამორვის პირდაპირი ხარჯებით.

მოვიყვანოთ პირობითი მაგალითი მარჟინალური ხის (შოლტის) განსაზღვრის მეთოდის დასახასიათებლად (ცხრ. 1). ცხრილში წარმოდგენილია სხვადასხვა დიამეტრის ხუთი ხის ჯგუფი. თითოეულისათვის, სორტიმენტის ცხრილების საფუძველზე დადგენილია მიღებული პროდუქციის ღირებულება, რომელიც გაანგარიშდება სორტიმენტთა გამოსავლის გამრავლებით მათ საბაზრო ფასებზე. მოგება განსაზღვრულია სარეალიზაციო პროდუქციის ღირებულებიდან დამზადების პირდაპირი ხარჯების გამოკლებით.

კუმულაციური მოგების (მზარდი ჯამის მოგების) გაანგარიშებისას მიღებული იყო ხეების დამზადების შემდეგი თანმიმდევრობა: პირველ რიგში მზადდება ხეები, რომლებიც უზრუნველყოფს მეტი მოგების მიღებას. ასე მაგალითად, 30 და 24 სმ დიამეტრის ორი ხის დამზადებისას კუმულაციური მოგება შეადგენს 18,40 ლარს. (10,70 + 7,70), სამი ხისა – შესაბამისად 23,10 (18,40 + 4,70) და ა.შ. ყველა ხის დამზადებისას კუმულაციური მოგება განსაზღვრულია 25,00 ლ. ოდენობით. მარჟინალურ ხედ აღიარებულია 16 სმ დიამეტრის ხე, ვინაიდან ამ შემთხვევაში მიიღწევა მაქსიმალური კუმულაციური მოგება 25,10 ლ., ხოლო მოგება ერთ ხეზე გადაანგარიშებით შეადგენს 2,0 ლ. თუ მეწარმე გააგრძელებს 12 სმ დიამეტრის ხის დამზადებას, იგი შეამცირებს კუმულაციურ მოგებას, ვინაიდან ხვედრითი პირდაპირი დანახარჯი გადააჭარბებს სარეალიზაციო პროდუქციის ღირებულებას ($2,0 < 2,10$).

ამრიგად, 16 სმ-ზე ნაკლები დიამეტრის ხეები განიხილება როგორც სუბმარჟინალური; მათი დამზადება აღიარებულია ეკონომიკურად არაეფექტიანად.

ცხრილი 1

მერქნის ეფექტიანი დამზადების პირობების განსაზღვრა

დიამეტრი მკერდის სიმაღლეზე, სმ	სარეალიზაციო მერქნის ღირებულება, ლ.	დამზადების პირდაპირი ხარჯები, ლ.	მოგება, ლ.	
			პირდაპირი	კუმულაციური
30	20,00	9,30	10,70	10,70
24	16,00	8,30	7,70	18,40
20	12,00	7,30	4,70	23,10
16	7,20	5,20	2,00	25,10
12	2,00	2,10	-0,10	25,00

მუდმივი დაბანდების გათვალისწინება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გადაწყვეტილებათა მიღებაზე რესურსების ეფექტიანი ათვისების პირობების (საზღვრების) დასადგენად. ცხრ. 2-ში მოყვანილია მაგალითი, რომელიც ასურათებს ამ გავლენას. ცხრილი წარმოადგენს წინა მაგალითის გაგრძელებას (იხ. ცხრ. 4.1).

მერქნის ეფექტიანი დამზადების განსაზღვრა მუდმივი ხარჯების გავლენის გათვალისწინებით

დიამეტრი მკერდის სიმაღლეზე, სმ	კუმულაციური პირდაპირი ხარჯები, ლ.	დასამზადებელ ერთეულთა რიცხვი ხარჯებისას მარჯონალური ხის დონეზე	საერთო მოგება ყველა ერთეულის დამზადებიდან, ლ.	სუფთა შემოსავალი მუდმივი ხარჯებისას, ლ. ერთეულზე				
				1	3	8	14	25
30	9,30	3,2	34,24	31,04	24,64	8,64	-10,56	-45,76
24	17,60	1,7	31,28	29,58	26,18	17,68	7,48	-11,22
20	24,90	1,2	27,72	26,52	24,12	18,12	10,92	-2,28
16	30,10	1,0	25,10	24,10	22,10	17,10	11,10	0,10
12	32,20	0,9	22,50	21,60	21,60	15,30	9,90	0,00

მე-2 სვეტში მოყვანილია კუმულაციური პირდაპირი ხარჯები, რომლებიც გაანგარიშებულია იმავე სქემით, რაც კუმულაციური მოგება ცხრ. 1-ში. ასე მაგალითად, 30 და 24 სმ დიამეტრის ხეების დამზადებისას კუმულაციური ხარჯები შეადგენს 17,60 ლ. (9,30 + 8,30), კიდევ ერთი 20 სმ დიამეტრის ხის დამატებისას ხარჯები განისაზღვრება 24,90 ლ. ოდენობით (1,60 + 7,30) და ა.შ. მე-3 სვეტი ადგენს, ხეების რა რიცხვი შეიძლება დამზადდეს იმ ხარჯებით, რაც უდრის კუმულაციურს მარჯონალური ხისათვის. ჩვენს მაგალითში ეს დანახარჯები უდროს 30,10 ლ. 16 სმ დიამეტრის მარჯონალური ხისათვის. ასე მაგალითად, მეწარმეს შეუძლია დაამზადოს 3,2 ერთეული, თუ მოჭრის მხოლოდ 30 სმ დიამეტრის ხეებს (30,10:9,30). იმავედროულად მას შეუძლია დაამზადოს 1,7 ერთეული 30 და 24 სმ დიამეტრის ხეების ერთობლიობიდან, 1,2 ერთეული შესაბამისად 30, 24 და 20 სმ დიამეტრის მქონე ხეებიდან (30,10:24,90).

მე-4 სვეტი შეიცავს მერქნის დამზადებიდან მოგების გაანგარიშებას, რაც განისაზღვრება კუმულაციური მოგების გამრავლებით დამზადებული ერთეულების რაოდენობაზე. 30 სმ დიამეტრის ხეებისათვის ეს მოგება შეადგენს

34,24 ლ. (10,70X3,2), 24 სმ დიამეტრის ხეებისათვის – 31,28 ლ. (18,40X1,7) და ა.შ. თუ მუდმივი ხარჯები არ არსებობს, მეწარმე მოჭრის მხოლოდ მაქსიმალური დიამეტრის ხეებს, რადგანაც 30 სმ დიამეტრის ხეების მოჭრისას იგი მიიღებს მაქსიმალურ მოგებას 34,24 ლ.

მე-5-9 სვეტებში მოყვანილია მუდმივი ხარჯების (მაგალითად, საურავობრივი გადახდის) მნიშვნელობები რუბლებში ერთეულზე (მე-3 სვეტი) და მათი შესაბამისი მნიშვნელობები სუფთა შემოსავლის, როგორც მოგებისა და მუდმივი ხარჯების სხვაობისა. ასე მაგალითად, საურავობრივი გადახდის ერთეულზე 7 ლ. ოდენობისას სუფთა შემოსავალი შეადგენს 20 სმ დიამეტრის ხეებისათვის 31,04 ლ. (34,24 – 3,2), ხოლო საურავობრივი გადახდის გაზრდა 14 ლ-მდე ამცირებს სუფთა შემოსავალს –10,56 ლ-მდე (ზარალი შეადგენს 10,56 ლ), რაც დასტურდება შემდეგი განგარიშებით: $-10,56 = 34,24 - (14 \times 32)$. ერთეულზე 25 ლ. ოდენობის საურავობრივი გადახდის შემოღება იწვევს უკვე – 45,76 ლ. ზარალს $[34,24 - (25 \times 32)]$.

იმავედროულად, თუ მეწარმე ამზადებს ყველა ხეს, მაქსიმალური სუფთა შემოსავალი ყალიბდება მარჟინალური ხის დონეზე, და მომგებიანიც კი ხდება სუბმარჟინალური ხეების დამზადება. ასე მაგალითად, ერთეულზე 25 ლ. ოდენობის მუდმივი ხარჯებისას ხეების მთელი ერთობლიობის დამზადება ხდება უფრო მომგებიანი, ვიდრე მხოლოდ მაქსიმალური 30 და 24 სმ დიამეტრების ხეების არჩევა.

თუმცა მოცემულ მაგალითს აქვს მხოლოდ საილუსტრაციო ხასიათი, მისი დასკვნები პირდაპირ მეტყველებს იმაზე, რომ მაღალი მუდმივი ხარჯები ხე-ტყის დამზადებისას სტიმულს აძლევს მერქნის მთელი ბიომასის რაციონალურ გამოყენებას. ამავე დროს, საურავობრივი გადახდის ბოლო დრომდე არსებული დაბალი განაკვეთები ვერ უზრუნველყოფდა ეკონომიკურ სტიმულებს მერქნის ნედლეულის კომპლექსური გამოყენების ორგანიზებისათვის; ამ დასკვნების დასაბუთებას წარმოადგენს ცხრ. 2-ში მოყვანილი მაგალითი.

ტყით სარგებლობაში დაბალი მუდმივი დანახარჯები იწვევს პირობითად მთლიანი ჭრების ჩატარებას, როდესაც განაკვეთებში რჩება დიდი რაოდენობით მერქანი უკმარნაჩების, მოჭრილი და დატოვებული ხეების სახით. მომვლელი

ჭრების ორგანიზებისას, სორტიმენტული ტექნოლოგიის გამოყენებისას მეწარმე წყვეტს კიდევ ერთ ამოცანას: ხის მოჭრის შემდეგ მან უნდა განსაზღვროს, მისი რომელი ნაწილი უნდა გამოიყენოს სორტიმენტების სახით, ხოლო რომელი – დატოვოს ტყეში. აქ ლაპარაკია მარჟინალური მორის (სორტიმენტის) განსაზღვრაზე. მიდგომა მარჟინალური სორტიმენტის განსაზღვრისადმი ანალოგიურია მიდგომისა მარჟინალური ხის განსაზღვრისადმი და ილუსტრირებულია ცხრ. 3-ის მონაცემებით. დავუშვათ, დამზადებული შოლტიდან შეიძლება მივიღოთ ოთხი სორტიმენტი: ერთი – კინტის ნაწილიდან, ორი – შუა ნაწილიდან, ბოლო – კენწეროდან.

მე-2 სვეტში მოყვანილია სორტიმენტების წარმოების კუმულაციური პირდაპირი დანახარჯები, მე-3 სვეტში – შესაბამისად მოგების კუმულაციური მნიშვნელობები. როგორც ჩანს მოყვანილ მონაცემთა შედარებიდან, ყველა სორტიმენტი იწარმოება ეფექტიანად (კუმულაციური მოგება იზრდება), ე.ი. ფასდება, როგორც სუპერმარჟინალური (წარმოებისათვის ეკონომიკურად გამოსადეგი). მე-4 სვეტი აჩვენებს, რა რაოდენობის ხეების დამორვა შეიძლება სორტიმენტთა ამა თუ იმ ერთობლიობის მიღებით.

მე-6-9 სვეტები შეიცავს მონაცემებს სუფთა შემოსავლის ოდენობის შესახებ მუდმივი ხარჯების გათვალისწინებით (გაანგარიშებულია ცხრილის მონაცემების ანალოგიურად). როგორც ჩანს, ერთეულზე 0,37 ლ. მუდმივი ხარჯებისას ყველაზე ეფექტიანი ვარიანტია მხოლოდ ერთი სორტიმენტის წარმოება – შოლის კინტის ნაწილიდან (მაქსიმალური სუფთა მოგება შეადგენს 12,67 ლ). მუდმივი 0,69 ლ. ხარჯებისას ყველაზე ეფექტიან ვარიანტად იქცევა ორი სორტიმენტის წარმოება (მაქსიმალური სუფთა შემოსავალი – 12,60 ლ.). მუდმივი 2,06 ლ. ხარჯებისას მომგებიანია სამი სორტიმენტის წარმოება, ხოლო 4,23 ლ. ხარჯებისას ყველაზე მეტ ეფექტს იძლევა მთელი შოლტის სრული გამოყენება.

სორტიმენტების ეფექტური დამზადების პირობების განსაზღვრა
მუდმივი ხარჯების გათვალისწინებით

დასამზადებელ სორტიმენტთა რიცხვი	კუმულაციური პირდაპირი ხარჯები, ლ.	კუმულაციური მოგება, ლ.	ხევის რიცხვი იმევე ხარჯები- სას, ერთ.	საერთო მოგება ყველა ხეზე, ლ.	სუფთა შემოსავალი მუდმივი ხარჯებისას ერთ ხეზე, ლ.			
					0,37	0,69	2,06	4,23
სორტიმენტი კინტის ნაწილში	2,60	4,20	3,3	13,86	12,67	12,57	7,06	-0,10
პირველი ორი სორტიმენტი	5,00	7,80	1,7	13,26	12,63	12,60	9,76	6,07
პირველი სამი სორტიმენტი	7,00	10,20	1,2	12,24	11,80	11,77	9,77	7,16
ოთხივე სორტიმენტი	8,60	11,40	1,8	11,40	11,82	11,01	9,34	7,17

ანალოგიური მეთოდით შეიძლება შეფასდეს ნარჩენების გამოყენებაც, რომლებიც ყოველთვის აღიარებულია მარჟინალურ რესურსად, რომელიც ათვისებას ექვემდებარება მხოლოდ გარკვეული ეკონომიკური პირობებისას. არ შეიძლება განკარგულებებით ან ბრძანებებით აიძულო ნარჩენების ამა თუ იმ რესურსების გამოყენება; მხოლოდ ეკონომიკური გაანგარიშებებით, რომლებიც ანალოგიურია ცხრ. 2-3-ში მოყვანილისა, შეიძლება დადგინდეს გადამუშავებაში ტყის კაფვისა და გადამამუშავებელი წარმოებების ნარჩენების ჩართვის მიზანშეწონილობა.

მერქნის რესურსების განხილვისას, ნარჩენების ჩათვლით, საჭიროა მათი შეფასება შემდეგ განზომილებებში: პოტენციური რესურსები, რომლებიც დგინდება ტაქსაციის მეთოდებით მოზარდი ხეების ბიომასის განსაზღვრის მეშვეობით; ეკოლოგიურად ხელმისაწვდომი რესურსები, რომელთა ათვისებაც შესაძლებელია ეკოლოგიური მოსაზრებებით (ასე მაგალითად: ტყის რესურსების შემადგენლობაში გარკვეულ ტერიტორიაზე შეიძლება იყოს ისეთი, რომელთა დამზადება არამიზანშეწონილია ეკოლოგიური მოთხოვნების გამო, მაგალითად: კორომები ციცაბო ფერდობებზე, ტყის უბნები მდინარეებისა და ტბების გაყოლებაზე და ა.შ.;

ეკოლოგიური შეზღუდვები არსებობს აგრეთვე ტყის დამზადების ნარჩენების გამოყენებისას გარკვეული ტიპის ნიადაგებზე, რომლებიც საჭიროებს ორგანულ ნივთიერებებს; ეკონომიკურად ხელმისაწვდომი რესურსები, რომელთა ათვისებაც შესაძლებელია ეკონომიკური კრიტერიუმის მიხედვით.

მერქნის რესურსების ეკონომიკური ხელმისაწვდომობის კრიტერიუმად მიიღება მათი ათვისების შესაძლებლობა მოგების დასახული ნორმით:

$$P \geq c_p + c_t + \Pi,$$

სადაც P – 1 მ³ მერქნის რესურსებისაგან დამზადებული პროდუქციის რეალიზების ფასი; c_p – 1 მ³ მერქნის რესურსების ათვისების დანახარჯები (დამზადება, პირველადი დამუშავება); c_t – სატრანსპორტო დანახარჯები პროდუქციის მისატანად მომხმარებლამდე; Π – მოგება პროდუქციის დამზადებისა და ტრანსპორტირების ოპერაციებზე.

ამრიგად, თუ მერქნის პროდუქციის საბაზრო ფასი მეტი ან ტოლია რესურსების ათვისების (დამზადება და ტრანსპორტირება) დანახარჯებისა და ნორმატიული მოგების ჯამისა, მაშინ მერქნის ნედლეულის რესურსებს აღიარებენ ეკონომიკურად ხელმისაწვდომად, ხოლო თუ, პირიქით, უტოლობაა მარცხენა ნაწილი ნაკლებია მარჯვენაზე, ნედლეულის რესურსები კლასიფიცირდება, როგორც ეკონომიკურად ხელმიუწვდომელი.

ტყის ნებისმიერი ტერიტორიისათვის (რაიონი, საწარმო) ყოველთვის არსებობს ნედლეულის რესურსების ათვისების დასაბუთებული პროგრამა, რომელსაც საფუძვლად უდევს მისი დამზადებისა და ტრანსპორტირების შესაძლო ხარჯების შეფასება, რაც გამოიანგარიშება ფორმულით:


$$c_p + c_t + \Pi = c_0.$$

ვთქვათ, საწარმოს (რაიონის) ტერიტორიაზე არის მერქნის ნედლეულის თავისი ხარისხობრივი პარამეტრების მიხედვით ერთგვაროვანი მასები: $V_1, V_2, V_3, \dots, V_n$, რომელთა ათვისებაც შეიძლება შესაბამისად ხარჯებით $c_{01}, c_{02}, c_{03}, \dots, c_{0n}$. ამასთან საბაზრო ეკონომიკაში რესურსების ათვისების სტრატეგიას საფუძვლად ყოველთვის უდევს წესი, რომლის თანახმადაც პირველ რიგში გამოიყენება

ნაკლებხარჯიანი რესურსები. ამ წესის თანახმად განვალაგოთ ნედლეულის რესურსების მასები შემდეგი თანმიმდევრობით:

$$c_{01} < c_{02} < c_{03} < \dots < c_{0n}.$$

მაშასადამე, პირველ რიგში ათვისებას ექვემდებარება V_1 მოცულობის რესურსები დანახარჯებით c_{01} . შემდეგ ასათვისებლად წარიმართება რესურსები V_2 , მათი გამოლევის კვალობაზე ათვისება რესურსები V_3 და ა.შ. ბოლოს შეიძლება ათვისებული იყოს რესურსები V_n , თუკი ეს იქნება ეკონომიკურად ეფექტიანი. მერქნის ეკონომიკურად ხელმიუწვდომელ რესურსებად აღიარებენ, როგორც წესი, იმას, რომელთათვის დამახასიათებელია: რესურსების დაბალი კონცენტრაცია 1 ჰა ფართობზე (მერქნის მარაგი, ნარჩენთა მოცულობები და ა.შ.); ნედლეულის რეალური ზომები დიამეტრსა და სიგრძეში; მომხმარებლისათვის არასასურველი სახის სახეობები; ექსპლუატაციის მაღალი ხარჯები განსაკუთრებული პირობების გამო (მთის ფერდობები, დაჭაობებული მიდამო და ა.შ.); მაღალი სატრანსპორტო ხარჯები, რაც განპირობებულია მომხმარებელთა დაშორებულობითა და გზების დაბალი ხარისხით.



ნახ.1. მერქნის ეკონომიკურად ხელმისაწვდომი რესურსების განსაზღვრა

ხაზი OA განსაზღვრავს კუმულაციურ ხარჯებს ნედლეულის რესურსების ასათვისებლად, რომლებიც მიიღება ხვედრითი ხარჯების გამრავლებით შესაბამის V რესურსებზე: V_1c_{01} , V_2c_{02} და ა.შ. ხარჯები c_{0n} გამოდის, როგორც მაქსიმალური დამასრულებელი დანახარჯები რესურსთა მთელი მასის ათვისებისას V_0 მოცულობით. ხაზები p_1 და p_2 განსაზღვრავს შესაბამისად ხე-ტყის პროდუქციის საბაზრო ფასების დონეს. ეკონომიკურად ხელმისაწვდომი რესურსების საზღვრები დგინდება p_1 და p_2 ხაზებთან OA ხაზის გადაკვეთის წერტილებში. ასე მაგალითად: ხე-ტყის პროდუქციაზე p_1 ოდენობის ფასისას ეკონომიკურად ხელმისაწვდომი რესურსები განისაზღვრება V' ოდენობით; შესაბამისად, ეკონომიკურად ხელმიუწვდომელი რესურსები უდრის $V_0 - V'$. პროდუქციის რეალიზაციის ფასის გაზრდა p_2 დონემდე აფართოვებს ეკონომიკურად ხელმისაწვდომ რესურსებს V'' - მდე და ეკონომიკურად ხელმიუწვდომელი რესურსების მოცულობას ამცირებს $V_0 - V''$ -მდე. ამრიგად, ეკონომიკურად ხელმისაწვდომი რესურსების გაფართოვება შესაძლებელია:

რესურსების ათვისების დანახარჯების შემცირების ხარჯზე ახალი ტექნოლოგიების შრომის ორგანიზაციის ახალი ფორმების რეალიზებისას (OA ხაზი გადაიწევეს ქვემოთ და მარჯვნივ); ბაზრის სიტუაციის ცვლილებისას ხე-ტყის პროდუქციის ფასის გაზრდის გზით (p ხაზი აიწევეს ზემოთ).

დასკვნა

ნედლეულის ეკონომიკურად ხელმისაწვდომი რესურსების განსაზღვრა აუცილებელი ხდება ტყის რესურსების იჯარაზე გადასვლისას, როდესაც ნედლეულის მხოლოდ ეკონომიკურად ხელმისაწვდომი რესურსები უნდა განსაზღვრავდეს სარგებლობის საანგარიშო მოცულობა, როგორც საიჯარო გადასახადის დარიცხვის ობიექტი. მეწარმეს სატყეო ფონდის უბნების იჯარით აღებისას უნდა ჰქონდეს არა მხოლოდ სამეტყევეო ინფორმაცია რესურსების შესახებ, არამედ აგრეთვე ყველა მონაცემი მათი ათვისების დანახარჯებთან დაკავშირებით. მხოლოდ ამ შემთხვევაში შესაძლებელია ნორმალური

ეკონომიკური ურთიერთობები ტყეების მართვის ორგანოებსა (მეიჯარეები) და მეწარმეებს (მოიჯარეები) შორის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ხე-ტყის დამზადების სახელმძღვანელო რეკომენდაციები. თბილისი.: FAO, IUU, 1996, 30 გვ.;
2. თ. კანდელაკი. საბაზრო სატყეო ეკონომიკის საფუძვლები. სასწავლო კონსპექტი საუ და სტუ სტუდენტებისათვის. თბ.: 2019, 320 გვ.;
3. თ. კანდელაკი. სატყეო მარკეტინგი. სახელმძღვანელო სატყეო სპეციალობის სტუდენტებისათვის. თბ.: საუ, 2910, 285 გვ.;
4. А. Петров, В. Ильин, Г. Николаева. Экономика лесного хозяйства. Учебник. М.: Экология, 1993, 320 с.

**ОПРЕДЕЛЕНИЕ ЭФФЕКТИВНОСТИ ЛЕСОЗАГОТОВОК И
ЭКОНОМИЧЕСКИ ДОСТУПНЫХ РЕСУРСОВ**

**Заур Читидзе, Теймураз Канделаки, Заур Баламцарашвили,
Игор Гелашвили, Ираклий Грдзелишвили**

Резюме

В статье рассмотрены вопросы определения экономически доступных ресурсов сырья. Приведены таблицы определения эффективной заготовки древесины различного диаметра, таблицы определения эффективной заготовки древесины с учетом различных затрат, а также определение условий эффективной заготовки сортментов с учетом постоянных затрат. В статье также приведен график определения экономически доступных ресурсов древесного сырья.

**DETERMINATION OF AVAILABLE RESOURCES OF EFFICIENCY AND COST-
EFFECTIVENESS OF TIMBER PRODUCTION**

**Zaur Chitidze, Teimuraz Kandelaki, Zaur Balamtsarashvili,
Igor Gelashvili, Irakli Grdzelishvili**

Abstract

In the presented paper is considered the definition of economically available resources of raw materials. Tables are used to determine the effective production of timber of different diameters, to determine the effective production of timber taking into account the impact of constant costs, and to determine the conditions for efficient production of assortments taking into account constant costs. The graph also identifies economically available timber resources.

ტყის რესურსების ღირებულებითი შეფასების და ტყის კადასტრის განსაზღვრის მექანიზმი

თეიმურაზ კანდელაკი, ზაურ ჩიტიძე, ლერი გიგინეიშვილი,
იგორ გელაშვილი, ნინო ბჟალავა

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას №77, 0160, თბილისი,
საქართველო)

რეზიუმე: სტატიაში განხილულია ტყის რესურსების ღირებულების შეფასების მექანიზმები და აგრეთვე ტყის კადასტრების მექანიზმები. სტატიაში მოყვანილია ტყის რენტების საანგარიშო ფორმულები, აგრეთვე მოყვანილია საანგარიშო ფორმულები ტყის მიწების და ტყის რესურსების ღირებულების განსაზღვრისას.

საკვანძო სიტყვები: მერქნის მარაგი, ტყის რენტა, მიწის რენტა, ტყის რესურსები.

შესავალი

ცენტრალიზებულ-დაგეგმილ სისტემაში ბუნებრივი რესურსები ჩართული იყო სამეურნეო ბრუნვაში, არ ჰქონდა რა ღირებულებითი შეფასება, როგორც უფასო საერთო-სახალხო საკუთრებას, რამაც გამოიწვია: აღწარმოებითი კავშირების დარღვევა; უზარმაზარი დანაკარგები რესურსების არარაციონალურად გამოყენების გამო; რეალური ეკონომიკური პროცესების დამახინჯება, დანახარჯებისა და საბოლოო პროდუქციის ფასების დადგენისას.

ეკონომიკური შეფასების გარეშე ბუნებრივი რესურსები დაუცველია გარემოზე საზოგადოების შემოტევის წინაშე, ტერიტორიების ურბანიზაციის, „ტექნიკური პროგრესის“ დამანგრეველი ზემოქმედების წინაშე, რაც ხორციელდებოდა ცალკეული საწარმოების, უწყებებისა და სამინისტროების ეგოისტური მიზნების გულისათვის.

დღემდე არ არსებობს ტყის რესურსების, როგორც ტყის ტერიტორიების, სავარგულების ღირებულებითი შეფასებაც, რომელთა ყველა კომპონენტიდან ფასდება მხოლოდ მოსაჭრელად განკუთვნილი მერქანი; საურავობრივი საფასურის მეშვეობით.

ძირითადი ნაწილი

საზღვარგარეთ ქვეყნების საბაზრო ეკონომიკაში დაგროვილია ტყის მიწების შეფასების გამოცდილება, რომელიც შეიძლება გამოიყენებოდეს ასევე საქართველოში ტყის კადასტრის შედგენისას. განვიხილოთ საბაზრო ეკონომიკაში გამოყენებული ტყის რესურსების შეფასების მეთოდები. აქ განასხვავებენ სამ ღირებულებით მაჩვენებელს:

- მერქნის მარაგის ღირებულებითი შეფასება;
- ტყის რენტა;
- მიწის რენტა.

მერქნის მარაგის ღირებულებითი შეფასებისათვის იყენებენ ფულად ცხრილებს, რომლებიც საშუალებას იძლევა, მივიღოთ ტყის ნარგავების ღირებულება ტყის ტაქსების გამრავლებით სორტიმენტების სასაქონლო გამოსავალზე, ამ დროს კორომის შეფასება გამოდის ფიქსირებული დროის რაღაც პერიოდისათვის, წინა და შემდგომი შემოსავალ-ხარჯების გაუთვალისწინებლად.

ტყის რენტა წარმოადგენს სხვაობას მერქნის მარაგის ღირებულებით შეფასებასა და ტყის მოყვანის ხარჯებს შორის

$$r_t = \frac{\sum_i Q_i S_i - f_k}{t}, \quad (1)$$

სადაც r_t – ტყის რენტა ნარგავობის t ასაკში 1 ჰა-ზე;

i – ნარგავობის სორტიმენტული სტრუქტურა t ასაკში;

Q_i – მე- i სორტამენტის გამოსავალი ფიზიკურ ერთეულებში 1 ჰა-ზე გადანგარიშებით;

S_i – საურავობრივი გადახდა მე- i სორტამენტის 1 მ³-ში;

f_k – ტყის აღზრდის, დაცვის ხარჯები, დადგენილი მზარდი ჯამით;

t – იმ ნარგავობის ასაკი, რომლისთვისაც განისაზღვრება ტყის რენტა.

თავის მხრივ

$$f_k = f_1 + f_2 + f_3 + \dots + f_k, \quad (2)$$

სადაც f_1 არის ტყის მოყვანის ხარჯები 1-ლ წელს;

f_2 – მე-2 წელს და ა.შ. t ასაკამდე.

ტყის რენტა, რომელიც წარმოადგენს სუფთა შემოსავალს 1 ჰა ტყის მიწაზე, არის ჭრის ასაკის განმსაზღვრელი, რისთვისაც დგინდება ფუნქცია $r = f(t)$, რომელიც განსაზღვრავს სუფთა შემოსავლის დამოკიდებულებას ნარგავობის ასაკზე: იმ ასაკში, როდესაც ფუნქცია აღწევს მაქსიმალურ მდგომარეობას, ტყის მეპატრონესათვის უზრუნველყოფილია მაქსიმალური მოგების მიღება. ტყის ექსპლუატაციისაგან, ხე-ტყის ჭრის ბრუნვის განსაზღვრასთან ერთად ტყის რენტას იყენებენ ტყის მიწების კაპიტალიზებული ღირებულების განსაზღვრისათვის, სუფთა შემოსავლის მეშვეობით, შემდეგი ფორმულით:

$$V = \frac{r}{\alpha}, \quad (3)$$

სადაც α მოგების ნორმაა.

მაშინ ტყის მფლობელი, იძენს რა 1 ჰა ტყის მიწას V ღირებულებით, t ასაკში აქვს თავისთვის ტყის რენტის ოდენობის სუფთა შემოსავლის მიღების გარანტია.

საბაზრო ეკონომიკაში ტყის რენტა გამოიყენება როგორც ტყის მიწების ღირებულებითი შეფასების ინსტრუმენტი მხოლოდ მაშინ, როდესაც კაპიტალდაბანდებები ტყის მეურნეობაში უმნიშვნელოა და თავად მეურნეობა იწარმოება არაინტენსიურად.

ტყის რენტის მაჩვენებელს აქვს შემდეგი ნაკლოვანებები:

- არ არსებობს დანახარჯებისა და შედეგების შედარება დროში;
- უზრუნველყოფილი არ არის მუდმივი შემოსავალი ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის დაბანდებაზე;
- შეფასებას არ ექვემდებარება ფარული დანაკარგები ხე-ტყის ჭრის ბრუნვის გაზრდის გამო, რომლებიც გამოიხატება შემოსავლის მიღების დროის შემცირებაში ტყის რესურსების აღწარმოების შემდგომ ციკლებში.

ჩამოთვლილი ნაკლოვანებები აღმოიფხვრება მიწის რენტის მეშვეობით, რომლის ამოცანაა: ყველა შემოსავალ-გასავლის შეფასება დროში (ტყეების განახლების ხარჯებით დაწყებული), მათი დაყვანა ხე-ტყის ბრუნვის დროზე დისკონტირების მეშვეობით, დისკონტირების მიღებული ნორმის ბაზაზე. მიწის

რენტის ბაზაზე ადგენენ მიწის კაპიტალიზებულ ღირებულებას, რომელიც უზრუნველყოფს მფლობელისათვის თანაბარ შემოსავლებს კაპიტალდაბანდებებზე. მიწის რენტის განსაზღვრის მეთოდები შემდეგშია.

ვთქვათ, ხე-ტყის ჭრის ბრუნვის T დროში ადგილი აქვს:

$$\text{შემოსავლები } R_1, R_2, \dots, R_t, \dots, R_T, \quad (4)$$

$$\text{გასავლები } C_1, C_2, \dots, C_t, \dots, C_T. \quad (5)$$

შემოსავალს წარმოადგენს მოგება (ზარალი) მერქნის რეალიზაციიდან მომვლელი ჭრის დროს და შემოსავალი მთავარი სარგებლობის ჭრისაგან. გასავლის სახით გამოდის ტყის აღდგენის, ტყის მოყვანის, დაცვის, მელიორაციების ჩატარების, სასუქის შეტანის და ა.შ. ხარჯები.

პარამეტრები R და C განისაზღვრება ტყის მოწყობის მონაცემების, ხე-ტყის მასალის მოქმედი ფასებისა და საურავობრივი საფასურის განაკვეთების მიხედვით. მაშინ ნარგავების ნებისმიერი ასაკისათვის ტყის რენტის გამომანგარიშება შეიძლება შემოსავალ-გასავლების დაყვანით შემდეგი სქემის მიხედვით:

ა) შემოსავალ-გასავლისათვის, რომელიც წინ უძღოდა განსახილველ პერიოდს (t):

$$R' = R_1(1+\alpha)^{t-1} + R_2(1+\alpha)^{t-2} \text{ და ა.შ.} \quad (6)$$

$$C' = C_1(1+\alpha)^{t-1} + C_2(1+\alpha)^{t-2} \text{ და ა.შ.} \quad (7)$$

ბ) შემოსავალ-გასავლისათვის, რომელიც დასახულია განსახორციელებლად განსახილველი $T-t$ პერიოდის ფარგლებს გარეთ (მომავალში):

$$R'' = R_{t+1} \frac{1}{(1+\alpha)} + R_{t+2} \frac{1}{(1+\alpha)^2} + \dots + R_T \frac{1}{(1+\alpha)^{T-t}}, \quad (8)$$

$$C'' = C_{t+1} \frac{1}{(1+\alpha)} + C_{t+2} \frac{1}{(1+\alpha)^2} + \dots + C_T \frac{1}{(1+\alpha)^{T-t}}, \quad (9)$$

შედეგად მიღებულ მიწის რენტას (P) 1 ჰა ტყის ფართობზე გაანგარიშებით პოულობენ შემდეგი ფორმულით:

$$P = \frac{R' + R'' - C' - C''}{t}. \quad (10)$$

აქედან კი მიწის კაპიტალიზებული შეფასება იქნება:

$$V = \frac{P}{\alpha}. \quad (11)$$

როგორც ფორმულებიდან ჩანს, მიწის რენტა მეტად მგრძობიარეა მოგების ნორმის ცვლილებისადმი. ასე მაგალითად, თუ მეწარმე მუშაობს შემოსავლის მაღალ ნორმებთან, ჭრაში მიდის ახალგაზრდა ასაკის ნარგავები, და პირიქით, წლიური შემოსავლის დაბალი განაკვეთები ხელს უწყობს ტყეების კონსერვაციას (შენარჩუნებას). საბაზრო ეკონომიკის პრაქტიკაში წლიური შემოსავლის ნორმა მიიღება 3–5% დონეზე, თუ ის მცირდება, მაშინ ხე-ტყის ჭრის ბრუნვა იზრდება და ნულის ტოლის დროს განისაზღვრება უკვე ტყის რენტით.

საბაზრო ეკონომიკაში ტყის მიწების ღირებულებითი შეფასება წარმოებს მხოლოდ მერქნის მარაგებიდან გამომდინარე, გვერდითი გამოყენებისა და ეკოლოგიური ფუნქციების გაუთვალისწინებლად. ტყეების ეკოლოგიური მნიშვნელობა დგინდება საკანონმდებლო აქტებით, ამიტომ ყიდვა-გაყიდვის, საიჯარო ურთიერთობათა ობიექტად გამოდის მხოლოდ კორომი.

ტყის რესურსების ღირებულების ეკოლოგიური მდგენელის დადგენა შეიძლება ექსპერტულად, განსაკუთრებული გაანგარიშებებით, მაშინ 1 ჰა ტყის მიწის ჯამური ღირებულებითი შეფასება შეადგენს:

$$V_0 = V_1 + V_2, \quad (12)$$

სადაც V_1 – ტყის მიწის ღირებულებაა, როგორც კორომის ღირებულების კაპიტალიზებული შეფასება (ფორმულა 11)

V_2 – ეკოლოგიური მდგენელი ტყის მიწის ღირებულებაში.

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ტყეების ღირებულებითი შეფასების გამოყენების შეუძლებლობა საიჯარო გადასახადის განსაზღვრისათვის, რადგანაც ეს უკანასკნელი გადაიხდევინება მხოლოდ გამოყენებული რესურსებისათვის. ღირებულებით შეფასებას ექვემდებარება ყველა რესურსი, ხოლო საიჯარო გადასახადი გადაიხდევინება მათი მხოლოდ იმ ნაწილისათვის, რომელიც განკუთვნილია გამოსაყენებლად. ტყეების ღირებულებითი შეფასება წარმოადგენს მათ ეკონომიკურ დაცვას სახალხო მეურნეობის სხვა დარგებთან ურთიერთობაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თ. კანდელაკი. საქართველოს ტყის რესურსების ფულადი შეფასების საკითხები. თბ.: საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, აგრარული მეცნიერების პრობლემები, სამეცნიერო შრომათა კრებული, ტ. 34, 2006, გვ. 263–265;
2. თ. კანდელაკი. საქართველოს სატყეო სექტორის ტყის რესურსული პრობლემები (პრეზენტული). თბ.: UNESF-FAO/RERAM-ის ერთობლივი კონფერენციის მასალები, 2015, 34 გვ. (ქართული და ინგლისური ვერსიები);
3. საქართველოს ტყეების სრული ეკონომიკური შეფასების მეთოდოლოგიის დასრულება და ტყის რესურსების ფასწარმოქმნის მექანიზმის დამუშავება (პროექტი). თბ.: 2002, ORS, შეზღუდული პასუხისმგებლობის კორპორაცია. 58 გვ.;
4. Peter H. Pears Introduction to Forest Economics Vancouver. University of British Columbia Press, 1990.224 ს.

**МЕХАНИЗМЫ ОЦЕНКИ СТОИМОСТИ ЛЕСНЫХ РЕСУРСОВ
И ОПРЕДЕЛЕНИЯ ЛЕСНЫХ КАДАСТРОВ**

**Теумураз Канделаки, Заур Читидзе, Лери Гигиенишвили,
Игор Гелашвили, Нино Бжалава**

Резюме

В статье рассмотрены методы и механизмы оценки стоимости лесных ресурсов, а также механизмы определения лесных кадастров. В статье приведены расчетные формулы определения лесных рент, а также формулы оценки стоимости лесных земель и лесных ресурсов.

**MECHANISM FOR COST ASSESSMENT OF FOREST RESOURCES AND
DETERMINATION OF FOREST CADASTRE**

**Teimuraz Kandelaki, Zaur Chitidze, Leri Gigineishvili,
Igor Gelashvili, Nino Bzhalava**

Abstract

In the presented paper are considered the mechanisms for assessing the value of forest resources as well as the mechanisms of forest cadastres. The article provides calculation formulas for forest rents, as well as calculation formulas for determining the value of forest lands and forest resources.

მცენარეული პროდუქციის აირადი აზოტით სწრაფი

გაცივების ინოვაციური ტექნოლოგია

გივი გოლეთიანი, თამაზ ისაკაძე, გივი გუგულაშვილი,

მიხეილ ცაგარეიშვილი

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას №77, 0160, თბილისი, საქართველო)

რეზიუმე: სტატიაში წარმოდგენილია მცენარეული პროდუქციის აირადი აზოტით სწრაფი გაცივების ინოვაციური ტექნოლოგიის ექსპერიმენტული სტენდი, რომელიც აღჭურვილია: კრიოცილინდრით თხევადი აზოტისათვის, მზომი და მაკონტროლებელი ხელსაწყოებით აირადი აზოტის თბური ნაკადის ტემპერატურების გაზომვისათვის. ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგად მიღებულ იქნა მონაცემები პროდუქტის ზედაპირზე და ცენტრში აირადი აზოტით გაცივების და გაყინვის ტემპერატურათა გავრცელებაზე. სტატიაში გაშუქებულია ინოვაციური ტექნოლოგია და შედეგები სტაფილოსათვის წინასწარი გაცივების (ზონა-1) და გაყინვის (ზონა-2) შემდეგ. სტატიაში დასაბუთებულია დაბალტემპერატურიანი აირადი აზოტის გამოყენების მაღალეფექტურობა ბლანშირებული ბოსტნეულის წინასწარი გაცივებისა და შემდგომი გაყინვისათვის. ეს ტექნოლოგია უზრუნველყოფს პროდუქტის მიკრობიოლოგიურ უსაფრთხოებას და პროდუქტს დიდი ხნის განმავლობაში უნარჩუნებს მაღალხარისხიან სასაქონლო სახეს.

საკვანძო სიტყვები: ანემომეტრი, კრიოცილინდრი, კონვეიერის ამძრავი, კოლექტორი, მფრქვევანა.

შესავალი


აგრარული მრეწველობის აქტუალურ პრობლემებს შორის სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იჩენს მოსახლეობის მომარაგება სხვადასხვა მცენარეული პროდუქციით, რომლებიც წარმოადგენენ მრავალი ვიტამინების და ბიოლოგიურად

აქტიური ნივთიერებების წყაროს. მცენარეული ნედლეულის ხარისხის შენარჩუნების აუცილებელ პირობად ითვლება პროდუქციის მოძრაობის ყველა ეტაპზე სამაცივრო რეჟიმების გამოყენება უწყვეტ ციკლად. ამ მხრივ აუცილებელია სამაცივრო სისტემის და პროდუქტის სიცივით დამუშავების ტექნოლოგიის სწორი შერჩევა. მცენარეული ნედლეულის განსაკუთრებულ ჯგუფს წარმოადგენს პროდუქცია: კარტოფილი, სტაფილო, კომბოსტო, სოკო, მწვანე ბარდა, რომლებიც გაყინვამდე საჭიროებენ ბლანშირებას, რის შედეგადაც პროდუქციის ტემპერატურა აღწევს $93 \div 95^{\circ}\text{C}$. სწრაფგაყინული პროდუქციის წარმოების ორგანიზაციისათვის, რომლებიც საჭიროებენ ბლანშირებას თანამედროვე ნაკადურ ხაზებზე, აუცილებელია პროდუქტის გაყინვის სიჩქარე ეთანადებოდეს მისი წინასწარი გაცივების სიჩქარეს. სტატიაში გამახვილებულია ყურადღება ბლანშირებული მცენარეული პროდუქციის სწრაფი გაყინვისათვის აზოტის სისტემის გამოყენების პერსპექტივაზე.

ძირითადი ნაწილი


ექსპერიმენტული სტენდი წარმოადგენს გვირაბული ტიპის კრიოგენულ სწრაფმყინავ აპარატს, რომლის პრინციპული სქემა ნაჩვენებია სურ.1-ზე.

აირადი აზოტის მიწოდება ხდება თხევადი აზოტის კრიოცილინდრიდან (პოზ.11). მისი ტემპერატურის გაკონტროლება ხდება ავტომატიკის ხელსაწყოებით. კვლევის ობიექტად წარმოდგენილია სტაფილო დაჭრილი მრგვალი ფირფიტების სახით. ფირფიტების სისქე $\delta = 0,005$ მ-ია. პროდუქტი წინასწარ განიცდის ბლანშირებას მდულარე წყალში $t = 70^{\circ}\text{C}$ ტემპერატურაზე 5 წუთის განმავლობაში, ტენისგან შემდგომი გაშრობით. ამის შემდგომ სტაფილოს ფირფიტები ლაგდება ბადურ ქვეშაზე სისქით $\delta = 0,01$ მ, რომელიც მიერთებულია თერმოწყვილებთან გადამწოდებით და განთავსებულია კრიოგენული ტიპის გვირაბული აპარატის კონვეიერულ ლენტზე.



სურ.1. გვირაბული ტიპის კრიოგენული სწრაფმყინავი აპარატის პრინციპული სქემა. 1-კორპუსი, 2-კონვეიერი, 3-თარო პროდუქტებისათვის, 4-ამოსაქაჩი არხი, 5-ვენტილატორის ძრავები, 6-მფრქვევანების კოლექტორი, 7-ტემპერატურის გადამწოდი, 8-მართვის პულტი, 9-კონვეიერის ამძრავი, 10-ჩარჩო, 11-კრიოცილინდრი, 12-ჩატვირთვის ვენტილი, 13-წნევის შემცირების ვენტილი, 14-კრიოცილინდრში წნევის მოსამატებელი ვენტილი, 15-სითხის მისაწოდებელი ვენტილი, 16-მანომეტრი, 17-სასწორი, 18-მაგიდა საკონტროლო მწომი ხელსაწყოებისათვის, 19-თერმოწყვილი, 20-პორტატული კომპიუტერი, 21-ელექტრონული ამპერმეტრი.

სტაფილოს ფირფიტებზე სისქით $\delta = 0,01$ მ კვლევები ჩატარებულ იქნა აირადი აზოტის ორ მოცემულ ტემპერატურაზე $t = -40^{\circ}\text{C}$ და $t = -60^{\circ}\text{C}$. ორივე ტემპერატურაზე აზოტის მოძრაობის სიჩქარე ტოლო იყო $\omega = 5$ მ/წმ. კვლევის საფუძველზე აგებულ იქნა პროდუქტის ცენტრში და მის ზედაპირზე ტემპერატურათა ცვალებადობის გარაფიკები (სურ.2).



სურ. 2. პროდუქტის ცენტრში და მის ზედაპირზე ტემპერატურათა ცვალებადობის მრუდები

პროდუქტის გაცივების პროცესის ხანგრძლივობა განისაზღვრებოდა მისი საწყისი ტემპერატურიდან $t = 70^{\circ}\text{C}$ საბოლოო ტემპერატურამდე $t = 4^{\circ}\text{C}$ დაცემის დრო.

ცხრილ1-ში მოცემულია შედარებითი მონაცემები ინოვაციური ტექნოლოგიით პროდუქტის კრიოაგენტით დამუშავებასა და პროდუქტის შოკურ დამუშავებას შორის.

ცხრილი 1.

გაცივების სახე	შენახვის ვადა $t = 18^{\circ}\text{C}$ თვე	პროდუქტის ხარისხის მაჩვენებლები				
		ორგანოლექტიკური შეფასება ბალები	მშრალი გამხსნელი ნივთიერებები %	მკვანაზობა	B-კაროტინი მგ %	C-ვიტამინი მგ %
გაცივება კრიოაგენტით	12	4,8	10,8	0,08	21,7	20,0
შოკური გაცივება	7	4,2	10,0	0,03	20,4	17,0

დასკვნა

სტატიაში პროდუქტის გაყინვის წინ მისი თერმული დამუშავების წარმოდგენილი ტექნოლოგია ანელებს პროდუქტის ფერმენტების უარყოფით ზემოქმედებას მისი სტრუქტურის, ფერის და არომატის ცვლილებასთან დაკავშირებით. პროდუქტების დამუშავების ეს ტექნოლოგია წარმოადგენს მის წრთობას ტემპერატურათა ფართო დიაპაზონში. ასეთი მეთოდით დამუშავებულ პროდუქტს დიდხანს უნარჩუნდება ყველა სასარგებლო მაჩვენებლები. განსაკუთრებით ეს აისახება მის მაღალი ხარისხის სასაქონლო სახეში. ამიტომ მიგვაჩნია, რომ პროდუქტების სიცივით დამუშავების ამ ინოვაციურმა ტექნოლოგიამ მნიშვნელოვნად უნდა შეუწყოს ხელი ქვეყნის მატერიალური მდგომარეობის ამაღლებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. T.Megrelidze, Z.Jafaridze, S.Suladze, G.Gugulashvili, G.Goletiani, A.Tefnadze, G.Kvirikashvili, Z.Omiadze. Refrigerator machines (Piston compressors). Technikuri Universiteti. Tbilisi: 2009. pp. 52-53;
2. T.Megrelidze, E.Sadagashvili, G.Beruashvili, G.Gugulashvili. Study the optimal working regimes of refrigerator machines with difficult cycle. Transactions of Technical University of Georgia. Tbilisi. Technikuri Universiteti. 2011. № 2 (480). Pp. 91-96;
3. Meyer. Training Manual Refrigeration-AC, ICCT, 2004;
4. System Trouble Shooting Measuring Instruments. Danfoss A/S (RC-SM/MWA), 09-2002;
5. Refrigerant Properties Honeywell. Honeywell International Inc., USA, 2006.

Innovative technology for the rapid cooling of plant products using nitrogen gas

Givi Goletiani, Tamaz Isakadze, Givi Gugulashvili, Mikheil Cagareishvili

Abstract

The article presents an experimental stand on the innovative technology of rapid cooling using gaseous nitrogen of plant products, equipped with: liquid nitrogen cryocylinders,

measuring and regulating instruments for measuring the temperature of the nitrogen heat flow. Experiments were conducted to obtain data on the distribution of freezing temperatures on the surface and in the center of the product. The article discusses innovative technologies and results for carrots after pre-cooling (zone-1) and freezing (zone-2). The high efficiency of the use of low-temperature gaseous nitrogen for pre-cooling and subsequent freezing of blanched plant materials has been proved: the microbiological safety, presentation and extension of the guaranteed quality of plant products are enhanced.

**Иновационная технология быстрого охлаждения растительных
продуктов с использованием газообразного азота**

**Гиви Голетиани, Тамаз Исакадзе, Гиви Гугулашвили,
Михеил Цагареишвили**

Резюме

В статье представлен экспериментальный стенд по инновационной технологии быстрого охлаждения с использованием газообразного азота растительной продукции, оснащенной: криоцилиндрами жидкого азота, измерительными и регулируемыми приборами для измерения температуры теплового потока азота. Были проведены эксперименты для получения данных о распределении температур замерзания на поверхности и в центре продукта. В статье рассматриваются инновационные технологии и результаты для моркови после предварительного охлаждения (зона-1) и замораживания(зона-2). Доказана высокая эффективность использования низкотемпературного газообразного азота для предварительного охлаждения и последующего замораживания бланшированного растительного сырья: обеспечивается повышение микробиологической безопасности, товарного вида и продление сроков гарантированного качества растительной продукции.

მაცივარი მანქანა მაცივარაგენტად წყლის გამოყენებით

გივი გოლეთიანი, თამაზ ისაკაძე, გივი გუგულაშვილი,

მიხეილ ცაგარეიშვილი

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას №77, 0160, თბილისი, საქართველო)

რეზიუმე: სტატიაში წარმოდგენილია ვაკუუმური მაცივარი მანქანა, რომელშიც მუშა სხეულად გამოყენებულია წყლის ორთქლი. ასეთი ტიპის მაცივარი მანქანით შესაძლებელია, არა მარტო წყლის გაცივება, არამედ სხვადასხვა მოდიფიკაციის ყინულის წარმოებაც. რადგანაც ასეთ სისტემაში მაცივარაგენტად წარმოდგენილია წყალი, მაცივარი დანადგარი გამოირჩევა გამარტივებული მოწყობილობით და ტექნოლოგიური სქემით. წყალი ამ შემთხვევაში შესაძლოა გამოყენებული იქნას, როგორც მუშა სხეული, ასევე შუალედური სიცივის მატარებელი. ეს ფაქტორი კი მნიშვნელოვნად ამცირებს ამ დანადგარის თვითღირებულებას. ბევრი დადებითი ფაქტორების გარდა მაცივარ მანქანის უარყოფით მხარედ შეგვიძლია მივიჩნიოთ წყლის, როგორც მუშა სხეულის მუშა წნევების ძალზედ დაბალი დონე. ამიტომაც სისტემა ატარებს წყლის ორთქლის დიდ ნაკადს. ასეთი ტიპის მაცივარი მანქანა-დანადგარების წარმოება, რომელიც მუშაობს ბუნებრივ მაცივარაგენტზე გარემოს ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრის ერთერთი საუკეთესო საშუალებაა. ამ ნაბიჯით საქართველომაც შეიძლება შეიტანოს თავისი წვლილი მთელი მსოფლიოს წინაშე დასმული ურთულესი საკითხების გადაჭრაში, კერძოდ კი შეუწყოს ხელი სამაცივრო პარკის აღჭურვას ბუნებრივი მაცივარაგენტებით.

საკვანძო სიტყვები: მაცივარაგენტი, ვაკუუმ-ტუმბო, მაცივარი მანქანა, კონდენსატორი, ყინულგენერატორი.

შესავალი


ორთქლის მაცივარი მანქანით ხელოვნური სიცივის მიღება შესაძლებელი იქნა მე-17 საუკუნეში გავრილ ჩერეპანოვისა და მისი გერმანელი თანაშემწის ფრანც

შვარიდორფის მიერ. მათ მიერ შემუშავებულ მაცივარ მანქანაში მუშა სხეულად გამოყენებული იქნა ამიაკი, რომელიც ნახშირორჟანგთან CO_2 , წყალთან H_2O და ნახშირწყალბადებთან ერთად წარმოადგენს ბუნებრივ მაცივარაგენტს, რომლის გლობალური დათბობის და ოზონის დაშლის პოტენციალი ნულის ტოლია. მაგრამ მიუხედავად ამისა საკმაოდ დროის განმავლობაში ბუნებრივი მაცივარაგენტების გამოყენება სამაცივრო ტექნიკაში დავიწყებული იქნა. ეს აისახებოდა გასული საუკუნის 30-იან წლებში ფრეონის წარმოებით და სამაცივრო მანქანა-დანადგარებში მუშა სხეულად მისი დამკვიდრებით. მაგრამ ოზონის შრესთან და გლობალური დათბობის პრობლემებმა მსოფლიოს მეცნიერებს დაანახვა ამ ნივთიერებების მავნე ზემოქმედება გარემოზე და დღის წესრიგში დააყენა ამ ნივთიერებების ხმარებიდან ამოღების საკითხი.

მაცივარ მანქანებში წყლის გამოყენებას მუშა სხეულად დიდი ხნის ისტორია აქვს. ამიტომ წყალი ითვლება პირველ მაცივარაგენტად სამაცივრო ტექნიკაში. პირველად წყლის ორთქლი გასაცივებლად გამოყენებულ იქნა 1755 წელს ვ. კალენის მიერ, რომელიც წყალს ყინავდა მინის კოლბაში, საიდანაც ვაკუუმ-ტუმბოს მეშვეობით ქაჩავდა ჰაერს და წყლის ორთქლს. ამ მოვლენამ მხოლოდ 1874 წელს ფრანგი ინჟინერ ედმონდ კარეს მიერ ჰპოვა განვითარება. კარეს მოწყობილობა აღჭურვილი იყო ხელის ამძრავით წინასწარი განმუხტვისათვის და კონცენტრირებული გოგირდმჟავის ავზით წყლის ორთქლის შთანთქმისათვის. ასეთ დანადგარს შეეძლო წყალი მიეყვანა გაყინვამდე. გერმანელი ინჟინერი ფრანც ვინდხაუზენი გახლდათ პიოონერი სიცივის წარმოების მექანიკურ პრინციპებში, რომელიც მაცივარაგენტად იყენებდა წყლის ორთქლს.

ძირითადი ნაწილი


სტატიაში წარმოდგენილი ინოვაციური კონსტრუქციის ვაკუუმური მაცივარი მანქანის პრინციპული სქემა გამოსახულია სურ. 1-ზე.



სურ. 1. ვაკუუმური მაცივარი მანქანა.
ჰერმეტიკული კამერა-1, მფრქვევანა-2, დისკური ჩამკეტი-3, ვაკუუმ-ტუმბო-კომპრესორი-4,
კონდენსატორი-5, დამხმარე ვაკუუმ-ტუმბო-6

წარმოდგენილი მაცივარი მანქანა წარმოადგენს ყინულგენერატორს. ჰერმეტიკულ კამერაში (პოზ.1) დამონტაჟებულია მფრქვევანა (პოზ.2) წყლის ნაკადის მცირედისპერსიულ ნაწილაკებად გაფრქვევისათვის. ჰერმეტიკული კამერის ძირში დამონტაჟებულია დისკური ჩამკეტი (პოზ.3), რომელიც გამოიყენება წარმოქმნილი ყინულის მასის ევაკუაციისათვის. მასათა ცვლის პროცესი შესაძლოა დაიყოს სამ სტადიად: პირველი სტადია-გასაცივებელი მასის დეგაზაცია, რომელსაც თან ზღვეს წყლის ზრდა ფენაში ძლიერი დულილი. მეორე სტადია ხასიათდება ბუმტუკებიანი დულილით, რომლის ტემპიც ეცემა, რადგანაც წნევაც კლებულობს. მესამე სტადიაში ხდება წყლის ფაზური გადასვლა ყინულში წყლის ორთქლის სუბლიმაციის ზემოქმედებით, რაც უზრუნველყოფს ყინულის სისქის მომატებას. ამ დროს მიღებულ ყინულის ტემპერატურაა 0,5°C, რაც ყინულის მისაღებად ოპტიმალური რეჟიმის მახასიათებელი პარამეტრია.

წყალზე მომუშავე მაცივარი მანქანის ციკლი ანალოგიურია ორთქლის კომპრესორული მაცივარი მანქანის ციკლისა იმ განსხვავებით, რომ წყლის, როგორც მაცივარაგენტის სიიფის გამო შესაძლებელია ღია ციკლზე მუშაობა, რაც კიდევ უფრო ამარტივებს დანადგარის სქემას.



სურ. 2. წყალზე და R22 მაცივარაგენტზე მომუშავე სამაცივრო ციკლების შედარება P-V დიაგრამაზე. (შედარებისათვის წყალზე მომუშავე სამაცივრო ციკლი გამოსახულია ჩაკეტილ კონტურად).

წყლის მახასიათებლების შედარება სხვა მაცივარაგენტების მახასიათებლებთან მოცემულია ცხრილ1-ში.

ცხრილი 1.

მაცივარაგენტი	GWP	ODP	ტოქსიკურობის ჯგუფი
R12	4600	1,0	A1
R22	1700	0,034	A1
R134a	1300	0	A1
R123	120	0,012	A1
წყალი	<1	0	A1
ამიაკი	0	0	B2
CO ₂	1	0	A1

დასკვნა

წყლის გამოყენება მაცივარაგენტად წარმოადგენს სამაცივრო ტექნიკის განვითარების პერსპექტიულ მიმართულებას. დღესდღეობით ეს ტექნოლოგია განვითარების სტადიაშია. თუ გავითვალისწინებთ მთელს მსოფლიოში

ხელოვნური მაცივარაგენტების და სამაცივრო ზეთების ფასების მზარდ ტენდენციას, წყლის გამოყენებას მაცივარაგენტად შესაძლოა მოუტანოს ფულადი სახსრების დიდი ეკონომია და მანქანა-დანადგარების კონსტრუქციული სქემის მნიშვნელოვანი გამარტივება, რაც ძალზედ წაადგება ჩვენს ქვეყანას. ამიტომ ასეთი ტიპის მაცივარი მანქანების წარმოებას შეუძლია ქვეყანას მოუტანოს დიდი შემოსავლები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. T. Megrelidze, Z. Jafaridze, S. Suladze, G. Gugulashvili, G. Goletiani, A. Tefnadze, G. Kvirikashvili, Z. Omiadze. Refrigerator machines (Piston compressors). Teknikuri Universiteti. Tbilisi: 2009. pp. 52-53;
2. T. Megrelidze, E. Sadagashvili, G. Beruashvili, G. Gugulashvili. Study the optimal working regimes of refrigerator machines with difficult cycle. Transactions of Technical University of Georgia. Tbilisi. Teknikuri Universiteti. 2011. # 2 (480). Pp. 91-96;
3. Meyer. Training Manual Refrigeration-AC, ICCT, 2004;
4. System Trouble Shooting Measuring Instruments. Danfoss A/S (RC-SM/MWA), 09-2002;
5. Refrigerant Properties Honeywell. Honeywell International Inc., USA, 2006.

Water refrigerant chiller

Givi Goletiani, Tamaz Isakadze, Givi Gugulashvili,

Mikheil Cagareishvili

Abstract

The article presents a vacuum refrigerated machine in which the working body uses water vapor. This type of chiller can not only cool the water, but also produce various modifications of ice. Since water is used as a refrigerant in such a system, the refrigeration unit is characterized by a simplified device and a technological scheme. In this case, water can be used as a working body, as well as for intermediate cooling. This factor significantly reduces the cost of this machine. In addition to the positive factors, a low working pressure of the

working fluid can be taken as a negative character in the machine. This is why the system needs a large flow of water vapor. The production of this type of refrigeration equipment operating on a natural refrigerator is one of the best ways to solve environmental problems. With this step, Georgia can also contribute to solving the most pressing problems facing the world, in particular, helping to equip the refrigeration park with natural refrigerants.

Холодильная машина с хладагентом, использующим воду

**Гиви Голетиани, Тамаз Исакадзе, Гиви Гугулашвили,
Михеил Цагареишвили**

Резюме

В статье представлена вакуумная рефрижераторная машина, в которой рабочий орган использует водяной пар. Этот тип холодильной машины может не только охлаждать воду, но и производить различные модификации льда. Поскольку такой системе хладагентом используется вода, холодильный агрегат отличается упрощенным устройством и технологической схемой. В этом случае вода может быть использована в качестве рабочего органа, а также для промежуточного охлаждения. Этот фактор значительно снижает стоимость этой машины. Кроме положительных факторов у машины отрицательным характером можно принять низкое рабочее давление рабочего тела. Вот почему система нуждается в большом потоке водяного пара. Производство такого типа холодильного оборудования, работающего на природном холодильнике, является одним из лучших способов решения экологических проблем. Этим шагом Грузия также может внести свой вклад в решение самых насущных проблем, стоящих перед миром, в частности, помогая оборудовать холодильный парк природными хладагентами.

შესავალი RevitArchitecture -ში და სამომხმარებლო ინტერფეისი

გიორგი შენგელია, ლიანა ასათიანი

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას №77, 0160, თბილისი, საქართველო)

რეზიუმე: წარმოდგენილი სტატია კომპიუტერული პროგრამის - ინფორმაციული მოდელირების საფუძვლებისა (BIM) და შენობის მოდელირების პარამეტრების RevitArchitecture გაცნობითი ხასიათის ნაშრომია. ეს პროგრამა უკვე 40 წელია წარმატებით გამოიყენება ძირითადად არქიტექტურული და სამშენებლო კომპანიების მიერ. (BIM)-ზე გადასვლა არ ნიშნავს პროგრამული უზრუნველყოფის შეცვლას, არამედ პროექტირებაში ახალი ტექნოლოგიების საფუძველია, რომელიც მოითხოვს არსებული საწარმოო ურთიერთობების შეცვლას.

საკვამო სიტყვები: სამომხმარებლო ინტერფეისი, საინფორმაციო მოდელირება, პროექტი, ხედები, თვისებათა პალიტრა, პროექტის დისპეჩერი.

პროგრამა Autodesk Revit ბოლო ათწლეულის განმავლობაში უნიკალური გახლდათ არქიტექტურულ-სამშენებლო დაგეგმარების (AEC) სფეროში. შენობათა საინფორმაციო მოდელირების (BIM) მეშვეობით კომპლექსური დაპროექტებისადმი თავისი მიდგომის ხარჯზე. რა თქმა უნდა, არსებობს, სხვა BIM-აპლიკაციებიც, რომლებიც იძლევა 3D-ში დაპროექტების საშუალებას. და თუ 10 წლის წინ 3D გარკვეულ მიჯნას ნიშნავდა, რომელიც პროგრამებს თავისი შესაძლებლობების მიხედვით ყოფდა, დღესდღეობით 3D – პირველ რიგში მოხერხებული მუშაობაა!

Revit სთავაზობს მომხმარებელს საპროექტო ინფორმაციის შემუშავების, მართვის და დოკუმენტური გაფორმების უნიკალურ შესაძლებლობას, რისთვისაც მხოლოდ ერთ ფაილს იყენებს. ამის საშუალებას ყველა სხვა BIM-აპლიკაციები როდი იძლევა. ვინაიდან ყველა მონაცემი პროექტის ერთიან ფაილში იმყოფება,

ვირტუალურ მოდელთან მუშაობისას შეგიძლიათ დაათვალიეროთ ის და მოახდინოთ მისი რედაქტირება გეგმების, ფასადების, ჭრილების, სამგანზომილებიანი გამოსახულებების, სპეციფიკაციების, დეტალირებისა და დროითი გრაფიკების მეშვეობითაც კი. Revit-ის სწავლებასთან დაკავშირებული ჩვენი მოგზაურობის დასაწყისში ჩვენ დაგეხმარებით პროგრამის სამომხმარებლო ინტერფეისისა და Revit Architecture-ში პროექტის ორგანიზაციის ძირითადი პრინციპების ათვისებაში.


ამ თავში შემდეგ თემებს შევისწავლით:

- Revit-ის ინტერფეისის გაგებას;
- სამუშაო პროცესების ინტერფეისის გაგებას;
- რედაქტირების საერთო ინსტრუმენტების გამოყენებას.

Revit-ის ინტერფეისის გაგება

Revit-ში გამოყენებული სამომხმარებლო ინტერფეისი (UI) ისეთივეა, როგორც Autodesk-ის სხვა პროგრამებში, კერძოდ AutoCAD, Inventor და 3ds Max-ში. ასევე აღვნიშნავთ, რომ ის Windows-თან მომუშავე სხვა აპლიკაციების, მაგალითად Microsoft Word ან Mindjet MindManager-ის, ანალოგიურია. ყველა მათგანი „ლენტის“ კონცეფციაზეა დაფუძნებული, როდესაც ინსტრუმენტთა მრავალრიცხოვანი პანელები ღილაკებითაა აღნიშნული სპეციალურ პანელზე, ან ლენტაზე, რომლის შინაარსი იცვლება იმაზე დამოკიდებულებით, თუ ამჟამად რას აკეთებთ. ამ თავში ჩვენ ინტერფეისთან მუშაობის ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტებს შევხებით, მაგრამ დაწვრილებით არ განვიხილავთ ყველა პანელსა და ბრძანებებს. მათთან ჯერ კიდევ მოასწრებთ მუშაობას ამ წიგნის კითხვისა და სავარჯიშოების შესრულების პროცესში.

ნახ. 1.1-ზე ნაჩვენებია Revit Architecture-ის ინტერფეისი. პროექტის სხვადასხვა ხედების დასათვალიერებლად შეიძლება ოთხი სახედე ფანჯრის შექმნა: გეგმა, ფასადი, 3D და კამერა.



ნახ. 1.1. Revit-ის სამომხმარებლო ინტერფეისი


მოდით ინტერფეისის მხოლოდ რამდენიმე ნაწილს შევხედოთ. წიგნთან გაცნობის პროცესში თქვენ თანდათან უკეთ გაერკვევით მის ყველა მდგენელში.

Properties Palette (თვისებთა პალიტრა)

თვისებთა პალიტრა – ესაა „მოტივტივე“ პალიტრა, რომელიც შეიძლება ღია იყოს მთელი იმ დროის განმავლობაში, სანამ მოდელთან მუშაობთ. ის ეკრანის ნებისმიერ ადგილზე შეიძლება განლაგდეს და ასევე მეორე მონიტორზე გადაინაცვლოს. თვისებთა პალიტრა შეიძლება სამი ხერხით გაიხსნას:

- ლენტაზე განლაგებული სანიშნის **Modify** (რედაქტირება) პანელის **Properties** (თვისებები) ხატულაზე (პიქტოგრამაზე) **Properties** (თვისებები) დაწკაპუნებით;
- მაუსის მარჯვენა დილაკზე დაწკაპუნებით გამოსაყვანი კონტექსტური მენიუდან **Properties** (თვისებების) შერჩევით;
- AutoCAD-თან ანალოგიაში, კლავიატურაზე **Ctrl+1** დაჭერით.

როგორც ნახ. 1.2-ზეა ნაჩვენები, თვისებათა პანელი ზედა ნაწილში შეიცავს დილაკს **Type Selector** (ტიპის შერჩევა). ახალი ელემენტის განთავსებისას ან მოდელში უკვე არსებული ელემენტის ტიპის შეცვლისას თვისებების პანელი ყოველთვის ღია უნდა იყოს, რათა თქვენ გქონდეთ წვდომა დილაკთან ტიპის შერჩევა.



სურ. 1.2. თვისებების პალიტრა იძლევა შესაძლებლობას მოცემულ იქნას შენობაში ელემენტთა შესვლის ან ხედების პარამეტრები


ელემენტის შერჩევის არარსებობის შემთხვევაში თვისებათა პალიტრა მიმდინარე ხედის თვისებებს ასახავს. თუ გსურთ მისი თვისებების შეცვლა, უბრალოდ შეიტანეთ ცვლილებები თვისებათა პალიტრაში. ხედებისთვის დილაკი **Apply**-იც (გამოყენება) კი არ არის საჭირო – ცვლილებები დაუყოვნებლივ ამოქმედდება.

და ბოლოს, თვისებათა პალიტრა შეიძლება გამოყენებულ იქნას შერჩეული ელემენტების ფილტრაციისათვის. თუ თქვენ შეუდარებელ ობიექტთა დიდი რაოდენობა შეარჩიეთ, ტიპის შერჩევის ქვემოთ გამოჩნდება ფანჯარა ამ ელემენტთა საერთო რაოდენობით. გახსენით ეს სია – იქ ჩამოთვლილი იქნება ყველა შერჩეული

ელემენტი კატეგორიების მიხედვით (ნახ. 1.3). ეხლა შეიძლება ნებისმიერი კატეგორიის შერჩევა და შესაბამისი ელემენტების პარამეტრთა შეცვლა. ასეთი ქმედება განსხვავდება ინსტრუმენტ **Filter**-სგან (ფილტრი), რომელიც მრავალრიცხოვანი ცვლილებების განხორციელების შესაძლებლობას თავად ელემენტების ხელმეორედ შერჩევის გარეშე იძლევა.

Project Browser (პროექტის დისპეჩერი)

პროექტის დისპეჩერი (ნახ. 1.4) – ესაა ვირტუალური ხე, რომელიც თქვენი პროექტის ყველა ხედების, ლეგენდების, სპეციფიკაციების, ფურცლების, ოჯახების, ჯგუფებისა და კავშირებისაგან არის ამოშენებული. შეგიძლიათ ჩაკეცოთ ან გაშალოთ ეს ხე ლილაკების + ან - დაჭერით შესაბამისი პოზიციის გვერდით. პროექტის დისპეჩერიდან ნებისმიერი **ხედის** გახსნა მასზე მაუსის მარცხენა ლილაკის ორმაგი დაწკაპუნებით ხორციელდება.



ნახ. 1.3. თვისებათა პალიტრის გამოყენება ნახ. 1.4. პროექტის დისპეჩერი
შერჩეული ელემენტების ფილტრაციისათვის

პროექტის დისპეჩერის პოზიციები ასევე შეიძლება გაიფილტროს და დაჯგუფდეს სხვადასხვა პარამეტრების მიხედვით. პროექტის დისპეჩერის თვისებებთან წვდომისათვის საკმარისია ხის ზედა ნაწილში **Views**-ზე (ხედებზე)

მარჯვენა ღილაკის დაწკაპუნება და **Type Properties**-ს (ტიპის თვისებების) შერჩევა. შემდეგ შერჩევა აუცილებელი პოზიციები გამოჩენილი სიიდან ან ის კოპირდება თავისი საკუთარი სიის შესაქმნელად.

Status Bar (მდგომარეობის სტრიქონი)

მდგომარეობის სტრიქონში აისახება ინფორმაცია შესასრულებელ ბრძანებებზე და შერჩეულ ელემენტებზე (ნახ. 1.5). დამატებით იქ მოიცემა ინფორმაცია შესაფერის კლავიშებზე ან უბრალოდ ჩამოთვლილია, თუ რა ობიექტებია შერჩეული. ასევე ის ძალიან მოხერხებულია დამოკიდებული ელემენტების საიდენტიფიკაციოდ.



ნახ. 1.5. მდგომარეობის სტრიქონი განლაგებულია Revit-ის სამუშაო ეკრანის ქვედა ნაწილში

View Control Bar (ხილვადობის მართვის სტრიქონი)

ხილვადობის მართვის სტრიქონი ხედის ყველა ეკრანზე დაბლას განლაგებული და შეიცავს სხვადასხვა ხატულებს ხედის იმ ტიპზე დამოკიდებულებით, რომელთანაც მიმდინარეობს მუშაობა (ნახ. 1.6).



ნახ.1.6. ხილვადობის მართვის სტრიქონი სწრაფ წვდომას იძლევა ხედის ძირითად თვისებებთან


მასზე განლაგებულია (მარცხნიდან მარჯვნივ) **Scale** (მასშტაბი), **Detail Level** (დეტალიზაციის დონე), **Visual Style** (ვიზუალური სტილი), **Sun Path (On/Off)** (მზის ტრაექტორია (ჩართ/გამორთ)), **Rendering Show/Hide** (ჩრდილები (ჩართ/გამორთ)) – მხოლოდ 3D ხედებისთვის, **Crop (On/Off)** (ხედის მოჭრა (ჩართ/გამორთ)), **Show/Hide Crop** (მოჭრის არეს ჩართვა), **Lock 3D View** (ხედის ბლოკირება) – მხოლოდ 3D

ხედებისთვის, **Temporary Hide/Isolate** (დროებითი დამალვა/იზოლაცია), **Reveal Hidden Elements** (დამალული ელემენტების ჩვენება). აღვნიშნავთ, რომ ზოგიერთი ეს ღილაკი ხედის თვისებებშიცაა მისაწვდომი თვისებათა პალიტრაზე.

View Cube (ხედების კუბი)

ნავიგაციის ერთ-ერთი საშუალების სახით ხედების კუბი ყველა სამგანზომილებიან ხედზე ჩნდება. კუბის ნებისმიერ ადგილზე მაუსის ღილაკის მიჭერით და გადაადგილებით (გადათრევით) შეგიძლიათ მოდელი ორბიტის გარშემო აბრუნოთ. ასევე შეიძლება ხედის ორიენტირება საჭირო წახნაგზე, კუთხეზე ან წიბოზე მაუსის დაწკაპუნებით.

პირველსაწყისი ხედის აღსადგენად კუბის ქვემოთ მცირე ზომის „სახლი“ არსებობს. ხოლო ხედების კუბზე მარჯვენა ღილაკის დაწკაპუნება ხედის ორიენტაციის აწყობის მენიუს ხსნის (ნახ. 1.7).




ნახ. 1.7. მარჯვენა ღილაკის დაწკაპუნებით ხდება ხედების კუბზე დამატებითი პარამეტრების გამოძახება

Options bar (პარამეტრთა პანელი)

პარამეტრთა პანელი – ძალიან მნიშვნელოვანი კონტექსტურ-ამთვისებელი არეა, რომელიც უკუკავშირს ახორციელებს ობიექტთან მუშაობის დროს. მაგალითად, როდესაც იყენებთ ბრძანებას **Wall** (კედელი), პარამეტრთა პანელზე სიმაღლის, მიზმის, შეჭრის და ჯაჭვში შეერთების მნიშვნელობები აისახება (ნახ. 1.8).

მაშინაც კი, თუ თქვენ ანოტაციას ათავსებთ, პარამეტრთა პანელზე მისი შესაძლო აწყობები გამოჩნდება.



ნახ. 1.8. პარამეტრთა პანელი პარამეტრთა პირდაპირ შეყვანას უზრუნველყოფს შერჩეული ობიექტის ან ბრძანებისათვის

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Джеймс Вандезанд, Фил Рид, Эдди Кригер "Официальный учебный курс " -Веб-сайт издательства : www.dmk.pf.

Вступление в RevitArchitecture и ознакомление с интерфейсом

გიორგი შენგელია, ლიანა ასათიანი

Резюме

Данная работа является ознакомлением компьютерной программы основ информационного моделирования (BIM) и параметры моделирования зданий RevitArchitecture. Вот уже 40 лет эта программа успешно используется в основном архитектурными и строительными фирмами. Переход на (BIM), это не смена программного обеспечения, это основание новой технологии проектирования, требующее переделки сложившихся производственных отношений.

INTRODUCTION IN RevitArchitecture AND USER INTERFACE

Giorgi Shengelia, Liana Asatiani

Abstract

In the presented paper is considered an introductory in RevitArchitecture Computer Information Basics (BIM) and Building Modeling Options. This program has been used successfully for 40 years mainly by architectural and construction companies. The transition to (BIM) does not mean a change in software, but rather a foundation of new technologies in design that require a change in existing production relationships.

ადამიანური რესურსების მართვის სისტემის თანამედროვე უპირატესობები

ანა წულაია, ლევან მიქავა, ალექსანდრე კანკაძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას №77, 0160,

თბილისი, საქართველო)

რეზიუმე: თანამედროვე ბიზნესში მნიშვნელოვანია ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერის ჩართულობა, რადგან სწორედ ადამიანური რესურსი კმნის კომპანიის სამომავლო სტრატეგიას და ახდენს მის რეალიზაციას. ხშირად ბიზნესის მესაკუთრეებს აქვთ არასწორი წარმოდგენა HR-ის ფუნქციებზე და მოიაზრებენ იმ გუნდს რომელიც შემოიფარგლება მხოლოდ თანამშრომელთა პირადი საქმის წარმოებით. დღეს კი ნებისმიერი ბიზნესისათვის HR მენეჯერები ასრულებენ ბევრად უფრო მნიშვნელოვან ფუნქციებს, მათი ჩართულობითაა შესაძლებელი დასაქმებულთა უნარების მართვა და განვითარება, რაც მთლიანობაში კომპანიის ზრდა-განვითარებას ემსახურება.

საკვანძო სიტყვები: ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, HR მენეჯერი; HR ბრენდი, მარკეტინგი, პერსონალი, ბაზარი, სტრატეგია.

შესავალი

ადამიანური რესურსები, ისევე როგორც კომპანიის ძირითადი საშუალებები, ფინანსური სახსრები და სხვა აუცილებელი წარმოების ფაქტორები, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ წარმატებული ბიზნესის ფორმირებაში. ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიის ინტეგრაცია ორგანიზაციის მენეჯმენტთან, მართვაში მარკეტინგული მეთოდების გამოყენება წარმატებული ბიზნესის წინაპირობაა. თუმცა ადამიანთა ნაწილი ფიქრობს, რომ მარკეტინგი და ადამიანური რესურსები არ არის ერთმანეთთან დაკავშირებული. მიგვაჩნია, რომ კომპანიისთვის სასურველი გაყიდვების მოცულობის მისაღწევად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია გარკვეული რაოდენობის მომხმარებლის მოზიდვა, ამასთანავე გრძელვადიანი

წარმატებისათვის - მნიშვნელოვანია ნიჭიერი კადრების მოზიდვა. HR მენეჯერმა იმგვარად უნდა აღუძრას ადამიანს კომპანიასთან თანამშრომლობის სურვილი (თანხობრივი შეთავაზებით, კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების დაფინანსებით, ახალი უნარ-ჩვევების შეძენის სურვილით, ან რომელიმე სხვა მოტივატორის ჩართვით), როგორც მარკეტინგის სპეციალისტმა, რომელიც მუმივად ცდილობს კეთილად განაწყოს კომპანიისადმი მომხმარებელი.

HR სპეციალისტების წინაშე მუდმივად დგას საკითხი:

- კანდიდატები არ ეხმაურებიან ვაკანსიას, ან ეხმაურებიან, მაგრამ არასასურველი კანდიდატები.
- როგორ მოიზიდოს კვალიფიციური კადრი?
- როგორ გავხადოთ პერსონალის შერჩევის პროცესი უფრო მოქნილი?
- რატომ მიდიან თანამშრომლები კონკურენტებთან?

ეს არის კითხვები, რომელზეც პასუხის გაცემაში დაგვეხმარება მარკეტინგული ცოდნა. დღეს მარკეტინგული ტექნოლოგიების გამოყენება შრომის ბაზარზე დიდი პოპულარულობით სარგებლობს. შესაძლებელია ეს განვიხილოთ როგორც, ჰიბრიდული, ორი სხვადასხვა პროფესიის - HR მენეჯერის და მარკეტოლოგის ერთობლივი მუშაობა წარმატებული ბიზნესისთვის, ან როგორც HRM - ის მარკეტინგული მხარე ან HRM-ის მარკეტინგული ტრანსფორმაცია. კომპანიისათვის სასურველ კანდიდატს სურს გაიგოს - რატომ მიანიჭოს თქვენს კომპანიას უპირატესობა სხვებთან შედარებით, რა სიახლეს სთავაზობთ? აქ ძირითადად განხილულია ორი პარამეტრი: **პრაგმატული გადაწყვეტილება**, როგორცაა ანაზღაურება, სამუშაოს ადგილმდებარეობა, თუ გრაფიკი და **ემოციური გადაწყვეტილება** - ხშირად კანდიდატი გადაწყვეტილების დროს უპირატესობას ანიჭებს ფაქტებს, რომელიც ემოციურად მასთან უფრო ახლოსაა.

ძირითადი ნაწილი

HR მენეჯერის ძირითადი საქმიანობა მიმართულია არსებული კადრების შენარჩუნებისაკენ. ამ შემთხვევაში კომპანია განიხილება, როგორც საქონელი და

თანამშრომელი როგორც მომხმარებელი. თუ თანამშრომელი (მომხმარებელი) არ განიცდის საქონელთან მიჯაჭვულობას ან დადებით ემოციას, მაშინ ის მიდის ფრიად საყურადღებოა, რომ დასაქმებულების 93 % მზად არიან დატოვონ კომპანია და უპირატესობა მიანიჭონ სხვა, უკეთესი რეპუტაციის მქონე კომპანიას.

HR- ში მარკეტინგის ძირითადი პრინციპები ვრცელდება კომპანიის შიგნითაც, კერძოდ:

- **პირველ რიგში ხდება მიზნის დასახვის და ეფექტიანობის გაზომვა.** ნებისმიერი მარკეტინგული დაგეგმვა იწყება მიზნის დასახვით და არჩეული სტრატეგიის ეფექტიანობის შესაფასებელი პარამეტრის განსაზღვრით. HR მარკეტინგში შესაძლებელია იყოს რამოდენიმე მიზანი: შეცვალოს გამოცხადებულ ვაკანსიაზე ადრე არსებული პირობები, შეამციროს კომპანიაში არსებული თანამშრომელთა რაოდენობა, შეცვალოს დამსაქმებლის კორპორატიული ბრენდი და ა.შ. თითოეული მიზნისთვის უნდა დაიგეგმოს მოქმედების და კონტროლის მისეული გზა, რაც შესაბამისობაში იქნება კომპანიის საერთო მიზანთან.

- **მიზნობრივი აუდიტორიის განსაზღვრა, შეფასება და სეგმენტირება შემდგომი მნიშვნელოვანი მარკეტინგული ნაბიჯია** - რათა კომპანიამ თავისი ძირითადი ძალისხმევა მიმართოს კონკრეტულ ადრესატზე. HR აუდიტორია მარტივად შესაძლებელია დაიყოს 2 მიზნობრივ აუდიტორიად თანამშრომლები და კანდიდატები. ხშირად, ინფორმაცია, რომელიც დაინტერესებს კანდიდატებს ნაკლებად აინტერესებთ თანამშრომლებს.

- **სტრატეგია** - ინფორმაცია, რომელსაც გადმოსცემს HR, ისევე როგორც მარკეტოლოგი უნდა იყოს მუდმივი და სტაბილური, ნათლად განსაზღვრული მიზნით, ღირებულებებით და კორპორატიული ბრენდის თავისებურებებით. სტრატეგიის მოულოდნელი ან მკვეთრი ცვლილება უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის რეპუტაციაზე რაც თავისთავად ნეგატიურად აისახება თანამშრომლებზე და ვლინდება მათი უკმაყოფილების ფორმით. რათქმაუნდა ეს კომპანიისთვის არამომგებიანია.

- შიდა და გარე ფაქტორებთან შესაბამისობა. ნებისმიერი მარკეტინგული გზავნილი (ამ შემთხვევაში კი) HR განყოფილებიდან უნდა შეესაბამებოდეს კომპანიას მიზანს. მაგალითისთვის, თუ კომპანია მიზანმიმართულია კრეატიულობისაკენ, მაშინ მოქმედებებიც უნდა იყოს კრეატიული.

„ბიზნესის თანამედროვე მართვაში მნიშვნელოვანია HR მენეჯერის ჩართულობა“¹ თვლიან ევროპული კომპანიების HR მენეჯერები და გამოყოფენ იმ ძირითად კომპონენტებს, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ბიზნესის მფლობელებმა, ცნება - „ადამიანური რესურსები“-ს განიხილვისას.

1. HR მენეჯერმა უნდა უზრუნველყოს კომპანიის სტრატეგიული უპირატესობა.

HR არ არის მხოლოდ თანამშრომელთა გამოცდილების სტატისტიკის მწარმოებელი. მან უნდა მოახდინოს ახალგაზრდა თანამშრომელთა ადაპტირება და განშლა სამუშაო გარემოში, რაც მომავალში ხელს შეუწყობს: მიმდინარე პროცესების, კომპანიის ზრდის ანალიზის შეფასებას და საბოლოოდ გრძელვადიანი სტრატეგიის მიღწევას. HR არის გადაწყვეტილებების ღერძი, მიიჩნევს სარა ო ნიელი „Digital Trends“-ის HR მენეჯერი;

2. HR მენეჯერს მოაქვს კომპანიისათვის რიალური ღირებულება. HR მენეჯერი უნიკალურად პოზიციონირებს და ახდენს გავლენას ორგანიზაციული კულტურაზე, სტრატეგიულ დაგეგმვასა და შრომის ბაზარზე. მოაზროვნე ბიზნეს ლიდერებისათვის ბიზნესსა და მომხმარებლებს შორის დამაკავშირებელი ღერძი არის სტრატეგიულად მოაზროვნე, ადამიანთა შესაძლებლობების სწორად შემფასებელი HR მენეჯერი, თვლის „Outsell“ HR მენეჯერი კატრინ დოკერი.

3. HR მენეჯერის ჩართულობა გათვალისწინებული უნდა იქნეს ბიზნეს-გეგმის შედგენის დროს. უმეტესად ბიზნეს მფლობელებს მიაჩნიათ, რომ HR უფრო მეტად ასრულებს ე.წ. “go-to” ფუნქციას, რაც დაკავშირებულია რეკრუტინგთან, მიღება-განთავისუფლებასთან და ა.შ. მაშინ, როდესაც HR

¹ <https://www.forbes.com/?sh=757299392254>

მენეჯერს გააჩნია დიდი გამოცდილება, იმისათვის რომ გაიზიარონ და მიიღონ კომპანიის ზრდა-განვითარების სტრატეგიაში მონაწილეობა, როგორც არსებული ადამიანური რესურსების რეალურმა შემფასებელმა - მიიჩნევს მეგ ბეტლი „Strategic HR Professional“ დირექტორი;

4. **„HR მენეჯერი, რეალური მენეჯერია“ - აცხადებს ანჯელა ჯიენი - Ad Ecvhange Group -ის** ადამიანური კაპიტალის მენეჯერი - „ხელმძღვანელები HR-მენეჯერს განიხილავენ, როგორც კომპანიაში არსებული რესურსებისა და მომავალი რისკის სწორ შემფასებლად. სწორედ ძლიერ HR მენეჯერს, როგორც ნიჭიერ მენეჯერს ძალუძს სამუშაო ეთიკიდან და თანამშრომელთა უნარებიდან გამომდინარე ზეგავლენა მოახდინოს თანამშრომლებზე და გუნდი მიმართოს კომპანიის სტრატეგიული ბიზნეს-ინტერესების განსახორციელებლად“.
5. **„HR მენეჯერი არ არის მხოლოდ შიდა ბიზნესი“ - ტოდ რიჩარდი Attorney–HR** ები არიან ლიდერები, რომლებიც არსებული მონაცემების საფუძველზე განსაზღვრავენ და მიმართავენ კომპანიის ადამიანურ რესურსებს კომპანიის სტრატეგიის მიღწევისკენ, მათ შეუძლიათ თანამშრომლების ინსპირირება საუკეთესო შედეგების მისაღებად, რაც უპირისპირდება იმ არასწორ შეხედულებას, რომ HR მხოლოდ შიდა არსებულ პროცესებზეა ორიენტირებული,
6. **HR არ არის მხოლოდ ორი სიტყვა -„ადამიანური რესურსები“** რადგან HR დაკავშირებულია ბიზნესთან, რათა ხელი შეუწყოს კომპანიაში მიმდინარე ცვლილებების და პროცესების ოპტიმიზაციას, შექმნას კარგი სამუშაო გარემო, შეიმუშაოს და განავითაროს კონკრეტული ბიზნესის საჭიროებაზე მორგებული სისტემები, პროცესები და სამოქმედო გეგმა. აცხადებს ბრეტ კომეუქსი LG Fairmont-ის HR ოფიცერი (აშშ);

რა მნიშვნელოვან უპირატესობას ფლობს თანამედროვე HR მენეჯერი?

1. უზრუნველყოფს **დამსაქმებლის მარკეტინგს და ბრენდინგს** - კომპანიის წარმატებული არსებობისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია გამოირჩეოდეს

კონკურენტებისაგან განსხვავებული ნიშან-თვისებებით, განსაკუთრებით მაშინ თუ პროდუქტი კარგია და ბრენდიც მიმზიდველი. ბრენდი თავისთავად არის კონკურენტული იდენტურობა, კომპანიის სწრაფვა საზოგადოებაში შექმნას მის მიმართ განსხვავებული და გამორჩეული ასოციაცია. თუმცა, მიგვაჩნია, რომ კომპანიის მხოლოდ პროდუქცია და მომსახურება არ არის საკმარისი ბრენდინგისათვის. მნიშვნელოვანია ასევე HR ბრენდინგი. განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც კომპანიას სურს მოიძიოს და შეინარჩუნოს ნიჭი. პიროვნებისთვის მნიშვნელოვანია იმუშაოს იმ კომპანიაში, რომელსაც აქვს კარგი რეპუტაცია, აქვს ძლიერი მისია და ხედვა. თითოეული კომპანიის წარმატება კი მასში მომუშავე ადამიანებზეა დამოკიდებული. თუკი მარკეტინგის მენეჯერი ახდენს მომხმარებელთა მოზიდვა - შენარჩუნებას, HR მენეჯერმაც თავის მხრივ უნდა შეძლოს ახალი ნიჭიერი კადრების მოზიდვა, შენარჩუნება. რაც უფრო მარტივად მიიღწევა HR ბრენდის არსებობის შემთხვევაში. HR ბრენდის შექმნაში მონაწილეობს HR მენეჯერი და გულისხმობს ორგანიზაციის მისწრაფებების, ღირებულებების, საჭიროებებისა და მისიის ისეთი სახით ჩამოყალიბებას, რომ მიიზიდოს სასურველი კადრი. HR ბრენდი უნდა იყოს მკაფიო, თანმიმდევრული თავის დაპირებების შესრულებაში. ბიზნესმა უნდა განავრცოს ინფორმაცია HR ბრენდის შესახებ ყველა დაინტერესებულ ჯგუფებში. სასურველია HR ბრენდის ჩამოყალიბებაში კომპანიის მარკეტინგის სპეციალისტიც ჩაერთოს.

ცხოვრების დონის რეგულირების ძირითადი ინსტრუმენტებია საგადასახადო სისტემა, ინფლაციური დონისძიებები, ანტიმონოპოლისტური პოლიტიკა და ა.შ. საარსებო მინიმუმი სიღარიბის აბსოლუტური ზღვარია და საჭიროებს მკაცრ კონტროლს. ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის ფეთქებადი ხასიათი მოითხოვს სწორად დაისვას ამოცანა და რეალურად განხორციელდეს სიღარიბის დაძლევის კომპლექსური გეგმის შემუშავება-განხორციელება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სოციალური ეკონომიკა: ფორმირება და განვითარება (ნაწილი I) - ნოდარ ჭითანავა; ლარისა თაკალანძე, თბილისი, 2008წ.;
2. www.parlament.ge;
3. ge.undp.org/content/Georgia/ka;
4. www.geostat.ge;

5. www.nbg.gov.ge.

Уровень жизни и социальные проблемы в Грузии

Нуну Ачуашвили

Резюме

Уровень жизни является многомерным показателем. Его повышение подразумевает рост доходов на душу населения, уменьшение бедности, улучшение образования, здравоохранения и экологического положения. Повышение уровня жизни в первую очередь достигается ростом производства, на который влияют такие факторы как: макроэкономическое равновесие, инфляция, людские потребности и те особые ситуации: войны, эпидемии, стихийные бедствия, которые вызывают безработицу и бедность. Повышение уровня жизни должно достигаться посредством хорошо разработанной государством социально-экономической политики, содействия трудоустройству и создания рабочих мест.

Level of Living and Social Problems in Georgia

Nunu Achuashvili

Abstract

Level of living is multidimensional index. Rising of that implies growth of incomes per head of population, reduction of poverty, improving of education, healthcare and ecological state. Rising of level of living first of all may be achieved by growth of production, which is influenced by the factors such as macroeconomic balance, inflation, human necessities and the special situations such as wars, epidemics, natural disasters, which cause unemployment and poverty. Rising of level of living shall be achieved by the social-economical policy, developed by the state properly as well as through employment contribution and creation of jobs.

ინტელექტუალური სატრანსპორტო სისტემის შექმნა ინოვაციური საინჟინრო მეთოდების გამოყენებით კონსტანტინე მჭედლიშვილი, ბესიკ ჩიტაძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ. №77, 0160,
თბილისი, საქართველო)

რეზიუმე: სტატიაში ნაჩვენებია საავტომობილო ტრანსპორტის განვითარების თანმდევი უარყოფითი მოვლენების შემცირების შესაძლებლობა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გამტარუნარიანობის ამაღლებითა და სატრანსპორტო ნაკადების მართვის გაუმჯობესებით. ამისათვის კი აუცილებელია ისეთი სისტემის შექმნა და დანერგვა, სადაც კავშირგაბმულობის, მართვისა და კონტროლის საშუალებები ჩანერგილია სატრანსპორტო საშუალებებში და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტებში. ინფორმაციის მიღება კი ხდება რეალურ დროში და შემუშავებული ეფექტური გადაწყვეტილებები ხელმისაწვდომია ტრანსპორტის ოპერატორებისა და მოძრაობის ყველა მონაწილისათვის. სტატიაში ნაჩვენებია მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების გამოცდილება ინტელექტუალური სატრანსპორტო სისტემების შემუშავებასა და დანერგვაში. ნაჩვენებია აგრეთვე საქართველოში ანალოგიური სისტემის შემუშავებისა და დანერგვის მიზანშეწონილება, ჩამოთვლილია განსახორციელებელი ღონისძიებები.

საკვანძო სიტყვები: ინფრასტრუქტურა, ტრანსპორტი, ინტელექტუალური სისტემები, მართვა, ოპტიმიზაცია.

პრობლემის აქტუალობა

საქართველოს ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი დარგი საავტომობილო ტრანსპორტი ბოლო 10–12 წელიწადში არნახული ტემპით ვითარდება. მთლიანად განახლდა ავტოპარკი, მკვეთრად გაიზარდა მისი მოცულობა, ყოველწლიურად ავტოსაგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებაში

მილიარდ ლარზე მეტი იხარჯება და დადებითი შედეგებიც სახეზეა. ავტოპარკისა და საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების დაყვანილი რაოდენობრივი და თვისობრივი მონაცემებით იგი წინ უსწრებს ყოფილ სსრ-ს ყველა რესპუბლიკის ესტონეთის გარდა.

მიღწევებთან ერთად ავტოტრანსპორტის განვითარება იწვევს რიგ უარყოფით მოვლენებს. მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებთან შედარებით საქართველოში დიდია საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებში (სსშ) დაღუპულთა რაოდენობა, სახეზეა ნახშირწყალბადების მოხმარების და ეკოლოგიაზე უარყოფითი ზეგავლენის ზრდა, მგზავრებისა და ტვირთების შეფერხებები გამოწვეული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის არასაკმაო გამტარუნარიანობით და სატრანსპორტო ნაკადებით მართვის დაბალი დონით. გამოსავალია ისეთი სისტემის შექმნა და დანერგვა, სადაც კავშირგაბმულობის, მართვისა და კონტროლის საშუალებები ჩანერგილია სატრანსპორტო საშუალებებში და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტებში. აგრეთვე, ინფორმაციის მიღება მოხდება ოპერატიულად, რეალურ დროში და ეფექტური გადაწყვეტილებების მიღება მისაწვდომი იქნება არამარტო ტრანსპორტის ოპერატორებისთვის, არამედ მოძრაობის ყველა მონაწილისთვის.

არსებული მდგომარეობა

სატრანსპორტო კომპლექსის ოპტიმალური მართვისთვის მოწინავე ქვეყნებში უახლესი საინფორმაციო-მმართველი ტექნოლოგიების გამოყენებით შეიქმნა ინტეგრირებული სისტემა: ადამიანები - სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა - სატრანსპორტო საშუალებები. ასეთ სისტემებს უწოდებთ Intelligent Transport Systems „ITS“ ანუ ინტელექტუალური სატრანსპორტო სისტემა (ისს).

მსოფლიო პრაქტიკაში ისს სფეროა: საზოგადოებრივი ტრანსპორტის პრობლემები; საგზაო უსაფრთხოების ამაღლება; საცობების ლიკვიდაცია; ინტერმოდალური (საავტომობილო, სარკინიგზო, წყლის, ჰაერის) სატრანსპორტო სისტემების ერთობლივი და ოპტიმალური მართვა; აგრეთვე ეკოლოგიური და

ენერგეტიკული პრობლემების შემსუბუქება. მსოფლიოში ის წამყვანი ორგანიზაციებია დასავლეთ ევროპაში ERTICOITS EUROPE; ჩრდ. ამერიკაში (აშშ, კანადა) – ITS America; იაპონიაში - VERTIS.

კალკულ ქვეყნებს შორის ყველაზე წარმატებული ის სისტემებია სამხრეთ კორეაში, საფრანგეთში და იაპონიაში. ის-ის ეროვნული ასოციაციები შექმნილია დიდ ბრიტანეთში, შვედეთში, ბელგიაში, რუსეთში, ჩეხეთში, რუმინეთში და ა.შ. ისინი მოიცავენ სამთავრობო ორგანიზაციებს და ფინანსდებიან ბიუჯეტიდან, თუმცა სახეზეა სამთავრობო და კერძო ორგანიზაციების მონაწილეობაც.

კომპანია Market Research Future 2016 წელს მონაცემებით ის მსოფლიო ბაზრის მოცულობა 2022 წლისთვის მიაღწევს \$42,67 მლრდ. ყველაზე მსხვილი მომხმარებელია აშშ, სადაც მაღალია ეკონომიკის დონე, დიდია ავტოპარკი, გზებისა და ქუჩების ქსელი და მისი დატვირთვა მოძრაობით. იქ მოქმედებს ITS America. ის-ს ყველაზე სწრაფი ზრდა Grand View Research მონაცემებით აზია-წყნაროკეანის რეგიონშია მოსალოდნელი 2018-2024წწ., ვინაიდან იგი ფართოდ ინერგება ჩინეთში, ინდოეთსა და ავსტრალიაში.

ის კომპლექსურად წყვეტს შემდეგ პრობლემებს: საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ამაღლება; საგზაო და მაკონტროლებელი სპეცსამსახურების ინფორმირება; გზების გამტარუნარიანობის ზრდა, საცობების მინიმიზაცია; გარემოზე მავნე მოქმედების შემცირება; საზოგადოებრივი და კომერციული ტრანსპორტის მართვა; საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება და მოვლა-შენახვის გაუმჯობესება; გზების ფასიან მონაკვეთებზე გადახდის ავტომატიზაცია და ა.შ.

ის გამოყენების ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგია გზებზე მოძრაობით დატვირთვის დონის შემცირება და მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესება. საგზაო ზედამხედველობის კამერები აფიქსირებენ მოძრაობის წესების დარღვევას. ავტომობილთა ნომრებს. ქმნიან მტკიცებულებათა ბაზას, გადასცემენ მონაცემებს მათი დამუშავების სპეციალიზირებულ ცენტრებში.

საზოგადოებრივ ტრანსპორტზე ის გამოიყენება ეფუძნება ვიდეო-მეთვალყურეობას, ფიქსირდება საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევები, უზრუნველყოფილია კავშირი მართვისა და დისპეტჩერიზაციის ქვესისტემებთან, გროვდება მონაცემები საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისთვის და საზოგადოებრივი ტრანსპორტის მარშრუტების ოპტიმიზაციისთვის.

სატრანსპორტო ნაკადების მართვა ის უმნიშვნელოვანესი სფეროა, ასეთი სისტემები აფიქსირებენ და გადასცემენ მონაცემებს საგზაო-სატრანსპორტო სიტუაციაზე: ნაკადების ინტენსივობა; შემადგენლობა; გადაადგილების სიჩქარე; მეტეოპირობები; საგზაო ინფრასტრუქტურის ხარვეზები და ა.შ. ამ მონაცემთა გადამწოდები პირდაპირ არიან შეერთებული ადაპტური მართვის შუქნიშნებთან და საინფორმაციო ტაბლოებთან რეალური დროის რეჟიმში.

ის გამოყენების ეფექტურობა ჩვეულებრივ ფასდება რაოდენობრივ მონაცემებით:

- სატრანსპორტო ნაკადების შეფერხებათა შემცირება მარშრუტებზე;
- გზებისა და ქუჩების გამტარიანობის ზრდა;
- მგზავრობის დროის შემცირება საზოგადოებრივ ტრანსპორტზე;
- ავარიულობის შემცირება.

ამჟამად ყველაზე აქტიურად ვითარდება ის საგზაო ინფრასტრუქტურის და სატრანსპორტო საშუალებათა შემდეგი მიმართულებებით:

1.1. საქალაქთაშორისო ავტომაგისტრალზე და საქალაქო მაგისტრალური ქუჩების ქსელზე მოძრაობის მართვა;

1.2. კომერციული ავტოგადაზიდვები;

1.3. სატრანსპორტო საშუალებების შეჯახების თავიდან აცილება და მოძრაობის უსაფრთხოების ამაღლება;

1.4. სატრანსპორტო მომსახურების ანაზღაურების ელექტრონულ სისტემები;

1.5. ინფორმაციის მართვა განგებო სიტუაციებში;

1.6. სსშ შედეგების ლიკვიდაციის ორგანიზება;

1.7. ინტერმოდალური სატვირთო გადაზიდვები;

1.8. საზოგადოებრივ ტრანსპორტის მართვა;

1.9. საგზაო ინფრასტრუქტურის ექსპლუატაცია;

1.10 გზებზე სატრანსპორტო სიტუაციის და ამინდის კონტროლი, მოძრაობის მონაწილეთა ინფორმირება.

ისს - სერვისული სისტემაა. მსოფლიო პრაქტიკაში მას 5 ძირითადი მომხმარებელი ყავს: მძღოლები, ქვეითები, ველოსიპედისტები, საზოგადო ტრანსპორტის მგზავრები, მეწარმე გადამზიდველები და საგზაო ინფრასტრუქტურის ექსპლუატაციის მუშაკები.

ავტომობილებით ადამიანების და ტვირთების გადაადგილების პროცესის ოპტიმიზაციისათვის სრულდება შემდეგი ამოცანები:

გზებზე სიტუაციის კონტროლი - დიდი რაოდენობის, მაღალი სიჩქარით მოძრავ ობიექტებზე დაკვირვება. ამ მიზნით გამოიყენება „ისს“-ს ნაწილი „ავტო-ინტელექტი“. იგი შედგება 3 მოდულისაგან: ავტომობილთა სარეგისტრაციო ნომრების ამოცნობა; სატრანსპორტო ნაკადის მახასიათებლების დადგენა და სიჩქარეთა კონტროლი. „ავტო-ინტელექტი“ აგროვებს სტატისტიკას სატრანსპორტო ნაკადებზე, საგზაო პოლიციას აწვდის მონაცემებს მოძრაობის წესების დარღვევებზე, განსაზღვრავს საცობების წარმოშობის საფრთხეს.

ნაკადის მახასიათებლების დადგენა – გამოიყენება მოძრაობის ორგანიზაციისათვის. ავტომატურად აფიქსირებს სსშ, საცობებს, სიჩქარეებს, ავტომობილთა ტიპებს და რაოდენობის დროს ერთეულში ცხრილების და გრაფიკების სახით.

მოძრაობის წესების დარღვევათა დაფიქსირება - ავტომატური ვიდეო რეგისტრაცია: სიჩქარის გადაჭარბება; შემხვედრ მოძრაობის ზოლზე გადასვლა; აკრძალულ ადგილას გაჩერება და უკანა სვლით გადაადგილება, აკრძალული ტიპის ავტომობილის გავლა.

საგზაო სტატისტიკის შეგროვება და ანალიზი - საათობრივი ინტენსიურობა საკონტროლო ზონაში; ცალკეული ავტომობილის სიჩქარე; ნაკადის საშუალო

სიჩქარე და სიჩქარეები ავტომობილთა ტიპის მიხედვით; დისტანცია ავტომობილებს შორის, დატვირთვის დონე ზოლებზე; სიჩქარის გადაჭარბება; შემხვედრი მოძრაობის ზოლზე გადასვლა; საცობები; დარღვევათა რაოდენობა.

ევროკავშირში 1991 წლიდან ფუნქციონირებს ის-თა ბაზრის მონაწილეთა ევროპული ასოციაცია ERTICO. იგი აერთიანებს კონსორციუმის სახით ის ბაზრის განვითარებით დაინტერესებულ ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კერძო ორგანიზაციებს.

იგი შექმნილია ევროკავშირის ქვეყანათა ტრანსპორტის სამინისტროების მიერ, მაგრამ საზოგადოებრივი არასახელმწიფო ინსტიტუტია, რომლის მიზანია ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენება საგზაო ინფრასტრუქტურის, მოძრაობის რეგულირების, მგზავრებისა და ტვირთების გადაადგილების უსაფრთხოების, ეკონომიურობის და ეკოლოგიურობის გასაუმჯობესებლად.

ისს შეუძლია მოიცავდეს ტრანსპორტის ყველა სახეობას, მაგრამ ევროკავშირის „2010/40EU 7 July 2010“ დირექტივაში ის არის სისტემა, რომელიც იყენებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს ავტოტრანსპორტის სფეროში (ინფრასტრუქტურა, სატრანსპორტო საშუალებები, სისტემაში მონაწილეები, საგზაო-სატრანსპორტო რეგულირება და ა.შ.) და ურთიერთმოქმედებს სხვა სახის ტრანსპორტთან. თავიდან ის-დმი ინტერესი გამოიწვია გზებსა და ქუჩებზე საცობების პრობლემებმა. საცობები ავტომობილიზაციისა და ურბანიზაციის, აგრეთვე მოსახლეობისა და განაშენიანების სიმჭიდროვის ზრდის შედეგია. საცობები ამცირებენ უაღრესად ძვირი საგზაო-სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ეფექტურობას გზაში ყოფნის დროის, საწვავის ხარჯის, გარემოს დაბინძურების და სხვა უარყოფითი მოვლენების გამო.

2012 წლიდან ევროკავშირის კანონმდებლობა მოითხოვს ყველა გასაყიდი ავტომობილის აღჭურვას ტელემატიკური ბლოკებით, რომლებიც იძლევიან ინფორმაციას გზებისა და ქუჩების ქსელზე მოძრაობის დატვირთვის დონეზე, აგრეთვე სატელიტური სისტემების გამოყენებით ზუსტად განსაზღვრავენ სსშ-ს ადგილს, ავტომატურად გამოუძახებენ დამხმარე სამსახურებს.

პრობლემის გადაჭრის გზები, დასკვნები

მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების დადებითი გამოცდილება მიუთითებს საქართველოში ისს-ს გამოყენების დიდ მიზანშეწონილებას. ქართველი სპეციალისტების მიერ ამ მიმართულებით 20 წელზე მეტია სრულდება გარკვეული კვლევები. აღსანიშნავია ა.ფრანგიშვილის, კ.მჭედლიშვილის, მ.ელიზბარაშვილის მონაწილეობით და ხელმძღვანელობით შესრულებული სამუშაოები.

საქართველოში ისს-ს შექმნის პირველი საფეხურზე მიზანშეწონილია საავტომობილო ნავიგაციის და ავტომობილებზე საბორტო ინტელექტუალური სისტემების ფართო დანერგვა, ვინაიდან მათი დაყენება ამცირებს სსშ სიმძიმესა და რაოდენობას 40–50%-ით. აგრეთვე საგზაო ნიშნების და შუქნიშნების მარტივი სისტემები.

საგზაო ნიშნების და შუქნიშნებით რეგულირების მარტივი სისტემები ავტომობილთა ნომრების ამოცნობა, მათი რაოდენობის, ტიპების და სიჩქარის რეგულაცია და ა.შ.

მეორე საფეხურზე - სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული ინფორმაციების ნაკადების ინტეგრირება და უკუკავშირი. მაგ. პარკირების რეგულირება, მეტეოცნობების გავრცელება, სიტუაციის პროგნოზირება და მოძრაობის მონაწილეთა ინფორმირება,

საქართველოში ისს-მა უნდა უზრუნველყოს:

- სსშ რაოდენობისა და სიმძიმის შემცირება სსშ-ზე ოპერატიული რეაგირების ამაღლებით;
- სსშ ან კრიმინალური სიტუაციის ადგილამდე სპეცდანიშნულების სატრანსპორტო საშუალებათა და პერსონალის დროული მიღწევა;
- კრიმინალურ და საგანგებო სიტუაციებზე სპეცსამსახურებისათვის ოპერატიული და სრული ინფორმაციის მიწოდება;
- მძღოლების ინფორმირება მათ მიერ მოძრაობის წესებისა და ავტომობილების ექსპლუატაციის პირობების დარღვევაზე, მოკლევადიანი პროგნოზები საგზაო პირობების შესახებ;

- საგზაო მოძრაობის წესების დარღვევების ავტომატური ფიქსირება;
- გზებისა და ქუჩების ქსელის გამტარუნარიანობის ამაღლება სატრანსპორტო ნაკადების რეგულირებით და საგზაო პირობებზე მოძრაობის მონაწილეთა ინფორმირებით;
- საზოგადოებრივი ტრანსპორტის მგზავრთა ინფორმირება მარშრუტების მთელ სიგრძეზე მოძრაობის განრიგის, საგზაო სიტუაციის და სატრანსპორტო ნაკადების ინტენსივობის შესახებ;
- ავტომობილების მარშრუტების ოპტიმიზაცია საცობებსა და საგზაო პირობებზე მიმდინარე ინფორმაციის ოპერატიული მიწოდებით;
- საგზაო-საექსპლუატაციო სამსახურების საზოგადოებრივი ტრანსპორტის და ნარჩენების გატანის საწარმოთათვის დროული და ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება, რათა მათ უზრუნველყონ საწვავის ხარჯის, სამუშაოთა შესრულების განრიგის და ა.შ. მონაცემების ეფექტური კონტროლი. დღევანდელ საქართველოში ამ ჩამონათვალიდან გარკვეული ნაწილი უკვე სრულდება.

საქართველოში აუცილებელია საკანონმდებლო ინიციატივა, რომლის მიზანი იქნება სავალდებულო გახდეს ავტომობილების ტელემატიკური მოდულებით აღჭურვა. მოდულები იმუშავებენ GPS სიგნალების გამოყენებით და მკვეთრად შეამცირებენ დაღუპულთა და დასახიჩრებულთა რაოდენობას, ვინაიდან როგორც ცნობილია, მსხვერპლის 50% სამედიცინო და ტექნიკური დახმარების დაგვიანებით მისვლითაა გამოწვეული.

საქართველოში ის ფუნქციონირებისათვის აუცილებელია საკანონმდებლოსთან ერთად გარკვეული ტექნიკური ბაზის შექმნაც, რომლის საფუძველი იქნება სასწრაფო რეაგირების ტელემატიკური მოდელი. იგი შედგება GPS სანავიგაციო მიმღებისაგან, რომელიც აფიქსირებს ავტომობილის ადგილმდებარეობას, ფიჭური კავშირის მოწყობილობა - აკავშირებს ავტომობილს სადისპეტჩერო ცენტრთან. ტელემატიკურ მოდულთან გაერთიანებულია გადამწოდები, დაკავშირებულნი აქსელერომეტრებთან, რომლებიც აქტიურდებიან ავარიულ სიტუაციებში. მაგ., ბერავენ უსაფრთხოების ბალიშებს.

სისტემა უნდა შედგეს 4 ძირითადი ნაწილისაგან:

1. სატრანსპორტო საშუალება - ზედამხედველობის ობიექტი
2. ტელემატიკური სერვერი - ინფორმაციის დამუშავება და შენახვა
3. სადისპეტჩერო პუნქტები ტელემატიკური მომსახურების ოპერატორთა ავტომატიზირებული სამუშაო ადგილებით, რომლებიც განლაგდება სასწრაფო სამედიცინო და ტექნიკური დახმარების სამსახურებში და ავტოსატრანსპორტო საწარმოებში.
4. ინფორმაციის გადაცემის ქსელი - ინტერნეტი, სატელიტური კავშირები და ა.შ.

მოწინავე ქვეყნების გამოცდილების მიხედვით, საქართველოში ისს შექმნისათვის მიზანშეწონილია ფინანსური, ადმინისტრაციული, ინტელექტუალური და ტექნიკური რესურსების კონცენტრაცია საქართველოს მთავრობის ეგიდის ქვეშ მომქმედ კონსორციუმში, რომელშიც ERJKO-ს მსგავსად გაერთიანდებიან ყველა სამთავრობო, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციები დაინტერესებულნი ინტელექტუალური სატრანსპორტო სისტემის განვითარებით.

კონსორციუმმა უნდა შეიმუშაოს საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზა, მოახდინოს არაბიუჯეტური სახსრების აკუმულირება, მონაწილე ორგანიზაციებიდან შეიმუშაოს კვლევითი სამუშაოების პროგრამა და ისს ფუნქციონირების სხვადასხვა მოდელი შესაძლო სიტუაციების შესაბამისად, მოახდინოს დამტკიცებულ პროგრამათა ფინანსირება.

კონსორციუმის პოტენციური მონაწილეები შეიძლება იყვნენ ბანკები, სადაზღვევო და საგზაო-სამშენებლო კომპანიები, მეწარმე გადამზიდვეები, ფიჭური კავშირების ოპერატორები, ინტერნეტ-პროვაიდერები, პროგრამული უზრუნველყოფის შემმუშავებელი კომპანიები, პროფესიული გაერთიანებები დაკავშირებულნი საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებასა და ორგანიზაციისთან, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და ა.შ.

კონსორციუმის შექმნის პირველი ნაბიჯი მიზანშეწონილია გახდეს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კვლევითი ცენტრის აღდგენა, რომელიც იქნება

აღმასრულებელი ხელისუფლების ერთ-ერთი რგოლი მსგავსად სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ცენტრისა. პროგრამის წარმატებით შესრულებისათვის აუცილებელია საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების სრული მხარდაჭერა, რათა უმოკლეს დროში შესრულდეს ყველაზე აქტუალური ამოცანა, საქართველოს გზებზე მოძრავი ყველა ავტომობილი აღიჭურვოს GPS სისტემის ტელემატიკური ბლოკით, რომლის საშუალებით მოხდება მკვირივი სატრანსპორტო ნაკადების ადგილმდებარეობის დადგენა, გაირკვევა სსმ ზუსტი კოორდინატები, მოხდება დაკავშირება სადისპეტჩერო ცენტრთან სასწრაფო სამედიცინო და ტექნიკური დახმარების უზრუნველსაყოფად, გაიცემა რეკომენდაციები საცობების თავიდან ასაცილებლად ან მათ სალიკვიდაციოდ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კ. მჭედლიშვილი - სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების ოპტიმიზაცია, ჟ. „ტრანსპორტი“ N2, თბილისი, 2001წ., გვ. 21-26;
2. ი. აბულაძე, ს. გასიტაშვილი, ა. ფრანგიშვილი - ქალაქის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის დაგეგმარების ორგანიზაციული პრობლემები, ჟ. „ტრანსპორტი“, N1, თბილისი, 2006წ., გვ. 39-43.
3. ი. აბულაძე, ა. ფრანგიშვილი, ზ. გასიტაშვილი - საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის დაგეგმარების სისტემა, ჟ. „ტრანსპორტი“ N1, თბილისი, 2006წ., გვ. 35-39;
4. კ. მჭედლიშვილი, ლ. იმნაიშვილი, მ. ფოლადაშვილი - ვიზუალური ინფორმაციის ელექტრონული ჩანაცვლება საავტომობილო გზების დაპროექტებაში, ჟ. „ბიზნეს ინჟინიერინგი“, N3, თბილისი, 2013წ., გვ. 156-158;
5. კ. მჭედლიშვილი, მ. ელიზბარაშვილი, პ. ელიზბარაშვილი - ტრანსპორტის მართვის ავტომატიზირებული სისტემის ჩამოყალიბების საკითხისთვის, ჟ. „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“, N2 (33), თბილისი, 2015წ., გვ. 195-199;
6. К. Мчедlishvili, Т. Курашвили - Методы и средства прогнозирования явлений, развивающихся в транспортном процессе, Ж. «Транспорт», №1-6 (61-64), 2016г., Тбилиси, с.34-39;
7. <http://www.fcp-pbdd>
8. <http://www.itv>
9. <http://www.its-russia>

Создание интеллектуальной транспортной системы с использованием инновационных инженерных методов

Константине Мchedlishvili, Бесик Читадзе

Резюме

В статье показаны возможности значительного уменьшения отрицательных явлений, сопутствующих развитию автомобильного транспорта путем повышения пропускной способности транспортной инфраструктуры и улучшения управления транспортными потоками. Для этого необходима разработка системы, в которой средства связи, управления и контроля внедрены в транспортные средства и в объекты транспортной инфраструктуры, получение информации происходит в режиме реального времени, а выработанные эффективные решения доступны для операторов транспорта и всех участников движения. В статье показан опыт передовых стран в создании и использовании индивидуальных транспортных систем, показана также целесообразность разработки и внедрения аналогичной системы в Грузии. Приведен перечень необходимых мероприятий для осуществления этой задачи.

CREATING AN INNOVATIVE SMART TRANSPORTATION SYSTEM USING ENGINEERING METHODS

Konstantine Mchedlishvili, Besik Chitadze

Abstract

In the article is shown the possibility of reducing the adverse events associated with the development of motor road transport by increasing the capability of transport infrastructure and improving traffic flow management. For this, it is necessary to create and implement a system where the means of communication, management and control are embedded in vehicles and facilities of transport infrastructure. Information is received in real time and developed effective solutions are available to all transport operators and traffic participants. The article shows the experience of the world's leading countries in the development and implementation of intelligent transport systems. The expediency of developing and introducing a similar system in Georgia is also shown, the measures to be implemented are listed.

ავტომობილიზაცია და ჭკვიანი ქალაქის კონცეფციის გამოყენება საქართველოში

კონსტანტინე მჭედლიშვილი, ირაკლი ფანოზიშვილი

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მ. კოსტავას ქ. №77, 0160,
თბილისი, საქართველო)

რეზიუმე: სტატია ეძღვნება საქართველოს ქალაქებში ბოლო წლებში ავტომობილიზაციის დონის მკვეთრი ზრდისაგან გამოწვეულ პრობლემებს: მოძრაობის უსაფრთხოებისა და ეკოლოგიური სიტუაციის გაუარესებას; სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის არასაკმარის გამტარუნარიანობას; მოძრაობის ორგანიზაციისა და ავტოპარკის ტექნიკური მახასიათებლების ჩამორჩენას თანამედროვე მოთხოვნებისადმი. სტატიაში წარმოდგენილია მოწინავე ევროპული ქვეყნების ქალაქებში „ჭკვიანი ქალაქის“ კონცეფციის გამოყენების მაგალითები. ნაჩვენებია საქართველოს ქალაქებისათვის ამ კონცეფციის შემუშავებისა და დანერგვის აუცილებლობა, რომელიც გულისხმობს შესაბამისი ცვლილებების შეტანას. საკანონმდებლო და ნორმატიულ ბაზაში, მოძრაობის ორგანიზაციის მეთოდებსა და ტექნიკური საშუალებებით, აგრეთვე სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებაში.

საკვანძო სიტყვები: ავტომობილიზაცია, „ჭკვიანი ქალაქი“, ტრანსპორტი, ინფრასტრუქტურა.

პრობლემის აქტუალობა

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ 50-იანი წლებიდან დასავლეთ ევროპის მსხვილ ქალაქებში დაიწყო ავტომობილიზაციის ინტენსიური ზრდა. სულ უფრო მკვერივი სატრანსპორტო ნაკადების მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად საჭირო გახდა ავტოსაგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც უმრავლეს შემთხვევებში გამოიხატებოდა ქუჩების გაფართოებით სკვერებისა და პარკების ხარჯზე, სატრანსპორტო კვანძების გახსნით ორ და მეტ დონეში, მრავალრიცხოვანი და

რთული სივრცული მოხაზულობის ესტოკადების აშენებით, კომფორტული საზოგადოებრივი სივრცის მოცულობის მკვეთრი შემცირებით მათზე ავტოსადგომების განლაგების გამო.

დასავლეთ ევროპული ქალაქების, მათ შორის პარიზის და ლონდონის გზებისა და ქუჩების ქსელი ჩამოყალიბდა XVIII საუკუნის და XIX საუკუნის პირველ ნახევარში ქვეითების და ცხენის ეკიპაჟების გადაადგილებისათვის. მათი მოძრაობის პირობების გაუმჯობესებისათვის XIX ს.-ს მეორე ნახევრიდან დაიწყო მიწისქვეშა ტრანსპორტის, მეტროპოლიტენის განვითარება. სამაგალითოა XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან 20 წლის განმავლობაში პარიზში მისი მერის ბარონ ოსმანის ხელმძღვანელობით ჩატარებული გრანდიოზული სარეკონსტრუქციო სამუშაოები. შედეგად შეიქმნა ახალი ფართო ქუჩები და მოედნები, მიწისქვეშა სატრანსპორტო და კომუნალური დანიშნულების კომუნიკაციათა ეფექტური ქსელი, პრაქტიკულად ახლიდან ჩამოყალიბდა საცხოვრებელი, ადმინისტრაციული, სამრეწველო და ა.შ. ზონები. ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი განვითარება მოხდა ლონდონში, მადრიდში, ბერლინში და ა.შ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ესპანეთში, ბარსელონაში XIX საუკუნის ბოლოსა და XX ს. დასაწყისში შექმნილი ქუჩებისა და მიწისქვეშა კომუნიკაციების ქსელი, რომლებიც დღესაც წარმატებით გამოიყენება თანამედროვე ინდივიდუალური და საზოგადოებრივი ტრანსპორტის გადაადგილებისთვის. აღსანიშნავია აგრეთვე ბასკეთის დედაქალაქ ბილბაოში გასაული საუკუნის დამლევადან შექმნილი შესანიშნავი, ეფექტურად მოქმედი მიწის ზედა და მიწისქვეშა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა.

მიუხედავად წარმატებით ჩატარებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების XX საუკუნის 60-იანი წლებიდან ჩამოყალიბდა კანონზომიერება: ინდივიდუალური ავტოპარკის ზრდის ტემპი ყოველთვის წინ უსწრებდა შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების ტემპს; ახალი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურული ობიექტების მწყობრში შესვლა ქმნიდა ავტომობილიზაციის ახალ ტალღას.

ამ მხრივ საყურადღებო მაგალითია პრეზიდენტ ფ.მიტერანის დროს გასული საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს პარიზში აშენებული უწყვეტი ჩქაროსნული მოძრაობის წრიული ავტომაგისტრალი, პერიფერიული ბულვარი, რომელმაც მხოლოდ მცირე ხნის გააუმჯობესა მოძრაობის პირობები და ინდივიდუალური ავტოპარკის ზრდა კიდევ უფრო დააჩქარა.

გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან დასავლეთ ევროპის ქალაქებში სტატისტიკამ აჩვენა საგზაო სატრანსპორტო შემთხვევებში დაღუპულთა რიცხვის ზრდა, რომელთა დიდ ნაწილს ბავშვები შეადგენდნენ გაუარესდა ეკოლოგიური მდგომარეობა, შემცირდა გადაადგილების სიჩქარე და მგზავრობის კომფორტი. 1973 წელს ნავთობის მსოფლიო კრიზისის გამო მკვეთრად გაიზარდა საწვავის ფასი. ზემოთ ჩამოთვლილმა ფაქტორებმა აიძულა დასავლეთ ევროპის პრაგმატულად მოაზროვნე მოსახლეობა შეემცირებინათ ინდივიდუალური ავტომობილების გამოყენება და ზოგიერთ შემთხვევაში საერთოდ უარი ეთქვათ მასზე.

არსებული მდგომარეობა

პრობლემის დადებითი გადაჭრა დაიწყო ნიდერლანდებსა და დანიაში. ამსტერდამში ჯერ აკრძალეს კერძო ავტომობილებით გადაადგილება კვირა დღეებში. ცენტრალურ ნაწილში მრავალი ქუჩა ჩაიკეტა ავტომობილებისთვის, გაძვირდა პარკირება და გაიზარდა ჯარიმა მისი წესების დარღვევის გამო. მასმედიაში დაიწყო ველოსიპედების გამოყენების პროპაგანდა, პარალელურად ინტენსიურად დაიწყო ველობილიკების ქსელის შექმნა ქალაქებში და ქალაქგარეთაც, განვითარდა ტრამვაი და მეტროპოლიტენი, მოხდა ავტობუსების პარკისა და მარშრუტების ოპტიმიზაცია. ორბორბლიანი ინდივიდუალური ტრანსპორტის განვითარებაში დიდი როლი შეასრულეს ქალაქის მერიისა და ქვეყნის ხელმძღვანელობამ. სამეფო ოჯახის წევრები და მერები ხშირად გადაადგილებოდნენ ველოსიპედით ან ფეხით.

შეიქმნა საზოგადოებრივი ტრანსპორტის ახალი ორბორბლიანი სახეობა ინდივიდუალური გამოყენებისათვის: ველოსიპედი და ელექტრო-სკუტერები.

დასავლეთ ევროპის მსხვილი ქალაქების ქუჩებში განლაგდა მერიის კუთვნილი გასაქირავებელი ორბორბლიანი ტრანსპორტის პარკირების ადგილები, ჩამოყალიბდა საფასურის გადახდის იოლი და იაფი სისტემა. მკვეთრად შემცირდა ქუჩების სავალი ნაწილის გამოყენება პარკირებისათვის, ვინაიდან ერთი ავტომობილის დგომისათვის საჭირო ფართზე შესაძლებელია განლაგდეს 15-20 ველოსიპედები.

ამასთანავე, შეიქმნა ახალი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც ასტიმულირებდა ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტის გამოყენებას. მრავალი ქალაქის ცენტრში აიკრძალა ნახშირწყალბადიან საწვავზე მომუშავე 2006 წლამდე გამოშვებული ავტომობილების ექსპლუატაცია, რიგი უპირატესობა და მნიშვნელოვანი შეღავათები დაწესდა ელექტრო ავტომობილებისა და ჰიბრიდების მფლობელთათვის ჩამოყალიბდა მიწისქვეშა სივრცის გამოყენების ახალი კონცეფცია. შეიქმნა მრავალსართულიანი მიწისქვეშა კომპლექსები, სადაც განლაგდა პირველ რიგში სატრანსპორტო დანიშნულების ობიექტები: მეტროპოლიტენის და ტრამვაის ხაზები; ავტობუსების მარშრუტები გაჩერებებით და ა.შ. ქალაქის ცენტრში ძველი შენობებისა და მოედნების ქვეშ სამთო ხერხით მასიურად აშენდა ავტოსადგომები.

ყველა განვითარებულ ქვეყანას ახასიათებს ერთი მნიშვნელოვანი კანონზომიერება. ინფრასტრუქტურულ ღონისძიებების განხორციელების წინ უძღვის მოძრაობის პირობების შესაძლო მაქსიმალური გაუმჯობესება მოძრაობის ორგანიზაციის მეთოდებითა და საშუალებებით: „ჭკვიანი“ შუქნიშნებით მოძრაობის კოორდინირებული რეგულირება ცალკეული უბნების ან მთელი ქალაქის მასშტაბით, სპეციალური გადაშწოდები გადასცემენ ინფორმაციას მოძრაობის მართვის ცენტრს, საიდანაც სათანადოდ გადამუშავებული ინფორმაცია სატელიტური, ინფრაწითელი ან სხვა სისტემების გამოყენებით მიეწოდება მძღოლებს ახალი უფრო ეფექტური მარშრუტის შესარჩევად და საცობების თავიდან ასაცილებლად. ასეთი სისტემების გამოყენების შესანიშნავი მაგალითია ტოკიო, სადაც საზოგადოებრივი ტრანსპორტი შესაბამისი ინფრასტრუქტურით,

ორბორბლიანი ტრანსპორტის მასიური გამოყენება, მოძრაობის მონაწილეთ ახასიათებთ მაღალი თვითშეგნება და დისციპლინა, მაღალი დონის სახელმწიფო მოსამსახურეები მასიურად გადაადგილებიან საზოგადოებრივი და ორბორბლიანი ტრანსპორტით. ეს ყოველივე განაპირობებს პრობლემათა ეფექტურ გადაჭრას.

გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან მსოფლიო მოწინავე ქვეყნებში დაიწყო საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (იკტ) ინტეგრაცია საქალაქო მეურნეობის კომპლექსში, მისი ოპტიმალური მართვის მიზნით. იგი ჯერ გავრცელდა ტრანსპორტის სფეროში, შემდეგ კი მოიცვა განათლება, ენერგეტიკა, წყალმომარაგება, კანალიზაცია, ნარჩენების მართვა, ჯანდაცვა და ა.შ. ამ მოვლენას დაერქვა ჰკვიანი ქალაქი. მისი ანალოგიური ტერმინებია: Cyberwill, Flexicity, Smarth city და ა.შ. ჰკვიანი ქალაქის შექმნის მიზანია მცხოვრებთა სასიცოცხლო პირობების გაუმჯობესება. იკტ საშუალებას იძლევა მერია პირდაპირ კავშირში იყოს საქალაქო სამსახურებთან და შესაბამის ინფრასტრუქტურასთან, თვალყური ადევნოს რა ხდება ქალაქში, როგორ ვითარდება ის.

ამისათვის გამოყენებულია გადამწოდები, რომლებიც რეალური დროის რეჟიმში იღებენ ინფორმაციას, ამუშავებენ და ანალიზს უკეთებენ, შემდეგ ოპერატიულად წყვეტენ წარმოქმნილ პრობლემებს. აკტ-ს გამოყენება აუმჯობესებს საქალაქო სამსახურის მუშაობას, ამცირებს რესურსების მოხმარებას, სწრაფად რეაგირებს რთულ ამოცანებზე.

ჰკვიანი ქალაქის კონცეფციის ძირითადი მახასიათებლებია:

1. ელექტრონული და ციფრული ტექნოლოგიების დიდი რაოდენობით გამოყენება საზოგადოებრივ დაწესებულებებში და ინფრასტრუქტურაში;

2. იკტ-ს გამოყენება რეგიონში ცხოვრებისა და მუშაობის პირობების დასაფიქსირებლად;

3. სახელმწიფო სისტემებში იკტ-ს ფართოდ დანერგვა მათი ოპტიმალური მართვის მიზნით.

ჰკვიანი ქალაქის კონცეფცია გულისხმობს ტრანსპორტის, ენერგეტიკის, ინფრასტრუქტურის, ჯანდაცვის და ა.შ. ჰკვიანურ მართვას. ჰკვიანი ადამიანების

მიერ ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით. მისი შედეგია მდგრადი ეკონომიკური განვითარება, ცხოვრების მაღალი დონე, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, ეკოლოგიური უსაფრთხოება და ა.შ.

ჭკვიანი ქალაქის კონცეფციის დანერგვაში მოწინავე გახდა ამსტერდამი, სადაც 2009 წლიდან შესრულდა 170 პროექტი ადგილობრივი მმართველობის, ბიზნესის და აკადემიური სტრუქტურების მართვაში. უმავთულო მოწყობილობათა გამოყენებით რეალური დროის რეჟიმში მერიის სტრუქტურები იღებენ გადაწყვეტილებებს, რომელთა მიზანია სატრანსპორტო ნაკადების მართვა, ენერჯის ეკონომია, უსაფრთხოების ამაღლება. ყოველწლიურად ტარდება საქალაქო კონკურსი, სადაც მიიღება მცხოვრებთა წინადადებები. მაგ., „mobypark“ - კერძო პირები თავიანთ ავტოსადგომ ადგილებს აქირავებენ, მიღებულ მონაცემებს იყენებენ პარკირების დაგეგმვის პროცესშიც. საცხოვრებელ სახლებში დანერგილია მოხმარებული ენერჯის ინტელექტუალური აღმრიცხველები. მათი მონაცემებით ხდება მოსახლეთა სტიმულირება პიკურ პერიოდებში ენერჯის მოხმარების შემცირების გამო. სიტემა smart lighting - არეგულირებს ქუჩის განათებას. საგზაო მოძრაობაზე კონტროლი ხორციელდება რეალურ დროში, ინფორმაცია გამოიყენება მოძრაობის ორგანიზებისათვის და უკეთესი მარშრუტების შესათავაზებლად.

2015 წ. ბარსელონა იყო პირველი ჭკვიანი ქალაქების შორის. იქ ყოველწლიურად ტარდება კონფერენცია Smart City Expo Congress, სადაც მონაწილეობდნენ მსხვილი ქალაქებისა და ტექნოლოგიური კომპანიების წარმომადგენლები.

პრობლემის გადაჭრის გზები

საქართველოს დიდ ქალაქებში, თბილისში, ქუთაისში, ბათუმში და ა.შ. მიზანშეწონილია დაიწყოს ანალოგიური სამუშაოები ჭკვიანი ქალაქის კონცეფციის განსახორციელებლად, პირველ რიგში ტრანსპორტის სფეროში: საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება, მოძრაობის ორგანიზაციისა და უსაფრთხოების გაუმჯობესება; საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და მისი სტრუქტურის ოპტიმიზაცია, პარკირების პრობლემის გადაჭრა და ა.შ.

2020 წლის ივლისში ქ.თბილისის მერიამ გადაწყვიტა დედაქალაქისათვის შეიმუშაოს და განახორციელოს ჭკვიანი ქალაქის კონცეფცია, მაგრამ ბოლო წლების ტრადიციის მიხედვით მერია აქცენტს კვლავ უცხოელ სპეციალისტებსა და საზღვარგარეთულ ფირმებზე აკეთებს, დებს მათთან საკმაოდ ძვირ ხელშეკრულებებს, როდესაც ადგილობრივ ინჟინრებსა და მეცნიერებს შეუძლიათ გაცილებით უფრო იაფად მიაღწიონ სასურველ შედეგებს თუნდაც. იგივე რამდენიმე უცხოელი კონსულტაციის თანამონაწილეობით.

მიზანშეწონილია პირველ ეტაპზე საქართველოს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა ქალაქში შეიქმნას ტრანსპორტის მონიტორინგის საქალაქო ცენტრი, რომელიც თვალყურს მიადევნებს საქალაქო ტრანსპორტს, საგზაო ინფრასტრუქტურას, მოძრაობის ორგანიზაციას და უსაფრთხოებას, ეკოლოგიას. უწყებები და რაიონული ხელმძღვანელები ოპერატიულად მიიღებენ ინფორმაციას და შეიმუშავენ შესაბამისად მოტივირებულ გადაწყვეტილებებს, მიაწვდიან ინფორმაციას შსს და საქალაქო სასწრაფო სამსახურებს. მიღებული ღონისძიებების შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება ქალაქის მოსახლეობისა და სტუმრებისათვის საცხოვრებელი პირობები, პირველ რიგში ეკოლოგიური სიტუაცია, გადაადგილების უსაფრთხოება და კომფორტი, ამალდება ტრანსპორტის ეკონომიკური მაჩვენებლები, შესაძლებელი გახდება ობიექტურად გაანალიზებულ მონაცემებზე დაყრდნობით საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების ეფექტურ ღონისძიებათა განხორციელება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თ. ჭურაძე, კ. მჭედლიშვილი, ნ. კვაჭაძე - „საქართველო მიწისქვეშა სატრანსპორტო ნაგებობანი“, თბილისი, სტუ, 2009წ.;
2. კ. მჭედლიშვილი, თ. ფანჩიძე - „მუნიციპალური საკუთრების ინდივიდუალური სატრანსპორტო საშუალებების გამოყენების პერსპექტივები რთული რელიეფის მქონე დიდ ქალაქებში“, ჟ. „მშენებლობა“, N2 (51), 2019წ.;
3. Gooch, Daniel, Reimagining the role of Citizens in smarth City1 Projects. 2015. ACM International Symposium on Wearable Computers: Journal-ACM, 2015, January, P.1587;
4. Miteholl, W. Intelligent cities, 2007, London;

5. Urban Sensor Data Streams: London, 2013, IEEE Internet Computing Journal - 2013, IEEE Internet Computing Journal -2013, Vol. 17;
6. Grinfeld, A. Against the Smarth City – London, Verso, 2013.

Автомобилизация и использование концепции умного города в Грузии

Константине Мchedlishvili, Ираклия Панозишвили

Резюме

Статья посвящена проблемам, вызванным резким повышением уровня автомобилизации в городах Грузии за последние годы. Ухудшение безопасности движения и экологической ситуации, недостаточная пропускная способность улично-дорожной сети, отставание методов и средств организации движения и технической характеристик автомобильного парка от современных требований. В статье представлены примеры использования концепции «умного города» в городах передовых Европейских стран. Показана необходимость разработки и внедрения этой концепции в городах Грузии, которая подразумевает внесение соответствующих изменений в законодательной и нормативной базе, в методах и технических средствах организации движения, в развитии транспортной инфраструктуры.

AUTOMOBILIZATION AND APPLICATION OF THE SMART CITY CONCEPT OF IN GEORGIA

Konstantine Mchedlishvili, Irakli Panozishvili

Abstract

The article is dedicated to the problems caused by the sharp increase in the level of automobilization in Georgian cities in recent years: the deterioration of traffic safety and the ecological situation; Insufficient capacity of transport infrastructure; Trailing the technical characteristics of the traffic organization and vehicle fleet to modern requirements. The article presents examples of the use of the concept of "smart city" in the cities of advanced European countries. It is necessary for the cities of Georgia to develop and implement this concept, which implies the relevant changes. In the legislative and normative base, in the methods and technical means of traffic organization, as well as in the development of transport infrastructure.

სამეცნიერო ნაშრომის რედაქციაში წარმოდგენის წესი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ჟურნალში - “ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა” სამეცნიერო ნაშრომის წარმოდგენა ხდება ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

1. ნაშრომი უნდა შესრულდეს A4 ფორმატის ქაღალდის 1,5 ინტერვალით ნაბეჭდ გვერდზე ISO სტანდარტის მოთხოვნის მიხედვით:

- ა) ნაშრომი უნდა მომზადდეს Microsoft Word-ში ცხრილებისა და ფორმულების რედაქტორების გამოყენებით; შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს Microsoft Excel-ის პროგრამა;
- ბ) სამუშაო ქაღალდის მინდვრის ზომები: ზედა - 35 მმ, ქვედა - 25 მმ, მარცხენა - 25 მმ, მარჯვენა - 25 მმ;
- გ) ქართულ ენაზე შესრულებული ნაშრომი უნდა აიწყოს Sylfaen – ის გარნიტურის შრიფტით, ინგლისურ და რუსულ ენებზე შესრულებული ნაშრომი კი - Times New Roman შრიფტით;
- დ) ნაშრომის დასახელება უნდა აიწყოს Sylfaen გარნიტურის შრიფტით (18B); ავტორის სახელი და გვარი - Sylfaen გარნიტურის შრიფტით (14B); დასახელება ორგანიზაციის, სადაც შესრულდა სამუშაო, უნდა მიეთითოს ფრჩხილებში - შრიფტით 12B; ნაშრომის რეზიუმე უნდა შესრულდეს კურსივი შრიფტით 12; საკვანძო სიტყვები - შრიფტით 12; ნაშრომის ტექსტი - 12; რუსულ ენაზე შესრულებული ნაშრომი - შრიფტით 12; ლიტერატურის ჩამონათვალის შემდეგ ერთვის რეზიუმე ინგლისურ და რუსულ ენებზე შემდეგი მითითებით: ნაშრომის დასახელება, ავტორის (ავტორების) სახელი და გვარი. რეზიუმეს მოცულობა უნდა იყოს 5-15 სტრიქონი;

2. ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იყოს კომპაქტ დისკზე (CD-R) და ერთ ეგზემპლარად A4 ფორმატის ქაღალდზე (მკაფიოდ) დაბეჭდილი;

3. ნაშრომს თან უნდა ერთვოდეს მონაცემები ავტორის (ავტორების) შესახებ: სამეცნიერო ხარისხი, წოდება და თანამდებობა;

4. ჟურნალში ქვეყნდება მხოლოდ რეცენზირებადი ნაშრომები;

5. რედაქცია მხარს დაუჭერს ერთ ჟურნალში ერთი და იგივე ავტორების მიერ შესრულებულ არაუმეტეს სამი სტატიის გამოქვეყნებას;

6. ნაშრომის გვერდების რაოდენობა განისაზღვრება 5-დან 30 გვერდამდე;

7. ავტორი პასუხს აგებს ნაშრომის შინაარსსა და ხარისხზე; იბეჭდება ავტორთა ხარჯით.

К СВЕДЕНИЮ АВТОРОВ

Порядок представления в редакцию научных работ

В журнал “Транспорт и машиностроение” транспортного и машиностроительного факультета Грузинского технического университета научные работы представляются на грузинском, английском и русском языках с соблюдением следующих требований:

1. Работа должна быть выполнена на бумаге форматом А4 с интервалом 1,5 на печатном листе согласно требованиям стандарта ISO:

а) Работа подготавливается в Microsoft Word с использованием редакторов таблиц и формул; возможно использование программы Microsoft Excel.

б) размеры поля рабочего листа: верхнее – 35 мм, нижнее – 25 мм, левое – 25 мм, правое – 25 мм.

в) выполненная на грузинском языке работы должна быть набрана шрифтом Sylfaen, выполненный на английском и русском языках работы – шрифтом Times New Roman.

г) название работы должно быть набрано шрифтом LSylfaen (14B); имя и фамилия автора – шрифтом Sylfaen (13B); название организации, где выполнена работа, указывается в скобках – шрифтом 13B; резюме работы выполняется курсивным шрифтом 12; ключевые слова – шрифтом 12; текст работы – шрифтом 12; выполненная на русском языке работа – шрифтом 12; после литературы прилагается резюме на английском и русском языках со следующим указанием: название работы, имя и фамилия автора (авторов). Объём резюме не должен превышать 5-15 строк;

2. Работа должна быть представлена на компакт-диске (CD-R) и в одном экземпляре (разборчиво) напечатанной на бумаге формата А4;

3. К работе прилагаются данные об авторе (авторах): научная степень, звание и должность;

4. В журнале публикуются только рецензируемые работы;

5. Редакция согласится напечатать в одном журнале не более трёх статей выполненных одним и тем же автором;

6. Количество листов работы определяется от 5 до 30 страниц;

7. Автор несёт ответственность за содержание и качество работы; Печатается на авторский счет.

FOR AUTHIORS

procedure for submission of scientific papers in journal

In the Journal “Transport and Machine Building” of Transport and Mechanical Engineering Faculty of Georgian Technical University manuscripts will be submitted in Georgian, English and Russian languages with satisfying of the following conditions:

1. The paper must be performed on A4 page format with interval 1,5 by requirements of ISO standard:

a) The paper must be prepared in Microsoft Word with using of redactor for the tables and formulae; is possible to use the program Microsoft Excel.

b) Margins: top – 35 mm, bottom – 25 mm, left – 25 mm, right – 25 mm.

c) Performed in Georgian paper must be typed in Sylfaen, performed in English and Russian papers – in Times New Roman.

d) Title of paper must be typed in Sylfaen (14B); name and surname of author – in Sylfaen (13B); affiliation, in parenthesis – in 13B; abstract must be performed in italic 12; keywords – in 12; body-type – in 12; performed in Russian paper – in 12; after references should have the abstracts in English and Russian with following: title of paper, name and surname of author (authors). The abstract should not exceed 5-15 lines;

2. The paper must be submitted on compact-disk (CD-R) and one copy (legible) printed on format A4;

3. The paper should be accompanied with the information about author (authors): scientific degree, rank and position;

4. Only the peer reviewed works are published in the journal;

5. The editorial supports the publishing of no more than three articles published by the same authors in one journal;

6. Size of paper’s sheet is determined in range from 5 up to 30 pages;

7. The author is wholly responsible for the contents and quality of the paper; Printed by authors.

ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა №3 (49) 2020

ТРАНСПОРТ И МАШИНОСТРОЕНИЕ №3 (49) 2020

TRANSPORT AND MACHINEBUILDING №3 (49) 2020

სამეცნიერო-ტექნიკური ჟურნალი
НАУЧНО-ТЕХНИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ
SCIENTIFIC – TECHNICAL JOURNAL

გამოდის პერიოდულად წელიწადში სამჯერ

Журнал выходит в год три раза

Published periodically for three times a year

გამომცემლობა „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“

Издательство „ ТРАНСПОРТ И МАШИНОСТРОЕНИЕ ”

Publishing House „ TRANSPORT AND MACHINEBUILDING ”

№503 დეპარტამენტის სასწავლო-სამეცნიერო კვლევითი ცენტრი „PRINT MEDIA”

Учебно – научный центр №503-го департамента „PRINT MEDIA”

№503 department’s of scientific and research centre „PRINT MEDIA”

The number of state registration - № 4023; 105239910

ხელმოწერილია დასაბეჭდად 2020წ. 25 დეკემბერი;
გამოცემის ფორმატი 60X84 1/8; ფიზიკური ნაბეჭდი
თაბახი 11.25; საბეჭდი ქაღალდი - ოფსეტური №1.

Подписано к печати 25: 12: 2020г; Формат издания л. 60X84 1/8;

Физичесих печатных листов 11.25; Печатная бумага - офсетная №1.

Signed for printing 25: 12: 2020;
Editor size 60X84 1/8; printed
sheet 11.25; printing paper - Offset N1.